გიორგი გახელაძე

სამოქალაქო წიგნიერება

OPEN SOCIETY INSTITUTE

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

შეადგინა გიორგი გახელაძემ

სამოქალაქო წიგნიერება

OPEN SOCIETY INSTITUTE

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

თბილისი 2012

პროექტი „ახალი შესაძლებლობები საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს“ დაფინანსებულია ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მიერ და ხორციელდება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის, ასოციაცია ზეკარისა და მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის მიერ.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მოსაზრებებს.

Project “New Opportunities for Educationally Deprived Children” was made possible by the support of European Union and Open Society Institute. Project is implementing by the Civic development Institute, Association “Zekari” and Marneuli Youth Center.

The contents of this publication do not necessarily reflect the views of European Union and Open Society Institute

შეადგინა: **გიორგი გახელაძემ**
რეცენზენტი: **სიმონ ჯანაშია**
დიზაინერ-დამკაბადონებელი: **ეკატერინე წიქარიშვილი**

საკონსულტაციო საბჭო
ანთაძე ია
ბოჭორიშვილი მანანა
გორგოძე სოფიო
მოსიაშვილი თამარ

წიგნის შექმნაში განსაკუთებული წვლილი შეიტანეს სამოქალაქო განვითრების ინსტიტუტის თანამშრომლებმა, განათლების ექსპერტებმა, რომლებმაც შეიმუშავეს განათლების მეორე შანსის ქართული მოდელი.
იდეის წარმატებით განხორციელების პროცესში აქტიურადმონაწილეობდნენ:
ბაქრაძე მაია
თოფაძე ქეთევან
კობალაძე ქეთევან
კორძაძე ეკატერინე
პაპავა პაატა
სამსონია ირინა
ჭანტურია თამარ

დაიბეჭდა გამომცემლობა მწიგნობარი
თბილისი, 2012

© სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი,2012

ISBN 978-9941-0-5208-8

სარჩევი

1. უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი 5
2. მოთხოვნილებები და ინტერესები 10
3. ადამიანის მონაცემები და მათი გამოყენება.....17
4. ღირებულებები და პრინციპები.....20
5. ჩემი ადგილი საზოგადოებაში.....23
6. პიროვნული და საერთო ინტერესები 28
7. ღირსება 31
8. გაერთიანება, ანუ შეთანხმება 35
9. თავისუფლება.....38
10. გემით მგზავრობა ახალი კონტინენტისკენ 40
11. უფლება, მოვალეობა, პასუხისმგებლობა 48
12. ჩემი არჩევანი – გადაწყვეტილება და შედეგი 69
13. კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები 76
14. მიზნის დასახვა 79
15. საზოგადოებრივი ცხოვრება 84
16. ვინ მინდა ვიყო 86
17. შევისწავლოთ არჩეული პროფესია 93
18. პასუხისმგებლობები 98
19. რატომ უნდა ემორჩილებოდნენ ადამიანები კანონებს?....102
20. მავნე ჩვევებისა და მათი სახიფათო შედეგებისგან
თავდაცვა.....105
21. რა არის სახელმწიფო?.....117
22. რა არის დემოკრატია?.....120

23. სახელმწიფოთა ტიპები 122
24. სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები.....126
25. რა არის ბიუჯეტი? 128
27. მე ვარ მოქალაქე: რას ნიშნავს ეს.....132
28. რა არის პოლიტიკა?.....136
29. საქართველოს ხელისუფლების შტოები.....139
30. ვინ და როგორ მართავს ჩვენს სახელმწიფოს?.....141
31. რა არის არჩევნები.....143
32. ჩვენ და კანონი 160

1 უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი

შეხედე შენს მეგობარს, რომელიც შენს გვერდით ზის.
წარმოიდგინე, რომ მას არ იცნობ.
დაფიქრდი, ყველაზე მეტად რისი გაგება დაგაინტერესებს იმ უცნობი ადამიანის შესახებ, რომელსაც პირველად ხედავ?

მაგალითად: სახელი

- გვარი
- ასაკი
- ოჯახი
- და ა.შ. (გააგრძელე ჩამონათვალი)
-

გაითვალისწინე, რომ გაცნობისას არა მარტო კითხვების დასმა, არამედ პასუხების გაცემაც მოგიწევს სხვის მიერ დასმულ მსგავს შეკითხვებზე.

? კითხვები

როგორ გააცნობ თავს უცნობ ადამიანს? რისი თქმა შეგიძლია შენს შესახებ? რა არის შენში ყველაზე მნიშვნელოვანი?

ჩემი სიმბოლო

შეეცადე, გააცნო სხვებს შენი პიროვნება ნახატის საშუალებით. გამოსახე საკუთარი თავი რაიმე სიმბოლოს - ცხოველის, ფრინველის ან გეომეტრიული ფიგურის სახით, რომელიც შენი აზრით, ყველაზე უკეთ გამოხატავს შენი პიროვნების არსს. ამისათვის გამოიყენე აქ მოტანილი ჩარჩო - ჩახატე შენი სიმბოლო ფანქრით.

სთხოვე გვერდზე მჯდომ მეგობარს, შენს ნაცვლად დაასათაუროს და ახსნას შენი ნახატი სიმბოლოს სახელწოდება:

---------- (მაგალითად საათი)

თვისებები, რომელთაც გამოხატავს სიმბოლო: ----------

(მაგალითად პუნქტუალური, ორგანიზებული, საიმედო)

შეადარე შენი ჩანაფიქრი მეგობრის მოსაზრებებს. შეავსე ან დააზუსტე სიმბოლოს მნიშვნელობა.

? კითხვები

შეადარე შენი სიმბოლო შენი მეწყვილის სიმბოლოს და ერთობლივად დაადგინეთ:

რა სიმბოლოები, თვისებები აღმოჩნდა ყველასათვის საერთო და რა განუმეორებელი?
რამდენად ჰგვანან და განსხვავდებიან ჯგუფის წევრები ერთმანეთისგან?
რა უფრო მეტია, მსგავსება თუ განსხვავება?
რამდენად ინდივიდუალური აღმოჩნდა თითოეული თქვენგანი?

ლექსიკონი

ინდივიდუალური ***L.<* individuus – „განუყოფელი“**
1. გარკვეული ინდივიდუმის დამახასიათებელი; რაც ცალკეულ პიროვნებას გამოყოფს სხვებისაგან.

შედეგის ხაზგასასმელად, თითოეული თქვენგანი საკუთარი გემოვნებით აფერადებს (აფორმებს) თავის სიმბოლოს და ამაგრებს კედელზე.

შეხედე თავმოყრილ „სიმბოლოთა გუნდს“:

- **არის თუ არა ორი ერთნაირი სიმბოლო?**
- **რა უფრო თვალსაჩინოა, მსგავსება თუ განსხვავება?**
- **რა დასკვნა შეგიძლია გამოიტანო?**

ადამიანი დაბადებისთანავე განუმეორებელია, თუმცა ჯერ კიდევ არ არის პიროვნება. არავინ საუბრობს ახალშობილი ბავშვის პიროვნულობაზე, რადგან პიროვნებად არ იბადებიან, პიროვნებად ყალიბდებიან.

პიროვნება ვითარდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას. ამ დროს ადამიანი სწავლობს, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი,

იძენს სხვებთან თანაარსებობის უნარ-ჩვევებს, უყალიბდება ხასიათი და ნებისყოფა.

თანაჯგუფელებთან ერთად იმსჯელე:
რა არის სიმბოლო? რთული იყო თუ არა სიმბოლოს მოფიქრება? ჩანაფიქრის განხორციელება? რატომ?

პირველ რიგში ადამიანი (სხვა ადამიანების დახმარებით) ქმნის საკუთარი პიროვნების მონახაზს *– გამოყოფს ყველაზე მნიშვნელოვან თვისებებს საკუთარ თავში. (სწორედ ისე, როგორც შენ გააკეთე საკუთარი პიროვნების სიმბოლოს შექმნისას).*

შემდეგ ცდილობს, თვალსაჩინო და გასაგები გახადოს საკუთარი პიროვნება სხვა ადამიანისათვის *– გამოხატავს და განამტკიცებს მნიშვნელოვან თვისებებს საკუთარ ქცევაში. (შენც ხომ ცდილობდი, სიმბოლო ისე დაგეხატა, რომ სხვას მისი მნიშვნელობა გაეგო?)*

თანაჯგუფელებთან ერთად იმსჯელე:
დაემთხვა თუ არა მეგობრის აზრი შენს ჩანაფიქრს? დაგეხმარა თუ არა თანაჯგუფელის აზრი შენი სიმბოლოს უკეთ გააზრებაში?

ადამიანი ცდილობს, მოაწონოს საკუთარი პიროვნება სხვა ადამიანებს *– ცვლის და ალამაზებს მას სხვა ადამიანებისა და საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარე ისე, რომ ამ ცვლილების*

პროცესში არ დაიკარგოს მისი ძირითადი არსი და მნიშვნელობა.

თანაჯგუფელებთან ერთად იმსჯელე:
რას ამბობს სიმბოლო შენი პიროვნების შესახებ? შენი აზრით, რას ნიშნავს ცნება „პიროვნება“?

*ლათინური სიტყვა **პერსონა (პიროვნება)** ნიშნავს ნიღაბს. ანტიკურ თეატრში მსახიობი იკეთებდა იმ ნიღაბს, რომელიც უკეთ ახასიათებდა პერსონაჟს. ძველ რომში „პერსონა“ უკვე ნიშნავდა „პირს კანონის წინაშე“ მონას, რომლის სხეული და შრომა ეკუთვნოდა ბატონს, პერსონა არ გააჩნდა, ანუ არ ითვლებოდა პიროვნებად.*

2 მოთხოვნილებები და ინტერესები

ადამიანების მოქმედებებს, ზოგიერთი მოსაზრებით, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სურვილი უდევს საფუძვლად. ადამიანის მოთხოვნილებები მრავალგვარია და მათი დაჯგუფების მრავალი ხერხი არსებობს.

ამ ცხრილში, რომელიც ფსიქოლოგმა ალფრედ ალდერფერმა შეიმუშავა, ადამიანის მოთხოვნილებები სამ ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული: არსებობასთან, ურთიერთობებთან და პიროვნულ ზრდასთან დაკავშირებული მოთხოვნილებები.

შეავსე ცხრილი შესაბამისი მაგალითების მიხედვით - შეეცადე წარმოიდგინო, თუ რომელ მოთხოვნილებებს გულისხმობდა მეცნიერი ყოველ ჯგუფში.

მოთხოვნილებათა ჯგუფი	მოთხოვნილება
პიროვნული ზრდა	მაგ: თვითდამკვიდრება,
ურთიერთობა	მაგ: თანამოაზრეთა შეძენა,
არსებობა	მაგ: შიმშილი, წყურვილი,

*„რობინზონ კრუზო“ დანიელ დეფომ **XVIII** საუკუნეში დაწერა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ამბავი უკაცრიელ კუნძულზე გარიყული ადამიანისა, დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ეს წიგნი ალბათ შენც წაგიკითხავს, წიგნი თუ არა, მის მიხედვით გადაღებული ფილმი შეიძლება გქონდეს ნანახი (შენ თუ არა, შენს მეგობრებს მაინც).*

დავალება

შეძლებისდაგვარად **აღიდგინე** წიგნის (კინოფილმის) სიუჟეტი.
წარმოიდგინე შენი თავი მის ადგილას, წარმოიდგინე, რომ შენც მასავით აღმოჩნდი უკაცრიელ კუნძულზე.
როგორ გგონია, რა გჭირდება იმისთვის, რომ თავი გაიტანო და არ

დაიღუპო?
ჩამოწერე ყველაფერი, რაც შენი აზრით, აუცილებელია კუნძულზე გადარჩენისათვის.

დაალაგე ჩამონათვალი მათი საჭიროების მიხედვით:

1. წყალი
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------

გავიდა რამდენიმე დღე და აღმოჩნდა, რომ კუნძულზე მოიპოვება თითქმის ყველაფერი, რაც აუცილებელია არსებობისთვის (მაგ. სასმელი წყალი, საკვები, თავშესაფარი და ა.შ.)

- **შენი აზრით, საკმარისი იქნება თუ არა ყველაფერი ეს იმისათვის, რომ თავი ბედნიერად იგრძნო?**
- **როგორ გგონია, კიდევ რას ინატრებ და რას მოისაკლისებ?**

ჩამოწერე:

_____ _____
_____ _____
_____ _____
_____ _____
_____ _____
_____ _____
_____ _____

შენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, რა მოგენატრება?
დაალაგე ჩამონათვალი ამ ნიშნით.

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის აბრაჰამ მასლოუს აზრით, ადამიანი განუწყვეტლივ იღვწის საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ სრულ კმაყოფილებას ვერასოდეს აღწევს, რადგანაც ერთ მოთხოვნილებას მეორე ცვლის, მეორეს – მესამე და ა.შ.

ადამიანმა უმაღლესი მოთხოვნილების დაკმაყოფილება რომ შეძლოს, ჯერ მისი დაბალი მოთხოვნილებები თანმიმდევრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

მასლოუმ ადამიანის მოთხოვნილებები პირამიდის სახით დაალაგა:



ადამიანის მოთხოვნილებების პირამიდა

კითხვები დისკუსიისთვის

- **ჩამოთვალე, რომელია ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები?**
- **რომლებია უსაფრთხოების მოთხოვნილებები?**
- **შენი აზრით, რას გულისხმობს მიკუთვნებისა და სიყვარულის მოთხოვნილება?**
- **რას ნიშნავს საკუთარი თავის პატივისცემის მოთხოვნილება?**
- **რას ნიშნავს თვითრეალიზაციის მოთხოვნილება?**

მიუბრუნდი შენს პირვანდელ ჩამონათვალს და შეეცადე შენი საჭიროებები შეუსაბამო მასლოუს პირამიდის მოთხოვნილებებს (ჩაწერე პირამიდაში).

ალბათ გაინტერესებს, როგორ აფასებდა სიტუაციას თავად რობინზონ კრუზო?

თავიდან ისიც შენსავით შეეცადა გაეანალიზებინა შექმნილი ვითარება:

„ჩემი გონება თანდათან მოერია სასოწარკვეთილებას და როგორც კი შემეძლო ვინუგეშებდი ხოლმე თავს: ხომ შეიძლებოდა უარეს დღეშიც ჩავვარდნილიყავი–მეთქი. ჩემს უბედურებას ვუპირისპირებდი იმ სიკეთეს, რასაც ასე თუ ისე ვეწიე. მთელის პირუთვნელობით დავიწყე ამ ორი მოვლენის – უბედურებისა და ბედნიერების – ერთმანეთის დაპირისპირებით ჩაწერა, თითქოს კრედიტორისა და მოვალის ანგარიში ყოფილიყოს“

უბედურება	ბედნიერება
საშინელ, უდაბურ კუნძულზე გადმომხვეწა ბედმა. გადარჩენის ყოველგვარი იმედი დაკარგული მაქვს.	მაგრამ ცოცხალი დავრჩი: ჩემი თანამგზავრებივით არ დავმხჩვალვარ.
ყველას დავშორდი, მოწყვეტილი ვარ მთელს ქვეყნიერებას, განმარტოებული და ბედკრული.	მაგრამ ასევე დავშორდი ჩემი თანამგზავრების საშინელ ბედსაც. და, ვინც ასე სასწაულებრივად მიხსნა სიკვდილისაგან, მასვე ძალუძს ამ მდგომარეობიდანაც გამომიყვანოს.
ადამიანებს სავსებით მოვწყდი, უთვისტომო და განდეგილი ვარ.	მაგრამ შიმშილით არ მოვმკვდარვარ და არ დავღუპულვარ ამ გავერანებულ კუნძულზე, სადაც არსებობის არავითარი პირობები არ არის.
ტანსაცმელი თითქმის აღარა მაქვს, მალე სულ ტიტველი ვიქნები.	მაგრამ ჰავა აქ ისეთი ცხელია, რომ, თუნდაც ბევრი მქონდეს ტანსაცმელი, ალბათ მაინც ვერ ჩავიცვამდი.
თან არაფერი მაქვს, რომ მხეცებსა და ველურებს გავუმკლავდე.	მაგრამ ისეთ კუნძულზე გამოვირიყე, სადაც სულაც არა ჩანს მხეცები. რა მეშველებოდა, აფრიკის სანაპიროებზე რომ მოვხვედრილიყავი?
თან არავინ მახლავს, რომ გამომელაპარაკოს და შვება მაგრძნობინოს.	მაგრამ ღმერთმა სასწაულებრივად მოუახლოვა გემი ნაპირს, რათა შემძლებოდა ისეთი საჭირო ნივთების გადმოტანა, რომლებიც ყოველდღიურად გამომადგება და სიკვდილის კარამდე უზრუნველსა მყოფს.

ყველაზე მეტად რის ნაკლებობას განიცდის, ანუ უბედურებად რას მიიჩნევს რობინზონი?
მონიშნე შესაბამისი მოთხოვნილებები მასლოუს პირამიდაზე.
ემთხვევა თუ არა შენი და რობინზონის ვარაუდები ერთმანეთს?

*მოთხოვნილებების საფუძველზე ყალიბდება **ინტერესები.** ჩვენ გვაინტერესებს ის მოვლენები და საგნები, რომლებიც დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს.*

*ინტერესი შეიძლება იყოს **პირდაპირი და ირიბი**. მივმართოთ მაგალითს: ორი მოსწავლე ცდილობს მათემატიკური ამოცანის ამოხსნას. პირველს ძალიან აინტერესებს მათემატიკა, ის თავისუფალ დროსაც ხსნის ამოცანებს. ასეთ ინტერესს **პირდაპირი ინტერესი** ეწოდება*

*მეორე მოსწავლეს კი არ უყვარს მათემატიკა, მაგრამ იცის, რომ ამ საგანში გამოცდის ჩაბარება აუცილებელი პირობაა სკოლის წარმატებით დამთავრებისათვის. ამ მოსწავლეს მათემატიკისადმი **ირიბი ინტერესი** აქვს.*

ირიბი ინტერესის ჩამოსაყალიბებლად და შესანარჩუნებლად პიროვნებას ხშირად ნებისყოფა სჭირდება, რადგან ერთი შეხედვით მოსაბეზრებელი საქმიანობა შეიძლება მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევაში დაეხმაროს.

წაიკითხე მაგალითები და მოიფიქრე რაც შეიძლება მეტი ინტერესი, რომელიც შეიძლება მოიაზრებოდეს მოცემული ქმედებების უკან :

- **ანო დადის ხატვის გაკვეთილზე, რადგან**:

პირდაპირი ინტერესი:
ირიბი ინტერესები:

- **ვანოს აინტერესებს ლიტერატურა, რადგან:**

პირდაპირი ინტერესი:
ირიბი ინტერესები:

- **ვანომ შეიძინა მოტოციკლეტი, რადგან**:

პირდაპირი ინტერესი:
ირიბი ინტერესები:

ჩამოწერეთ მოთხოვნილებები, რომლებსაც ეყრდნობა ჩამოთვლილი ინტერესები.

- ----------
- ----------
- ----------
- ----------
- ----------
- ----------
- ----------
-

? კითხვები

როგორ არის უფრო ადვილი ამ დავალების შესრულება, მარტო თუ თანაჯგუფელებთან ერთად? რატომ?
შეიძლება თუ არა, რომ კონკრეტულ ქმედებას განაპირობებდეს სხვადასხვა ინტერესი? სხვადასხვა მოთხოვნილება?
შეიძლება თუ არა, რომ ერთი და იგივე მოთხოვნილება გამოვლინდეს სხვადასხვა ინტერესში? სხვადასხვა ქმედებაში?

3 ადამიანის მონაცემები და მათი გამოყენება

ადამიანი იბადება გარკვეული ნიჭითა და მონაცემებით, რაც განაპირობებს ამა თუ იმ სფეროში ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის სისწრაფესა და სიმარტივეს. ადამიანის მონაცემები თანდაყოლილია, მაგრამ ვითარდება და ვლინდება ცხოვრების მანძილზე. მონაცემები ქმნიან მხოლოდ წინაპირობას ადამიანის წარმატებისათვის. თუ პიროვნებამ არ მოინდომა, ის ვერ შეძლებს საკუთარი მონაცემების სრულად გამოყენებას.

? კითხვები

რომელ ნაძვს აქვს უკეთესი მონაცემები? რომელი გაიზარდა უფრო მაღალი? რატომ?



*ადამიანს მნიშვნელოვანი თვისება ახასიათებს – **თავისუფალი ნება**.*

თავისუფალი ნება ნიშნავს, რომ პიროვნებას შეუძლია:

- *გააზრებული, წინდახედული გადაწყვეტილებების მიღება;*
- *საკუთარი თავის სრულყოფა;*
- *გარემოზე ზემოქმედება.*
- *სხვების, ან რაიმე შეზღუდვების გათვალისწინებით და თუნდაც მათ საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილების მიღება.*

თავისუფალი ნების წყალობით პიროვნებას შეუძლია, მიზანმიმართულად იმოქმედოს თავისი მონაცემების სრულად გამოვლენისათვის.

თავისუფალი ნება ვლინდება იმაში, თუ რამდენად შეუძლია პიროვნებას პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აიღება.

შენ გევალება, წერილობით ჩამოაყალიბო აზრი მთავრობის ინიციატივის შესახებ – ემხრობი თუ არა ამ ინიციატივას? რატომ?

წარმოიდგინე, რომ შენ ცხოვრობ 2050 წელს. უკვე რამდენიმე წელია, რაც შესაძლებელია ბავშვის გენების ანალიზის საფუძველზე მისი თანდაყოლილი თვისებების სრული აღწერა მისი დაბადებისთანავე. მთავრობა აპირებს, შემოიღოს ახალი დაბადების მოწმობები, რომლებშიც შევა შემდეგი მონაცემები:

- *სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა;*
- *ფიზიკური ჯანმრთელობის ზოგადი კოეფიციენტი;*
- *ნიჭიერების კოეფიციენტი;*
- *ინტელექტის კოეფიციენტი.*

სუხიშვილების ოჯახური ტრადიცია

საქართველოში ყველას სმენია სუხიშვილების ქორეოგრაფიული ანსამბლის, საქართველოს ნაციონალური ბალეტის შესახებ, რომელმაც ქართულ ცეკვას მთელს მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

ამ საქმეს სუხიშვილების გვარის უკვე მესამე თაობა ემსახურება.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს პიროვნების წარმატებაზე ამა თუ იმ სფეროში არის სოციალური მემკვიდრეობითობა - მოცეკვავის შვილი ირჩევს იგივე პროფესიას არა მხოლოდ იმიტომ, რომ თანდაყოლილი მონაცემები აქვს, არამედ იმიტომაც, რომ ბავშვობიდან გაიცნო და შეიყვარა ეს პროფესია.

4 ღირებულებები და პრინციპები

ჩამოწერე შესაბამის სვეტებში ორი ცნობილი პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებები. შენს სვეტში გადაწერე ისინი, რაც თვითონაც გახასიათებს და დაამატე ის თვისებები, რომლებიც სხვა ორ სვეტში არ აღმოჩნდა, მაგრამ გაქვს შენ.

დავით აღმაშენებლი	მე	ადოლფ ჰიტლერი

თანაჯგუფელებთან ერთად იმსჯელე:

- **გაქვს თუ არა რომელიმე სვეტში ჩამოთვლილი მხოლოდ უარყოფითი ან მხოლოდ დადებითი თვისებები? რომელში? რატომ?**
- **შენი აზრით, არსებობს თუ არა პიროვნება, რომელსაც მხოლოდ დადებითი თვისებები აქვს?**
- **რის მიხედვით ვმსჯელობთ, დადებითია პიროვნება, თუ უარყოფითი?**
- **შენს სვეტში ჩამოთვლილი თვისებებიდან რომელია თანდაყოლილი (თვისებები, რომლებიც გაქვს დაბადებიდან) და რომელი – შეძენილი (თვისებები, რომლებსაც იძენ ცხოვრების მანძილზე)?**
- **რა ღირებულებები გააჩნიათ აღნიშნულ პიროვნებებს? როგორ აისახებოდა ეს ღირებულებები ამ ადამიანთა მოქმედებებში?**

რითი უფრო ზუსტად შეფასდება პიროვნება, მისი მიერ გამოცხადებული ღირებულებებით თუ მისივე მოქმედებებით?

- **რა არის ამ პიროვნებების საერთო ღირებულებები?**

პიროვნების ღირებულებები მიგვანიშნებს, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი და ძვირფასი ცხოვრებაში, რა მოწონს, რას მიიჩნევს კარგად. მაგალითად: სიკეთე, გულახდილობა, გულუხვობა, სამშობლოს სიყვარული.

ღირებულებებზე დაყრდნობით პიროვნება შეიმუშავებს **პრინციპებს - ქცევის ზოგად წესებს მთელი ცხოვრებისათვის. პრინციპები გვიჩვენებს, როგორ აღწევს და ინარჩუნებს პიროვნება იმას, რაც მისთვის ძვირფასი და მნიშვნელოვანია.**

მაგალითად, პატრიოტიზმი – ღირებულებაა. ამ ღირებულებას იზიარებდნენ ადოლფ ჰიტლერი და დავით აღმაშენებელი, მაგრამ მათი პრინციპები განსხვავდებოდა – ეს ორი პიროვნება სხვადასხვანაირად გამოხატავდა სამშობლოსადმი სიყვარულს ქცევაში.

? კითხვები

წაიკითხე და აღნიშნე, რომელ ღირებულებას ან ღირებულებებს ეყრდნობა ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპები?

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი;
ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად;
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
არა ვარგა უსაზომო;
პატივი ეცი დედასა და მამასა შენსა;
სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება!

თავად ჩამოაყალიბე შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამი პრინციპი, როდესაც ირჩევ მეგობრებს. რომელ ღირებულებებს ეყრდნობა ეს პრინციპები?

როგორ გესმის ამ გამონათქვამის მნიშვნელობა?

> *იყო პიროვნება ნიშნავს – გქონდეს უნარი, იყო საკუთარი თავის ბატონი არჩეული პრინციპების წყალობით.*
> *(კანტი)*

პრინციპული პიროვნება იშვიათად ღალატობს საკუთარ ღირებულებებსა და შეხედულებებს, თუმცა პრინციპულობა არ ნიშნავს სიჯიუტეს. ზოგჯერ პრინციპების გადახედვა და შეცვლა პიროვნების განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა.

პიროვნება არის ადამიანი, რომელიც ვითარდება საზოგადოებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას. პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში ადამიანი იძენს სხვებთან თანაარსებობის უნარ-ჩვევებს, უყალიბდება ხასიათი, ღირებულებები, ნებისყოფა, იძენს ცოდნას და გამოცდილებას. ყველა პიროვნებას აქვს ღირებულებები, მოთხოვნილებები და ინტერესები.

ღირებულება არის წარმოდგენა სასურველის, მისაღების და მიუღებლის შესახებ, რაც გავლენას ახდენს ადამიანის ან ჯგუფის მიზანსა და ქმედებაზე.

ადამიანს ღირებულებებისა და მოთხოვნილებების საფუძველზე უყალიბდება ინტერესები, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე იცვლება.

ამ ეტაპზე რა არის შენი ინტერესი და რა ღირებულებები და მოთხოვნილებები განაპირობებენ ამ ინტერესს?

ინტერესი	ღირებულება	მოთხოვნილება

5 ჩემი ადგილი საზოგადოებაში

აღწერე ერთი ჩვეულებრივი დღე. ყურადღება გაამახვილე შენს საქმიანობაზე და გამოყავი იმ ადამიანთა ჯგუფები, ვისთანაც დღის განმავლობაში გიწევს ურთიერთობა.

გაანაწილე ადამიანების სხვადასხვა ჯგუფთან გატარებული დრო:

ჯგუფი	მათთან გატარებული დრო
ოჯახის წევრები	
თანაკლასელები	
სამეგობრო	
სამეზობლო	
ფეხბურთის გუნდი	
ხატვის წრე	
და ა.შ. (გააგრძელე ჩამონათვალი)	

პირველყოფილ თემურ წყობილებაში ადამიანთა გაერთიანების მიზეზს გადარჩენის ინსტინქტი წარმოადგენდა, ვინაიდან პირველყოფილ ადამიანს ჯგუფში უკეთ შეეძლო მტრისაგან თავის დაცვა და საკვების მოპოვება. თანაცხოვრება, ერთობლივი ძალისხმევა გადარჩენისთვის, საკვების მოპოვებისა თუ თავდასხმების მოგერიებისთვის, დღესაც აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია ცხოველთა ზოგიერთი პოპულაციისთვის, თუმცა, ცხოველთა ერთობლიობა საზოგადოებას არ წარმოადგენს. საზოგადოება მხოლოდ ადამიანთა ერთად ცხოვრების დამახასიათებელი ფორმაა. ადამიანთა გაერთიანების ზემოთ აღნიშნული მიზეზების გარდა, არსებობს კიდევ რამდენიმე მიზეზი: მაგ: სოციალიზაცია – საზოგადოებაში ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა; საერთო ინტერესები, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილება, ურთიერთსიმპათიები; საერთო

მიზანი ან საქმე, რომლის დამოუკიდებლად მიღწევა ან გაკეთება, მხოლოდ ერთი ადამიანისთვის შეუძლებელია.

საზოგადოება არის ადამიანთა თანაცხოვრებისა და ერთობლივი საქმიანობის ფორმა. ადამიანთა ეს გაერთიანება იქმნება საერთო ინტერესების და საჭიროებების, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ან ურთიერთსიმპათიების გავლენით. მას ახასიათებს მდგრადობა, საერთო ღირებულებები და ქცევის განსაზღვრული ნორმები.

მაგ., სკოლის თანამშრომლები ქმნიან საზოგადოებას, რადგან ისინი ურთიერთობენ
გარკვეული საერთო ინტერესების საფუძველზე.

განსაზღვრე, რომელ საზოგადოებას უთმობ მეტ დროს.
გაერთიანდი იმ თანაჯგუფელებთან, რომელთაც შენი მსგავსი განსაზღვრება აქვთ.
გამოიკვლიე და განიხილე თანაჯგუფელებთან ერთად:

? კითხვები

რა საერთო ინტერესები გაერთიანებთ?
გრძნობ თუ არა სარულფასოვნად და დაცულად თავს ჯგუფში, რომელსაც თავს მიაკუთვნებ? როგორ გრძნობ ამას?
ითვალისწინებ თუ არა შენი საზოგადოებას **სხვა წევრების ინტერესებსა და უფლებებს?**
როგორ?
ემთხვევა თუ არა შენი ინტერესები იმ საზოგადოების **ინტერესებს, რომლის წევრადაც თავს მიიჩნევ? რა ინტერესებია ეს?**

ჩამოწერე 3 **საზოგადოება, რომლის წევრადაც მიიჩნევ თავს (მაგალითად: ოჯახი, მეგობრების წრე) და შემდეგ, კითხვის მიხედვით,**

შესაბამის გრაფაში ჩაწერე პასუხები. რატომ მიაკუთვნებ თავს ამ საზოგადოებას? ამ საზოგადოების წევრობა ნებაყოფლობითად მიგაჩნია თუ სავალდებულოდ?

საზოგადოება	საფუძველი	ნებაყოფილობითი	სავალდებულო

რამდენიმე თანაჯგუფელთან ერთად განსახილველად აირჩიე ერთ-ერთი ოჯახის ფოტო, დაასათაურე და აღწერე:

აღნიშნე, რომელი სიტყვები შეესაბამება შენს მიერ წარმოდგენილ ოჯახს:	+	-
სიყვარული		
თანაგრძნობა		
სიღარიბე		
ურთიერთპატივისცემა		
თანადგომა		
უნდობლობა		
გულგატეხილობა		
დათმობა		
თანამშრომლობა		
სასოწარკვეთა		
უიმედობა		
მიტევება		
პასუხისმგებლობა		
მარტოობა		
ფუნქციების განაწილება		
ერთმანეთის უფლებების დაცვა		
ძალადობა		
სხვისი აზრის გათვალისწინება		
ღალატი		
ალერსი		
ზრუნვა		

© Rex Features

რა არის, შენი აზრით, ოჯახი ?



- **საინტერესოა, როგორ შეავსებენ ამ სქემას შენი ოჯახის სხვა წევრები?**
- **სცადე, შესთავაზე შეავსონ და შემდეგ შეადარე შენსას. საინტერესოა, რა იქნება მსგავსი და რა - განსხვავებული?**

შეავსე ცხრილი – მოიფიქრე, რა სარგებელობა მოაქვს შენთვის ჩამოთვლილ ჯგუფებში ყოფნას?

ჯგუფი	სარგებელი
ოჯახი	
მეგობრები	
კლასი	

გაერთიანების რა საერთო მიზეზებია სამივე ჯგუფისათვის?

დაწერე დასკვნა (ერთი აბზაცი)
მე ვარ გაერთიანებული სხვადასხვა ჯგუფში, რადგან

_____

_____

_____

_____

რატომ ქმნიან ადამიანები ჯგუფებს?

- *ჯგუფების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი მიზეზი* ***გადარჩენის ინსტინქტია****. პირველყოფილ ადამიანს ჯგუფში უკეთ შეეძლო მტრისგან თავის დაცვა და საკვების მოპოვება. ის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრება უფრო უსაფრთხოა, ადამიანების ერთობლივი (ჯგუფური), მრავალსაუკუნოვანი ძალისხმევის შედეგია. გადარჩენის და თავდაცვის სურვილი დღესაც ხშირად რჩება ადამიანთა გაერთიანების მიზეზად.*
- *ჯგუფებში გაერთიანების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი* ***საზოგადოებაში ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენაა.*** *მაგალითად, სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას ჩვენ ვსწავლობთ მეტყველებას. ისეთ ჯგუფებში, როგორი-*

ცაა ოჯახი, სკოლა, მეგობრების წრე, ადამიანი ეცნობა ღირებულებებს, ითვისებს ქცევის წესებს. ამ პროცესს ***სოციალიზაცია*** *ეწოდება.*

- *ჯგუფებში გაერთიანება აუცილებელია ადამიანის ისეთი მნიშვნელოვანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, როგორიცაა* ***ურთიერთობა*** *– ამიტომ ჯგუფში გაერთიანებას ხშირად* ***საერთო ინტერესები და ურთიერთსიმპათიები*** *განაპირობებს. (მაგალითად მეგობრების წრე)*
- *ხშირად ადამიანები ერთიანდებიან* ***საერთო საქმის ან მიზნის ირგვლივ****, რომლის განხორციელება მარტო შეუძლებელია. (მაგალითად, ფეხბურთის გუნდი, ან კლასი).*
- ***ერთად ადამიანებს უფრო უადვილდებათ უარყოფითი ემოციების (მაგალითად შიშის) დაძლევა****. ბანკის მძარცველების მიერ მძევლად დატოვებული ადამიანები აუცილებლად ერთ ჯგუფად შეიკვრებიან და ერთმანეთის ინტერესებს დაიცავენ. ისინი უკვე მძარცველების წინააღმდეგ გაერთიანებულ ჯგუფს წარმოადგენენ).*
-

? კითხვები

უპასუხე კითხვებს:

გაიხსენე მოქმედება, ქცევა, რომელსაც კლასის წევრთა უმრავლესობა ყოველდღიურად ასრულებს?	
რით არის განპირობებული იმ მოსწავლეთა ერთგვაროვანი საქციელი, რომლებსაც განსხვავებული გემოვნება და სურვილები გააჩნიათ?	

გაიხსენე ორი შემთხვევა შენი ცხოვრებიდან და მოუყევი თანაკლასელებს:

1. შემთხვევა, როდესაც შენი ინტერესი არ ემთხვეოდა საზოგადოების (რომელიმე ჯგუფის – ოჯახის, მეგობრების, მეზობლების) ინტერესს და როგორ განვითარდა მოვლენები (კონფლიქტით, დათმობით, შეთანხმებით). დღეს მსგავს სიტუაციაში რომ აღმოჩნდე, როგორ იმოქმედებ? რას შეცვლი შენს ქცევაში?

2. შემთხვევა, რომელიც ნათელი მაგალითი იქნება იმისა, თუ როგორ ემთხვევა შენი პიროვნული და საზოგადოების ინტერესი ერთმანეთს. შენი აზრით, რა ღირებულებებს და მოთხოვნილებებს ეფუძნებოდა ეს ინტერესი, როგორც საზოგადოების, ისე შენი მხრიდან?

წაიკითხე ჯგუფების ტიპების განმარტებები და მიაწერე თითოეულ ჯგუფს, რომელსაც მიაკუთვნე შენი თავი, მისი შესაბამისი ტიპი.

ჯგუფების ტიპები

საზოგადოება ადამიანების ერთობლიობაა. ცხადია, რომ ინდივიდების ყოველგვარი გაერთიანება, მაგალითად, შემთხვევითი და დროებითი, საზოგადოებას ვერ წარმოქმნის. ამისთვის აუცილებელია საერთო მიზნებისა და ინტერესების არსებობა.

მყარი ჯგუფი *ისეთი გაერთიანებაა, რომელიც გრძელვადიან ურთიერთკავშირზე არის დაფუძნებული.*

არამყარ, დროებით ან შემთხვევით ჯგუფში *კი არამდგრადი და მოკლევადიანი ურთიერთობები ყალიბდება (მაგალითად თვითმფრინავის მგზავრთა ჯგუფი ან სტადიონზე სპორტული გუნდის გულშემატკივართა ჯგუფი).*

7 ღირსება

ყველა ადამიანი თავისუფალი და საკუთარი ღირსებითა და უფლებებით თანასწორი იბადება. ადამიანის ღირსება მისი განუყოფელი და თანდაყოლილი თვისებაა.

***ღირსება** უნივერსალური ცნებაა. ის სახელმწიფოზე, ეროვნებასა და იდეოლოგიაზე მაღლა დგას. იგი ყველა უფლებათა და თავისუფლებათა წყაროა.*
არსებობს ღირსების ორი სახე – ადამიანური და პირადი.

***პირადი ღირსება** თითოეული ადამიანის მიერ ცხოვრების განმავლობაში კეთილშობილური საქციელით, კეთილი საქმეებით მიიღწევა და ილახება უღირსი, სულმდაბალი ქმედებისას. აქედან გამომდინარე, ის გვინერგავს საკუთარი თავის პატივისცემას და სხვისი ღირსების დაფასებასაც.*

***ადამიანური ღირსება** ერთნაირად აქვს მომადლებული ყველა ადამიანს – იქნება ეს ახალშობილი, ამქვეყნად რომ არაფერი შეუქმნია, თუ ჩამოყალიბებული დამნაშავე.*

წაიკითხე და იმსჯელე:

ეზოპე[1] წარმოშობით ფრიგიელი იყო, მონად დაბადებული.
დიდად აფასებდა თურმე ქსენფი, თავადაც ფილოსოფოსი და მოაზროვნე, თავისი მონის გამჭრიახობას. თანასწორივით ჰკითხავდა ხოლმე რჩევას ეზოპეს და ისიც თანასწორივით პასუხობდა პატრონს. კუზიანი, შეუხედავი, უუფლებო და უპოვარი მონა გასამრჯელოდ მხოლოდ თავისუფლებას ითხოვდა... თუმცა სულ ამაოდ.

1 ეზოპე – ცნობილი მეიგავარაკე, ცხოვრობდა VI ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეზოპემ დაწერა 400-მდე იგავ-არაკი.

ერთხელ ეზოპე და მისი პატრონი სასაფლაოზე განძს წააწყდნენ.

ქსენფი განძის ნახევარსა და თავისუფლებას შეპირდა მონას, მაგრამ შემდეგ სიხარბემ სძლია: ნაპოვნი რომ გაგიყო, ხალხს შემიყრი და ამ ქვეყნის მმართველი ყველაფერს წაგვართმევსო.

– არ მინდა შენი ოქრო, მხოლოდ თავისუფლება მიბოძე, – ისევ სთხოვა ეზოპემ.

– ვფიცავ ზევსს, ასეთ ბრძენსა და ღირსეულს, ვერაფრით შეგელევი!

– ნებით არ გამიშვებ, გემით წავალ, – შეესიტყვა მონა პატრონს.

– ხმა ჩაიწყვიტე, არარაობავ, არაფრის მქონეს ეს თავისუფლება რაღად გინდა? – განრისხდა ქსენფი...

კითხვა დისკუსიისთვის:
რა მთავარი ადამიანური ფასეულობა შეურაცხყო ქსენფმა?
როგორ გესმის სიტყვა "ღირსება"? მისი მნიშვნელობა?
(შეავსეთ სქემა)



მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი, თავისი ღირსებითა და უფლებებით თანასწორი. ადამიანებს მომადლებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთს ძმური სულისკვეთებით უნდა ეპყრობოდნენ.

*მუხლი **2***

დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს – განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

- დაიყავით 4-5 კაციან ჯგუფებად. ყურადღებით გაეცანით სიტუაციების ჩამონათვალს. **განიხილეთ და შეთანხმდით,** თუ რა შემთხვევაში ილახება ადამიანური ღირსება და რა შემთხვევაში – პირადი ღირსება. შეავსეთ სქემა:

ა. თანაკლასელმა მეგობარ გოგონას ვარცხნილობა დაუწუნა და დასცინა.

ბ. ქალაქის დასუფთავების სამსახურს თვეობით არ გააქვს ნაგავი.

გ. ჯანმრთელობის ცნობის ასაღებად მოქალაქეებს პოლიკლინიკაში რამდენჯერმე უხდებათ მისვლა და ლოდინი.

დ. გამყიდველმა უხეშად მიმართა მომხმარებელს.

ე. ექიმმა, თანხის გადაუხდელობის გამო, პაციენტს დაუგვიანა ოპერაცია.

ვ. დირექტორმა, თანამშრომელთა დაწინაურებისას, უპირატესობა მამაკაცს მიანიჭა.

ზ. მასწავლებელმა ხმამაღლა წაიკითხა მოსწავლის პირადი წერილი.

თ. ცუდად ჩაცმულ ადამიანს, სასტუმროს ადმინისტრატორმა განუცხადა, რომ თუ იგი საფასურს წინასწარ არ გადაიხდიდა, სასტუმროში დაბინავებაზე უარს ეტყოდნენ.

ი. დაწესებულების ხელმძღვანელი თანამშრომლებს სამუშაოს დამთავრების შემდეგ დამატებით ტოვებს ყოველგვარი წინასწარი შეთანხმებისა და ანაზღაურების გარეშე.

კ. სასჯელმოხდილი ახალგაზრდა სამსახურში არ მიიღეს.

ლ. უფროსმა დამ ძმის სატელეფონო საუბარი მოისმინა და მშობლებს უამბო.

ადამიანური ღირსება	პირადი ღირსება

8 გაერთიანება, ანუ შეთანხმება

„ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობები საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება“

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

? კითხვები

- **შენი აზრით, არის თუ არა აუცილებელი ჯგუფში და საზოგადოებაში წესების არსებობა? რატომ?**
- **წარმოგიდგენია ფეხბურთის თამაში წესების გარეშე? რა მოხდებოდა მოედანზე, წესები რომ არ არსებობდეს?**

*ჩვენი ქცევა ჯგუფში განისაზღვრება იმით, თუ რას ელიან ჩვენგან სხვა წევრები. ჯგუფში ყოველთვის არსებობს ქცევის წესები (ხშირად დაუწერელი), რომელთაც ყველა წევრი იცავს. ამ წესებს **ნორმები** ეწოდება. ნორმები ჯგუფში მიღებული **ღირებულებების** სარკეა.*

*ნორმის დარღვევისათვის ჯგუფის წევრი ისჯება. მოსწავლე, რომელიც შეურაცხყოფას მიაყენებს თანაკლასელს მეგობრებისაგან საყვედურს მიიღებს, "უადგილო" ხუმრობას მოჰყვება ცივი დუმილი. **დასჯა** შეიძლება იყოს უფრო ოფიციალურიც – მაგალითად, ჯარიმის გადახდა ან ციხეში ჩასმა.*

*ნორმის კარგად შესრულებისათვის ადამიანს **წაახალისებენ**, მაგალითად ქების სახით. ბეჯითი მოსწავლე მაღალ შეფასებას იღებს გამოცდაზე, კარგი თანამშრომელი – პრემიას ან მაღალ ხელფასს.*

დასჯისა და წახალისების ხერხებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ნორმების დაცვას, სანქციები ეწოდება.

შეიმუშავეთ თქვენი სასწავლო ჯგუფის უმნიშვნელოვანეს წესთა ნუსხა, რომელიც 10 პუნქტისგან შედგება

წესები	**რა პრობლემებს აგვარიდებს თავიდან ეს წესი?**

- **ჩანს თუ არა წესებში ნორმები და სანქციები?**
- **არის თუ არა ეს წესები სრულყოფილი? უცვლელი?**
- **ჩანს თუ არა თქვენი ნუსხიდან წესების შეცვლის წესი?**
- **როგორ გგონიათ, როგორი უნდა იყოს ეს წესი? რატომ?**

ნორმებისა და სანქციების დიდი ნაწილი ჯგუფის დაუწერელ წესებში გამოიხატება, ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმები და შესაბამისი სანქციები კი კანონების სახეს ატარებს.

წესები და კანონები ჯგუფში ადამიანის თავისუფლების გარკვეულ შეზღუდვას გულისხმობს. ამ დათმობაზე პიროვნება შეგნებულად მიდის, რადგან ჯგუფში ყოფნა მისთვის, ამა თუ იმ სახით, აუცილებლობას წარმოადგენს.

ისევე, როგორც ცალკეული პიროვნება იცავს ჯგუფის წესებს, ცალკეული ჯგუფიც იზიარებს უფრო დიდი საზოგადოების წესებს, რომლის შემადგენლობაშიც ის შედის. კლასის წესებში აისახება სკოლის წესები, ოჯახის წესებში – საზოგადოებაში მიღებული ღირებულებები და წესები და ა.შ.

წესების დაცვა აუცილებელია, მაგრამ ყველა წესი არ არის მუდმივი და უცვლელი. ჯგუფის წევრებმა ღიად უნდა განიხილონ საკითხი და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალონ ზოგიერთი წესი.

საზოგადოებრივი ინტერესი: *რა არის (ან იქნებოდა) კარგი მთლიანად საზოგადოებისათვის.*
პირადი ინტერესი: *რა არის (ან იქნებოდა) კარგი პიროვნებისათვის, ან ადამიანთა ჯგუფისათვის, მაგრამ არა აუცილებლად ფართო საზოგადოებისათვის.*

საზოგადოებაში განაწილებულია უფლებები და მოვალეობები. თუ საზოგადოების წევრი თავის ***უფლებას*** *გადააჭარბებს, ან დაკისრებულ* ***მოვალეობას*** *არ შეასრულებს, მას შესაბამისი* ***პასუხისმგებლობა*** *ეკისრება, იქნება ეს დასჯა თუ გაკიცხვა. ეს ხდება ტრადიციების, ზნეობრივი და რელიგიური ნორმების ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონების საფუძველზე.*

პირველ გრაფაში ჩამოწერე სამი ჯგუფი, რომლის წევრადაც მიიჩნევ თავს (მაგ: ოჯახი, კლასი). უფლებებისა და მოვალეობების გრაფაში კი ჩამოწერე ის კონკრეტული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც ამ ჯგუფის მიმართ გაგაჩნია. მაგ: მოვალეობაა, პატივს სცემდე ჯგუფის სხვა წევრებს, უფლებაა, მონაწილეობდე ამ ჯგუფის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში.

ჯგუფი	უფლებები	მოვალეობები

9 თავისუფლება

შენი უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი უფლებები.

ლაო ძი

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვების უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს კონსტიტუცია, 44-ე მუხლი

? კითხვები

- შენი აზრით, რას ნიშნავს სიტყვა თავისუფლება?
- განმარტე ცნება „თავისუფლება“ შენი სიტყვებით
- თავისუფლება ნიშნავს
- შენი აზრით, არსებობს თუ არა საზოგადოებაში აბსოლუტური თავისუფლება? რატომ?

თავისუფლება ნიშნავს ადამიანის შესაძლებლობას, იმოქმედოს თავისი ნების შესაბამისად ისე, რომ არ ავნოს სხვებსა და საკუთარ თავს და არ შეზღუდოს სხვათა თავისუფლება.

ამავე დროს, თავისუფლება ნიშნავს მოქმედებაზე პასუხისმგებლობასაც. *ამიტომ თავისუფლება გულისხმობს როგორც უფლებებს, ისე მოვალეობებს. ყოველი უფლება შეზღუდულია შესაბამისი მოვალეობით. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია, ისარგებლოს უფლებებით მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში ისე, რომ არ შეზღუდოს სხვათა უფლებები.*

თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც კანონითაა დადგენილი მარტოოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სხვების უფლებათა და წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 29

ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში ჩამოთვლილია ადამიანის ძირითადი თავისუფლებები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია:

- სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- ფიქრის, რწმენის, აზრის ქონისა და გამოხატვის თავისუფლება;
- ასოციაციებში გაერთიანების თავისუფლება

რა უფლებები და მოვალეობები იგულისხმება თითოეულში? (შეავსე ცხრილი)

უფლება	**მოვალეობა (როგორ ვუწყობ ხელს სხვათა იმავე უფლების უზრუნველყოფას?)**
ვიხელმძღვანელო ჩემი პრინციპებით	მაგ: პატივი ვცე სხვის გადაწყვეტილებას და პრინციპებს
მქონდეს საკუთარი შეხედულება ნებისმიერ საკითხზე	
გავერთიანდე ჯგუფებში	

10 გემით მგზავრობა ახალი კონტინენტისკენ

რას გადააგდებ ზღვაში

წარმოიდგინეთ, რომ ახალ კონტინენტზე გემით გასამგზავრებლად ემზადებით. ამ კონტინენტზე ამჟამად, არავინ ცხოვრობს. თქვენ კონტინენტზე ჩასული პირველი ადამიანები იქნებით და ახალი ქვეყნის დაარსება მოგიწევთ.

ჯგუფური სამუშაო:
მასწავლებელმა თითოეულ ჯგუფს მოგცათ კონვერტები "სურვილის" და „საჭიროების" ბარათებით. ბარათებზე ყველა ის ნივთია აღნიშნული, რომლებიც თქვენ ახალ ქვეყანაში ცხოვრების დასაწყებად თან უნდა წაიღოთ.

გახსენით კონვერტი და კარგად გაეცანით ბარათებს.

გემი უკვე ზღვაში გადის: თავიდან მოგზაურობა ძალზე სასიამოვნოა. მზე ანათებს და ზღვა მშვიდია. მაგრამ უცებ დიდი შტორმი იწყება და გემის რწევას იწყებს. უფრო სწორად, ჩაძირვას! იმისთვის, რომ გემი არ ჩაიძიროს, გემბანიდან **სამი** ბარათი უნდა გადააგდოთ.

მოიფიქრეთ და გადაწყიტეთ, თუ რას შეელევით? გახსოვდეთ, რომ ამ ნივთებს ვეღარ დაიბრუნებთ.

შეაგროვეთ „ზღვაში გადაგდებული" ბარათები მასწავლებელთან და ერთად შეკარით.

ზღვა როგორც იქნა დამშვიდდა. ყველამ შვებით ამოისუნთქა, თუმცა ამინდის ბიურომ გამოაცხადა რომ მეხუთე კატეგორიის ქარიშხალი ამოვარდა და გემისკენ მოემართება. თუ გინდათ, რომ ქარიშხალს გადაურჩეთ, **კიდევ სამი ბარათი** უნდა გადააგდოთ ზღვაში.

გახსოვდეთ: არ გადააგდოთ ის, რაც შესაძლოა ახალ ქვეყანაში დაგჭირდეთ.

ისევე, როგორც წინა ჯერზე, შეაგროვეთ ბარათები და ცალკე შეინახეთ.

ძლივს გადავრჩით! თითქმის მივადექით ახალ კონტინენტს. ყველა გახარებული და აღელვებულია. თუმცა, როგორც კი ჰორიზონტზე მიწა გამოჩნდა, გემს უზარმაზარი ვეშაპი დაეჯახა და მის გვერდზე ნაპრალი გაჩნდა, ასე რომ გემი უფრო მჩატე უნდა გახდეს!

კიდევ სამი ბარათის გადაგდება მოგიწევთ.

შეაგროვეთ და ცალკე შეკარით ეს ბარათები.

ვაშა! მშვიდობით მივაღწიეთ ახალ კონტინენტს და მზად ვართ ახალი ქვეყნის ასაშენებლად.

თითოეულ ჯგუფმა, დააწებეთ/დაამაგრეთ დარჩენილი ბარათები ფურცელზე, რომ ყველას გახსოვდეთ, თუ რა მიგაქვთ ახალ კონტინენტზე.

გაქვთ ყველა ის ნივთი, რომლებიც ახალ კონტინენტზე გაგაძლებინებთ? რომელიც გაზრდასა და განვითარებაში მოგეხმარებათ?

თითოეულმა ჯგუფმა ჩამოკიდეთ თქვენი ფურცელი ოთახში. ახსენით, რა მიგაქვთ ახალ კონტინენტზე? ხომ არ გრჩებათ რაიმე ისეთი, რაც ახალ კონტინენტზე აუცილებელია? რაც შემდგომი განვითარების შესაძლებლობას მოგცემთ?

განხილვა და შეფასება

ა. რა მოგეწონათ ამ სავარჯიშოში?

ბ. როგორ გადაწყვიტეთ, რომ ამა თუ იმ ნივთის გარეშე გაძლებდით? რა იყო ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი?

გ. იყო თუ არა რთული ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღება? რომლის?

დ. იყო თუ არა ჯგუფში უთანხმოება იმასთან დაკავშირებით, თუ რა დაგეტოვებინათ და რა გადაგეგდოთ? როგორ მოაგვარეთ ეს უთანხმოება?

ე. ყველას ერთი და იგივე რამ სჭირდება? ვის შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული საჭიროებები?

ვ. რას ფიქრობთ თქვენს საბოლოო არჩევანზე? შეძლებთ ახალ ქვეყანაში ცხოვრებას? შეძლებთ ნორმალურად განაგრძოთ ზრდა და განვითარება?

ზ. როგორ მიიღო თქვენმა ჯგუფმა გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა გადაეგდო?

თ. გაგაკვირვათ საბოლოო შედეგმა?

ი. მეორედ რომ მოგიხდეთ ამ სავარჯიშოს ჩატარება, სხვა ნივთებს გადააგდებდით?

ადამიანის უფლებები ადამიანის საჭიროებებს უკავშირდება და იმას ეფუძნება, რაც ყველა ადამიანს გადარჩენის, ზრდის, განვითარებისა და ღირსული ცხოვრებისთვის სჭირდება.

ა. გქონდათ ყველა ის ნივთი, რაც გადარჩენაში დაგეხმარათ?

ბ. გქონდათ ყველა ის ნივთი, რაც ზრდასა და განვითარებაში დაგეხმარათ?

გ. რომელი იყო ის ნივთი, რომლის ქონის სურვილი გქონდათ, მაგრამ გადაწყვიტეთ, რომ ის არ იყო აუცილებელი?

ადამიანს ყველა უფლება სჭირდება იმის მიუხედავად, რამდენად და რა სიხშირით უწევს მათი გამოყენება. ზოგიერთი უფლება სიცოცხლის შესანარჩუნებლადაა აუცილებელი, მაგალითად საკვები, სამედიცინო მომსახურება, სუფთა წყალი და თავშესაფარი. ზოგი კი იმისთვისაა საჭირო, რომ ადამიანმა კარგად იცხოვროს და განვითარდეს.

მხოლოდ ის, რომ ცოცხალი ხარ, არ არის საკმარისი.

ა. რომელ ბარათებზეა გამოსახული ნივთები, რომლებიც შესაძლოა გინდოდეთ, მაგრამ თავის გადასარჩენად არ არის უცილებელი?

ბ. რომელ ბარათებზეა გამოსახული ნივთები, რომლებიც ფიზიკური გადარჩენისთვისაა აუცილებელი?

გ. რომელ ბარათებზეა გამოსახული ნივთები, რომლებიც ჩვენ ზრდისა და

განვითარებისთვის შეიძლება დაგვჭირდეს?

დ. რა მოხდება ამ ახალ ქვეყანაში, რომ არ გქონდეთ ———-
----------————————————————————————————?

(აირჩიეთ ბარათებზე მოცემული რამდენიმე მაგალითი)

დასარიგებელი მასალა: „სურვილის“ და „საჭიროების“ ბარათები



საკუთარი აზრის სხვისთვის გაზიარების საშუალება

ფული, რომლის დახარჯვა შემიძლია ჩემი სურვილის მიხედვით



სუფთა წყალი



საკუთარი საძინებელი



ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი

თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა

დასარიგებელი მასალა: „სურვილის“ და „საჭიროების“ ბარათები



სუფთა გარემო

მობილური ტელეფონი



კოკა–კოლა და ჰამბურგერი



დასვენების და თამაშის საშუალება



ტელევიზორი და გაზეთი



რელიგიური მრწამსის გამოვლენის საშუალება

დასარიგებელი მასალა: „სურვილის“ და „საჭიროების“ ბარათები



კომფორტული საცხოვრებელი

მოდური ტანსაცმელი

დასვენება ზღვის სანაპიროზე



ნოყიერი საკვები

შეურაცხყოფისა და ძალმომრეობისგან დაცვა



განათლება

დასარიგებელი მასალა: „სურვილის“ და „საჭიროების“ ბარათები

ექიმები

ველოსიპედი



ტკბილეულობა



სამკაულები



MP3 და დისკმენი

თბილი ტანსაცმელი

დასარიგებელი მასალა: „სურვილის“ და „საჭიროების“ ბარათები

მშობლები



სათამაშოები და თამაშები



წამლები და დაავადებების წინააღმდეგ აცრების ჩატარება

დემოკრატიული არჩევნები და დემოკრა-ტიული კანონები

საათი

ჩემს ენაზე საუბრის და ჩემი კულტურით სარგებლობის საშუალება

11 უფლება, მოვალეობა, პასუხისმგებლობა

რა იცი შენი უფლებების შესახებ?

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ სხვადასხვა ურთიერთობაში ვმონაწილეობთ და სხვადასხვა უფლებით ვსარგებლობთ. მაგალითად, როგორც შვილს, თქვენ უფლება გაქვთ, მშობლისგან მზრუნველობა და სარჩო მიიღოთ, სკოლისგან კი – სათანადო განათლება.

***უფლება** ნიშნავს ადამიანის შესაძლებლობას, საკუთარი შეხედულებისა და ინტერესების მიხედვით, განახორციელოს განსაზღვრული მოქმედებები, დაიცვას საკუთარი ინტერესები და როგორც სახელმწიფოს, ისე სხვა პირებსაც, მოსთხოვოს ამ უფლებების დაცვა.*

განასხვავებენ ბუნებით, ანუ აბსოლუტურ უფლებებსა და შეზღუდულ უფლებებს.

***ბუნებითი, ანუ აბსოლუტური უფლებები** დაბადებისთანავე მოიპოვება და მათი შეზღუდვა არ შეიძლება, მაგალითად, სიცოცხლის უფლება. **შეზღუდულია უფლებები**, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას, კანონით დადგენილი წესით, შეიძლება შეიზღუდოს.*

ძირითადი უფლებები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსგან ადამიანის დამცავი უფლებებია, რომლებიც მას სახელმწიფოს მხრიდან მის ცხოვრებასა და საქმიანობაში ჩარევისგან იცავენ.

დისკუსია: რომელი უფლებების შეზღუდვა არის დაუშვებელი და რატომ?

მაგალითი

საქართველოს კონსტიტუციის1 24-ე მუხლი განსაზღვრავს:

ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით, ან სხვაგვარი საშუალებით.

ამ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

***„კონსტიტუცია“** ლათინური სიტყვაა და დადგენას, დამყარებას ნიშნავს. ტერმინი „კონსტიტუცია“ თანამედროვეობაში სახელმწიფოს ძირითადი კანონის აღმნიშვნელ სიტყვას წარმოადგენს.*

„წარმოსახვითი პლანეტა“

წარმოიდგინეთ, რომ თანაკლასელებთან ერთად უკაცრიელ პლანეტაზე აღმოჩნდით. თქვენ ამ პლანეტის პირველი მოსახლეები ხართ, რომლებმაც ცხოვრების წესები უნდა შეიმუშაონ. თითოეულმა თქვენგანმა ინდივიდუალურად ჩამოწერეთ 5 ძირითა-

დი უფლება, რომელიც ამ პლანეტაზე ყველას უნდა ჰქონდეს. ჯგუფური მუშაობის დროს კი განსაზღვრეთ 15 ძირითადი უფლება, რომლითაც პლანეტის ყველა მცხოვრები ისარგებლებს.

? კითხვები

1. შეიძლება თუ არა ამ უფლებების დაჯგუფება რაიმე ნიშნით?
2. რა ნიშნით დააჯგუფებდით უფლებებს?
3. უფლებათა რომელიმე ჯგუფი უფრო პრიორიტეტულად ხომ არ მიგაჩნიათ?

ადამიანის უფლებები თავდაპირველად მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებას ეხებოდა. დღეს ისინი უკვე კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებსაც მოიცავენ. ადამიანის ძირითად უფლებათა დაჯგუფება სხვადასხვაგვარად ხორციელდება.

- ***თავისუფლების უფლებები***

ეს უფლებები მოიცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის, ჩარევისგან თავისუფალ სფეროებს, რომლებშიც სახელმწიფო ან საერთოდ ვერ ერევა, ან ერევა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ამ უფლებებს განეკუთვნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სიცოცხლის უფლება, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, საკუთრების უფლება და ა. შ.

- ***თანასწორობის უფლებები***

თანასწორობის უფლებები წარმოადგენენ სახელმწიფოს მხრიდან ყველა მოქალაქისადმი თანასწორად მოპყრობის გარანტიას. ეს უფლებებია: კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, თანასწორობა სქესის, წარმოშობის, რასის, კანის ფერის, ენის, რწმენის, ქონებრივი თუ წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებების განურჩევლად, მოქალაქეთა თანასწორი საარჩევნო უფლება და ა.შ.

- ***საპროცესო უფლებები***

საპროცესო უფლებები ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის გარანტიას ქმნიან.

მათ განეკუთვნება უდანაშაულობის პრეზუმფცია, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის უფლების დაცვა და ა.შ. (პრეზუმფცია – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ვარაუდზე დამყარებულ მოსაზრებას. სამართლებრივი ტერმინოლოგიით პრეზუმფცია ნიშნავს რაიმე ფაქტის აღიარებას სარწმუნოდ, ვიდრე არ დამტკიცდება მისი მცდარობა. პრეზუმფცია არის ვარაუდი, რომელიც ფაქტებსა და მოვლენებს შორის მრავალზგის დანახულ და შემჩნეულ კავშირს ემყარება და სარწმუნოდ ითვლება, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება).



- ***სამოქალაქო, პირადი უფლებები და თავისუფლებები*** *–*

უფლებათა და თავისუფლებათა ეს ჯგუფი, საერთოდ, უფლებებისა და თავისუფლებების მთელი სისტემის საფუძველს წარმოადგენს, რადგან პირადი უფლებების არსებობის გარეშე აზრს დაკარგავდა დანარჩენ უფლებათა ფლობა და გამოყენება. მაგალითად, რომ არ იყოს დაცული და გარანტირებული სიცოცხლის უფლება, თავის მნიშვნელობას დაკარგავდა ჯანმრთელობის

დაცვის უფლება, საკუთრების უფლება და ა.შ. პირად უფლებებს განეკუთვნება: სოცოცხლის უფლება, თავისუფალი გადაადგილების უფლება, რწმენის თავისუფლება და ა.შ.

- ***პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები*** *– დაკავშირებულია მოქალაქეობის ქონასთან. ამ უფლებების რეალიზაციით მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში, სახელმწიფოს პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებაში უშუალოდ, ან წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით, ფლობდნენ ინფორმაციას იმ საზოგადოების საქმიანობის შესახებ, რომლის წევრებიც ისინი არიან. პოლიტიკურ უფლებებს განეკუთვნება: საარჩევნო უფლება, შეკრებებსა და მანიფესტაციებში, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება და ა.შ.*

- ***სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები და თავისუფლებები*** *– უზრუნველყოფს პიროვნების შესაძლებლობას, ღირსეულად განახორციელოს თავისი დანარჩენი უფლებები და თავისუფლებები. ამ ჯგუფის უფლებები უფლებას ანიჭებენ ადამიანს, მოსთხოვოს სახელმწიფოს აუცილებელი მატერიალური სიკეთითა და მომსახურებით უზრუნველყოფა და სარგებლობა. სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს განეკუთვნება: შრომის უფლება, განათლების უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება და ა.შ.*

თავისუფლება თვითნებობას არ ნიშნავს*. ვინაიდან თვითნებობის საფუძველიც ადამიანის ნებაა – იგი იმას აკეთებს, რაც სურს, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თავისუფლება და თვითნებობა ხომ არ ემთხვევა ერთმანეთს? რეალურად, მათ შორის დიდი განსხვავებაა.*

თვითნებობა ადამიანის ჭირვეულობას, ჟინს ემყარება*. თვითნებობის დროს ადამიანი აკეთებს იმას, რაც მოესურვება და მო-*

ეპრიანება. მისი მოქმედება არ არის გამართლებული არც რაიმე კანონზომიერებით, არც ზნეობრივი ღირებულებებით. ის მოქმედებს მათ საპირისპიროდ, რადგან ასე სურს.

თავისუფლება გულისხმობს, როგორც უფლებებს, ასევე მოვალეობებს. ყოველი უფლება შეზღუდულია შესაბამისი მოვალეობით. *ეს ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია ისარგებლოს უფლებებით მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში ისე, რომ არ შეზღუდოს სხვათა უფლებები – არსებობს ასეთი გამოთქმაც – „შენი ხელის სიგრძე მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი ცხვირი", რაც ერთგვარი გამოხატულებაა, რომ შენი უფლებების განხორციელებამ არ უნდა შეზღუდოს სხვისი უფლებები.*

აბსოლუტური უფლებები სრულად უზრუნველყოფილად ითვლება და სახელმწიფოს არც ერთ შემთხვევაში, თვით კანონის საფუძველზეც, არ შეუძლია ამ უფლებების შეზღუდვა.

თუმცა უფლებების უმრავლესობა შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ, მაგრამ ამისთვის სახელმწიფომ უნდა დაიცვას რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობა, კერძოდ:

1. *შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე – თუმცა კანონი უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ძირითადი უფლებების არსს. ამასთან, კანონი ნათელი და მკაფიო უნდა იყოს, მისი ნორმა კი კონკრეტული, არაორაზროვანი, გასაგები, კანონის დარღვევის შედეგები კი ადვილად განჭვრეტადი.*

2. *უფლების შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისთვის – რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ძირითად უფლებათა შესაზღუდად დაეყრდნოს ზოგად აუცილებლობას. შეზღუდვა გამოწვეული უნდა იყოს მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს შენარჩუნების აუცილებლობით.*

3. *კანონით ძირითადი უფლების შეზღუდვა აუცილებლად უნდა იყოს ზომიერი.*

განიხილე მაგალითები და განსაზღვრე:

- რომელ შემთხვევაში არ შეიძლება უფლების შეზღუდვა და რატომ?
- რომელ შემთხვევაშია უფლების შეზღუდვა დასაშვები და რატომ?

I მაგალითი

ქვეყნის ერთ-ერთ სოფელში უნდა გაიაროს სტრატეგიულმა ნავთობის მილსადენმა, შესაბამისად, კომპანიას, რომელსაც მილსადენი გაჰყავს, სურს შეისყიდოს კერძო საკუთრებაში არსებული მიწები, რომლებზეც გლეხებს მოჰყავთ სიმინდი და სხვადასხვა პროდუქტი. ყველა გლეხი დათანხმდა მიწის გაყიდვას, გარდა ერთი მოსახლისა, რომელიც უარს ამბობს მამაპაპისეული მიწის გაყიდვაზე. კომპანიამ მოითხოვა სახელმწიფოსგან, ჩამოერთვა მიწა ამ გლეხისთვის.

_____
_____
_____
_____
_____

II მაგალითი

მეზობლებისთვის ცნობილი გახდა, რომ მათი ერთ-ერთი მეზობელი დაავადებულია
ტუბერკულოზით. მათ აიძულეს დაავადებული მეზობელი დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი, რათა საფრთხე არ შექმნოდა სხვების ჯანმრთელობას.

_____
_____
_____
_____
_____
_____

III მაგალითი

ერთ-ერთ გაზეთს ხელში ჩაუვარდა საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც ქვეყნის თავდაცვას ეხებოდა. გაზეთმა სენსაციურობის გამო ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდა ეს ინფორმაცია, სახელმწიფომ მედიასაშუალებას აუკრძალა გავრცელება და მოინდომა ტირაჟის გაყიდვიდან ამოღება.

_____
_____
_____
_____
_____
_____

მოიფიქრე შემთხვევა, როდესაც უფლების შეზღუდვა კანონიერია და დაასაბუთე რატომ?

_____
_____
_____
_____
_____
_____

? კითხვები

1. **რა არის მოვალეობა?**
2. **რა მოვალეობები გვაკისრია ჩვენ?**
3. **რატომ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობებს?**

დისკუსია: რა მოხდებოდა, ყველას რომ ჰქონდეს მხოლოდ უფლება და არ გააჩნდეს მოვალეობა?

მოვალეობა არის აუცილებელი მოქმედების ზომა. *მოვალეობების დაწესებით, კონსტიტუცია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი ადამიანისათვის ადგენს გარკვეული აუცილებელი მოქმედების შესრულების მოთხოვნას. ადამიანი აუცილებლად უნდა დაემორჩილოს გარკვეულ წესებს, რათა მისი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების დროს არ შეილახოს სხვა ადამიანების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესები. უფლება და მოვალეობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.*

I ჯგუფი - გამოხატვის თავისუფლება

მაგალითად, თქვენ ესწრებით სკოლის შეკრებას, რომელზეც წყდება სათამაშო მოედნის მოწყობის საკითხი. თქვენ შეგიძლიათ გამოხატოთ თქვენი შეხედულება, მაგრამ, ამავე დროს, რა მოვალეობები გაქვთ საკუთარი აზრის გამოთქმისას და სხვისი აზრის მოსმენის დროს?

- რა მოვალეობები უკავშირდება ამ უფლების განხორციელებას?
- ჩამოწერეთ ეს მოვალეობები.
- რა მოხდება, თუ ეს მოვალეობები არ იქნება დაცული?
- რა უნდა გააკეთოთ თქვენ ან/და სხვამ, რომ დაცული იყოს ეს უფლება?

_____
_____
_____
_____

_____
_____

II **ჯგუფი – თანასწორობა**

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადამიანების თანასწორობა რასის, კანის ფერის, სქესის, რწმენის და ა.შ. მიუხედავად.

- რა უნდა გააკეთოს სხვამ, რომ გარანტირებული იყოს თანასწორობა და რა უნდა გააკეთოთ თქვენ?
- რა მოხდება, თუ არ იქნება დაცული ეს მოვალეობები?

_____
_____
_____
_____
_____
_____

? კითხვები

1.აცნობიერებს თუ არა ადამიანების უმრავლესობა საკუთარ მოვალეობებს და მათი შესრულების აუცილებლობას?

2. თქვენი ვალდებულებაა, დაიცვათ მხოლოდ საკუთარი უფლებები თუ სხვებისაც?

3. რომელი მოვალეობის შესრულებაა ყველაზე რთული?

? კითხვები

1. რა არის პასუხისმგებლობა?
2. როდის გვეკისრება პასუხისმგებლობა?
3. რა სახის პასუხისმგებლობა არსებობს?

ყოველ ჩვენგანს, უპირველეს ყოვლისა, აქვს მორალური პასუხისმგებლობა ჩვენი ოჯახის, მეგობრების, ახლობლების, სკოლისა და სახელმწიფოს წინაშე. თუმცა ეს პასუხისმგებლობა კანონის თანახმადაც გვეკისრება. კონსტიტუციაში წერია, რომ ,,საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს", შესაბამისად, კონსტიტუციისა და კანონის შეუსრულებლობა იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას.

მაგალითი:

- ***სამოქალაქო*** *კოდექსის თანახმად, „შვილები მოვალენი არიან, იზრუნონ მშობლებზე და დაეხმარონ მათ", თუ შვილი ნებაყოფლობით არ ზრუნავს მშობლებზე, მას სასამართლო დააკისრებს ალიმენტს (ფულადი სარჩო);*
- ***სისხლის სამართლის*** *კოდექსი ითვალისწინებს ჯარიმას* ***21*** *წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარებისთვის;*
- ***ადმინისტრაციული*** *კანონმდებლობის თანახმად კი, სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება, ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისათვის, –გამოიწვევს პირის დაჯარიმებას* ***200*** *ლარის ოდენობით.*

განასხვავებენ იურიდიული პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:

– სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა – სასჯელი;

– სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა – მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

– ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა – სახდელი;

– დისციპლინური პასუხისმგებლობა.

რაც უფრო საშიშია საზოგადოებისათვის სამართალდარღვევა, მით უფრო მძიმეა პასუხისმგებლობის ზომა აღნიშნული

სამართალდარღვევისათვის.

იურიდიული პასუხისმგებლობა გულისხმობს სამართალ-დამრღვევი პირის მიმართ სხვადასხვა სახის იძულებითი ხასიათის ღონისძიების გამოყენებას, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი. სამართალდარღვევისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის დაწესება მიზნად ისახავს დამრღვევ პირთა დასჯას, მათ მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მომავალში მათ მიერ სამართლის ნორმათა შეუსრულებლობის თავიდან აცილებას და ქვეყანაში კანონიერების განმტკიცებას.

? კითხვები

- **თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანია ამგვარი პასუხისმგებლობის დაწესება?**
- **თქვენ რას შესთავაზებდით კანონის მიმღებს? ჩაწერეთ ქვემოთ გამოყოფილ ადგილებში.**

პასუხისმგებლობა1.

დაუხმარებლობა - სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე. აგრეთვე, დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა სათანადო დაწესებულებისათვის ან პირისათვის - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ერთ წლამდე, ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ას ოცდან ორას ორმოცდაათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე.

„ჩემი შეთავაზება კანონმდებლებს“

_____

_____

_____

_____

_____

პასუხისმგებლობა 2.

არასრულწლოვანის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში - არასრულწლოვანის დაყოლიება მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ას სამოცდაათიდან ორას ორმოც საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ორ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე.

„ჩემი შეთავაზება კანონმდებლებს“

_____

_____

_____

_____

_____

_____

სკოლა - მრავალფეროვანი საზოგადოება

თქვენ უკვე საბაზო საფეხურის მოსწავლე ხართ და სასკოლო ცხოვრების საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება დაგიგროვდათ. წლების განმავლობაში სკოლაში ალბათ სხვადასხვანაირი გრძნობები გეუფლებოდათ: სიამაყე, გაოცება, სიყვარული, გამარჯვება, დამარცხება, სიამოვნება, სირცხვილი, დაფიქრება, აღტაცება, გულისწყრომა, გაბრაზება, პატივისცემა, გულგრილობა, სიხარული და ა.შ. ხშირად ეს განცდები სახლიდან სკოლაში მოგყვებოდათ, ან პირქით – სკოლიდან სახლში.

ეს გრძნობები იმ ადამიანებთან და საქმიანობასთან არის დაკავშირებული, ვისთანაც სკოლაში გაქვთ ურთიერთობა და რითაც სკოლაში ხართ დაკავებული. თქვენი განცდები მით უფრო მძაფრია, რაც მეტად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს ადამიანები, ურთიერთობები, საქმიანობები და მათი შედეგები.

- *თქვენ სწავლობთ გაკვეთილის, შესვენების, ექსკურსიის,*

სახლში მეცადინეობის, სკოლის სასადილოში საუზმობის, კლასებს შორის სპორტული შეჯიბრისა თუ სხვა ნებისმიერი საქმიანობის დროს, რაც სკოლასთან არის დაკავშირებული.

- *თქვენ სწავლობთ თანაკლასელებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან, სკოლის სხვა მოსწავლეებთან თუ თანამშრომლებთან და სკოლაში მუდმივად თუ სტუმრად მოსულ უამრავ სხვა ადამიანთან ერთად, მათი დახმარებით.*
- *თქვენ სწავლისათვის იყენებთ საკლასო ოთახს, წიგნებს, კომპიუტერებს, სპორტულ მოედანს, სააქტო დარბაზს, რვეულებს, ლაბორატორიას, დაფას, ფოტოებს, ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვებას და უამრავ სხვა საშუალებას, ნივთსა თუ საგანს.*
- *თქვენს სწავლასა და წარმატებებს უპირველესად თქვენ აფასებთ. თუმცა, თქვენს სასწავლო შედეგებსა და ქცევას სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ადამიანებიც - ყველა, ვისთან ერთადაც სწავლობთ - აფასებენ.*

ვინ და რა არის მნიშვნელოვანი

სკოლის ცხოვრება ბევრად მრავალფეროვანია, ვიდრე აქ არის აღწერილი. ბუნებრივია, თქვენთვის ყველა და ყველაფერი ყოველთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი არ იყო და არის. საინტერესოა, რის მიხედვით ადგენენ ადამიანები მნიშვნელობასა თუ უმნიშვნელობას?

ადამიანისათვის მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ადამიანები, მოქმედებები, აზრები, საგნები, გრძნობები, გარემო, წესები, მოვლენები, მომავალი და სხვა. ადამიანისათვის მნიშვნელობის ხარისხი ისაზღვრება მის მოთხოვნილებებთან კავშირის მიხედვით.

? სავარჯიშო

თქვენს მეწყვილე თანაკლასელთან ერთად, გაიხსენეთ, სკოლას-

თან დაკავშირებით, თქვენთვის ვინ და რა არის მნიშვნელოვანი? სცადეთ, ეს ლაკონურად აღნიშნოთ აზრობრივ რუკაზე.



სკოლაში, სწავლაში თქვენ მარტო არ ხართ. ეს ერთდროულად ორ რამეს ნიშნავს:

სკოლაში ყოველთვის მოიძებნებიან თქვენი იდეის მხარდამჭერები.

პირადად თქვენი ნებისმიერი სურვილი სკოლაში შეიძლება ყოველთვის ვერ ასრულდეს.

ადამიანის მოთხოვნილებებსა და მათ მნიშვნელობას სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებულად განმარტავს, წარმოადგენს. რას ნიშნავს მოთხოვნილება?

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, **1986** წ.*

? სავარჯიშო

გაიაზრეთ მოთხოვნილების განმარტება. თქვენს თანაკ-ლასელებთან ერთად, მცირე ჯგუფში განიხილეთ გაერთიანებუ-ლი აზრობრივი რუკა და სცადეთ, გამოყოთ რგოლებში ჩაწერილი საკითხებიდან რომლები უკავშირდება საჭიროებებს და რომლები - სურვილებს.

- ჯგუფში მსჯელობისას, შეთანხმდით და შეჯერებული, დასაბუთებული მოსაზრებები გადაიტანეთ ვენის დიაგრამაზე.



ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, რადგან მას განსაკუთრებულად სჭირდება სხვა ადამიანებთან თანაარსებობა. ამაში იგულისხმება, ერთი მხრივ, ძირითადი აუცილებლობები, როგორიცაა საკვების, წყლის, თავშესაფრის მოპოვება და ფიზიკური საშიშროებისაგან თავდაცვა, მეორე მხრივ – როგორც მოაზროვნე არსებებს შეეფერებათ – ისინი იზიარებენ საერთო ღირებულებებს, მისწრაფებებს და საქმიანობას. ეს კი ადამიანებს ერთმანეთისთვის საჭირო არსებებად აქცევს.

ადამიანი სხვა სულიერი არსებებისგან აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარით გამოირჩევა. ჩვენ შეგვიძლია, ვიყოთ თავისუფალი - წინასწარ განვსაზღვროთ საკუთარი ქმედების შედეგი და ისე ავირჩიოთ გადაწყვეტილება. ეს განგვასხვავებს ცხოველებისგან, რომლებიც მხოლოდ ინსტინქტს ემორჩილებიან.

ჩვენი ქცევა, სწორისა და მცდარის შეგრძნება, ადამიანებთან ურთიერთობის ხასიათი, ძალიან ხშირად განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი ჯგუფით, რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით.

თქვენი კლასი არის ის საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც თქვენ მიეკუთვნებით?

კლასი (ლათ.) — 1. საერთო ინტერესების მქონე დიდი საზოგადოებრივი ჯგუფი; 2. მოსწავლეთა ჯგუფი, რომელსაც საერთო სასწავლო პროგრამა აქვს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986წ.

__კლასი__ — ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ერთიანობა, რომელში გაერთიანებული მოსწავლეებიც, ძირითადად, ერთად სწავლობენ ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის ზოგადსაგანმანათ-ლებლო პროგრამებს.

საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონი. 2005 წ.

სავარჯიშო

დაფიქრდით და გაეცით ცალ-ცალკე პასუხები შემდეგ კითხვას:

- რატომ გჭირდებათ და გსურთ თანაკლასელებთან ერთად ყოფნა, სწავლა, გართობა და ა.შ.?

მჭირდება, რადგან ----------

მსურს, რადგან ----------

საზოგადოება არის ადამიანთა თანაცხოვრებისა და ერთობლივი საქმიანობის ფორმა. ადამიანთა ეს გაერთიანება იქმნება საერთო ინტერესების და საჭიროებების, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მას ახასიათებს მდგრადობა, საერთო ღირებულებები და ქცევის განმსაზღვრელი ნორმები.

სავარჯიშო

თქვენს თანაკლასელებთან ერთად, მცირე ჯგუფში განიხილეთ წინა სავარჯიშოების შედეგები და დასკვნები. დასაბუთებული პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს:

- რა არის თქვენი კლასის ერთობლივი საქმიანობა?
- რა არის თქვენი კლასის საერთო ინტერესები?
- რა არის თქვენი კლასის საერთო საჭიროებები?
- ვისთან ურთიერთობის მოთხოვნილება გაქვთ თანაკლასელებს?

- რა საერთო ღირებულებები გაქვთ კლასში?
- გაქვთ თუ არა კლასში ქცევის განმსაზღვრელი საერთო ნორმები?
- როგორ ფიქრობთ, დროის რა მონაკვეთში შეიძლება კლასი გაერთიანდეს?
- რამდენად ხანგრძლივია თქვენი კლასის ერთიანობა?

სკოლა (ბერძ.) —1. სასწავლო დაწესებულება; 2. რაც ცოდნას, გამოცდილებას აძლევს ადამიანს; 3. მიმდინარეობა, მიმართულება მეცნიერებაში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში, სპორტში.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 წ.

პასუხების შეჯერების შემდეგ აირჩიეთ ჯგუფის წევრი, რომელიც კლასს წარუდგენს თქვენს საერთო დასკვნებს.

სავარჯიშო

თუ გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოსაზრება განსახილველ კითხვებზე, მაშინ სცადეთ, მოკლედ გამოთქვათ იგი.

- სკოლა აერთიანებს თუ არა საზოგადოებას, რომელსაც მივაკუთნებთ ჩვენს თავს?
- ვინ არიან სკოლასთან დაკავშირებულები: საერთო ინტერესებით, ერთმანეთთან ურთიერთობით, ერთობლივი საქმიანობით?

კლასში გამართული განხილვის შეჯერებული შედეგები ჩაინიშნეთ.

მონაწილეობა — სხვებთან ერთად მოქმედება რაიმე საქმეში, სხვებთან ერთად ყოფნა რამეში.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 წ.

ადამიანების ბუნებრივი მოთხოვნილებაა თანაარსებობა – სხვებთან ერთად ყოფნა და მოქმედება. ეს ნიშნავს, რომ თითოეული მონაწილეობს საერთო ცხოვრებაში. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება გაზარდონ თანაარსებობის ფარგლები, შესაბამისად, იზრდება ჩვენი მონაწილეობის ფარგლებიც. ასაკის მატებასთან ერთად, უფრო მეტ და მეტ ადამიანთან გვსურს და გვიწევს ურთიერთობა, საქმიანობა, გაერთიანება და.აშ. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ მონაწილეობა ჩვენი ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ის აუცილებლად საერთო ინტერესებს ეფუძნება.

სამოქალაქო მონაწილეობა გულისხმობს საზოგადოებრივ ასპარეზს, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ***ნებაყოფლობით*** *მონაწილეობის მიღება სხვადასხვა საერთო საქმიანობაში. მონაწილეობა ადამიანს ეხმარება, გაიაზროს საკუთარი* ***შესაძლებლობები, საჭიროებები, როლები, სარგებელი და პასუხისმგებლობა****.*

ნებაყოფლობითობა და საკუთარი როლის მნიშვნელობის გააზრება ადამიანებს თავდაჯერებულობას ჰმატებს. ისინი საკუთარი ინიციატივით იწყებენ თავიანთი პრობლემების მოგვარებას.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება არის როგორც ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპი, ისე ყველა ადამიანის მოქალაქეობის შემადგენელი ნაწილი. ბავშვის უფლების გამდიდრება მონაწილეობის უფლების განმტკიცებით არის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი და ყველაზე პროგრესული ინოვაცია, რომელსაც გვთავაზობს ბავშვის უფლებათა კონვენცია.

ბავშვის უფლებათა კონვენცია განსაზღვრავს რამდენიმე განსხვავებულ ასპექტს მონაწილეობაზე ბავშვთა უფლების მიმართ:

- ***უფლება, რომ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე*** *და რომ მათი შეხედულებები სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული (მუხლი* ***12****)*
- ***სიტყვის თავისუფლება,*** *რომელიც მოიცავს ნებისმიერი სახის მიუკერძოებელი ინფორმაციის მოძიებისა და მიღების*

*უფლებას (მუხლი **13**)*

- ***აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება** (მუხლი **14**)*
- ***გაერთიანებისა და შეკრების უფლება** (მუხლი **15**)*
- ***ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან მასალებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება** (მუხლი **17**)*
- ***საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება** (მუხლი **31**).*

? დავალება

- განსაზღვრეთ და მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სკოლის ცხოვრებაში, რომლის მოგვარება ან გაუმჯობესებაც გჭირდებათ ან გსურთ.
- ასევე ჩამოაყალიბეთ, თუ როგორ გსურთ ამ საკითხის გაუმჯობესება.
- გააცანით თქვენი მოსაზრებები ნებისმიერ თქვენთვის სასურველ ადამიანს: თანაკლასელებს, თქვენს ნაცნობ სხვა მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და ოჯახის წევრებს.
- გამოკითხვით დაადგინეთ, რომელი მათგანისათვის არის იგივე საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი და ვინ იზიარებს გაუმჯობესების თქვენეულ ხედვას.
- აუცილებლად გააფრთხილეთ თითოეული მათგანი, რომ თქვენ მოგიწევთ ამ მონაცემების საჯაროდ წარდგენა კლასში.
- შემდეგ სთხოვეთ, რომ საკუთარი მხარდაჭერა დაგიდასტურონ ხელმოწერით. თუ რომელიმე გადაიფიქრებს და უარს გეტყვით, არ იღელვოთ - ყველას აქვს არჩევანის უფლება.
- თქვენი ნამუშევარი წარმოადგინეთ კლასში და განიხილეთ.

12 ჩემი არჩევანი – გადაწყვეტილება და შედეგი

სიტუაცია:

„თქვენ გინდათ ეზოში თამაში, მაგრამ საშინაო დავალება ჯერ არ მოგიმზადებიათ. თქვენი მეგობრები გიხმობენ ეზოში სათამაშოდ. როგორ მოიქცევით?"

ხელის აწევით დაადასტურეთ, თუ რომელ გადაწყვეტილებას მიიღებთ:

1. ჩავალ სათამაშოდ ეზოში; 2. დავალებას მოვამზადებ.

გაიაზრეთ ის შედეგები, რომლებიც ამა თუ იმ არჩევანს შეიძლება მოჰყვეს.

ახლა, კიდევ ერთხელ მიიღეთ გადაწყვეტილება.

დისკუსია:

- იოლი იყო თუ არა გადაწყვეტილების მიღება?
- რომელ შემთხვევაში იყო გადაწყვეტილება სწორად მიღებული?
- რა შეიცვალა, როცა შედეგები გააანალიზეთ და რატომ?
- რა ისწავლეთ ამ სავარჯიშოდან?

სიტუაცია:

„კლასმა გადაწყვიტა „შატალოზე" წასვლა გაკვეთილიდან, რომელიც ცხრილში ბოლოა და რომელსაც სკოლაში ახლადმოსული, ახალგაზრდა მასწავლებელი ატარებს.

შენც შეუერთდი თანაკლასელებს.

მეორე დღეს ახალბედა მასწავლებელი თქვენს კლასში შემოდის – ეს ახალგაზრდა ქალია, რომელსაც თვალები აცრემლებული აქვს.

შენ იძულებული ხარ, თავი იმართლო."

შენი პასუხი იქნება:

ა) სხვა გზა არ მქონდა, ყველა მიდიოდა

ბ) ბოლო გაკვეთილზე, ჩვეულებრივ, არ ვრჩებით ხოლმე, თქვენ არაფერ შუაში ხართ

გ) ეს ჩემი გადაწყვეტილება არაა, მეგობრების გადაწყვეტილებაა

დ) რას ვიფიქრებდით, რომ ასე დაგწყვეტდით გულს?!

ე) სხვა ----------

თანაკლასელებთან ერთად მოიფიქრე:
ამ სიტუაციაში მხოლოდ ერთი არჩევანი გქონდა? მხოლოდ ორი? რამდენი სხვადასხვა გამოსავლის მოფიქრება შეგიძლიათ? შეადგინეთ სია როგორ უფრო ადვილია ამ სიის შედგენა, მარტო თუ ჯგუფში? რატომ?
შესაძლებელია თუ არა, გადაწყვეტილების მიღებისას დავუშვათ გამონაკლისი ჯგუფში დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებული წესიდან? რატომ?
ეს ჯგუფური გადაწყვეტილებაა თუ პირადი? რატომ?

არსებობს თუ არა გადაწყვეტილება შედეგის გარეშე? მოიყვანეთ მაგალითი.

გადაწყვეტილების მიღება არის არჩევანის გაკეთება რამდენიმე შესაძლო ვარიანტს შორის. *ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას პიროვნებას ასარჩევად სულ მცირე ორი შესაძლო ვარიანტი აქვს. რაც უფრო მეტი ვარიანტია ასარჩევად, მით უფრო მეტია კარგი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა.*

არ არსებობს გადაწყვეტილება შედეგის გარეშე. ***გადაწყვეტილების შედეგი არის ჩვენი არჩევანის გრძელვადიანი ან მოკლევადიანი ზეგავლენა ჩვენსა და სხვა ადამიანების ცხოვრებაზე.*** *ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო გადაწყვეტილებას ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება. შედეგები შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.*
პიროვნების არჩევანმა შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს როგორც ერთი კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაზე, ისე – ადამიანთა ჯგუფზე, ან მთლიანად საზოგადოებაზე. რადგან პიროვნებას გააჩნია თავისუფალი ნება, ის ყოველთვის პასუხისმგებელია საკუთარი გადაწყვეტილების შედეგებზე.

არის სიტუაციები, როდესაც ჩვენ უყოყმანოდ ვამბობთ „დიახ“, თუმცა, სინამდვილეში, შეიძლება არც კი ვიცოდეთ, რას მოითხოვენ ჩვენგან. მერე კი ვნანობთ, რომ დავთანხმდით.

გაიხსენე ასეთი შემთხვევები (საჭირო არ არის თხრობისას სახელების დასახელება).

წარმოიდგინე, რომ ვიღაც გაწვდის საღებავის ბალონს და გთავაზობს კედელზე რაიმეს დახატვას ან დაწერას.

ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდე, გაეცანი სქემას, რომელშიც ამოიკითხავ რჩევებს როგორ მოიქცე

შეკითხვა	**თქვი „არა“**	**ალტერნატივა**
დასვი შეკითხვები იმის გასაგებად, რა შეიძლება მოხდეს და შემდეგ გადაწყვიტე, შეიძლება თუ არა ამ სიტუაციაში რაიმე უსიამოვნება შეგემთხვას (მაგ.: პრობლემები კანონთან, მშობლებთან, სკოლაში ან საკუთარ თავთან), მაგ., „რა უნდა დავხატოთ/დავწეროთ?“ „დიდი ხანია გაგიტაცა ხატვამ?“ „ვინ გითხრა, რომ შეგვიძლია ამის გაკეთება?“ და სხვა.	თქვი „არა“, თუ ფიქრობ, რომ ასეთი რამის გაკეთება არასწორია, ან თუ თვლი,რომ ამის გამო შეიძლება უსიამოვნება შეგემთხვას.თუ უარის თქმას დააპირებ, დაასახელე მიზეზი, რის გამოც ამბობ „არას“: „არა, ეს საჩემო საქმე არ არის. ვიცი, არაფერი გამომივა“; „არა, მე ასეთ რამეში არ ვერევი“; „არა, არ მინდა“ და სხვ.	შესთავაზე ალტერნატივა (ერთი ან რამდენიმე):„იქნებ ბურთი გვეთამაშა?“ „თუ გინდა ჩემთან ავიდეთ და მუსიკას მოვუსმინოთ“ და სხვა.

თუ არ დაგთანხმდა, გაეცალე.

წაიკითხე პრობლემური სიტუაციები და მეგობართან ერთად შეავსე T სქემა: მარცხენა მხარეს ამოწერე შეთავაზებები, მარჯვენა მხარეს კი – შესაბამისი კითხვები (იხ. ქვემოთ მოყვანილი ნიმუში):

1. მეგობარმა შემოგთავაზა ბიძაშვილის მანქანით გასეირნება. როცა მანქანა დაიძრა, მან ალკოჰოლური სასმელი ამოიღო და მოგაწოდა;

2. ამხანაგმა გითხრა: „გაკვეთილის შემდეგ მოედანზე დამელოდე“ და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო;

3. ამხანაგებმა შემოგთავაზეს გასეირნება. როცა ბაზრობას მიუახლოვდით, გითხრეს, რომ აპირებენ ჯიხურიდან რაღაცის მოპარვას;

4. მეგობარმა, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება, მშობლების დაუკითხავად გამოიყვანა მანქანა და გეპატიჟებათ სასეირნოდ;

შეთავაზება	**შეკითხვები**
მოდი, სიგარეტი გასინჯე.	

? დავალება

- **რამდენად რთული იყო ასეთ სიტუაციებში კითხვების დასმა?**
- **რა იყო ყველაზე ძნელი?**
- **რას გრძნობ, როცა კითხვებს სვამ?**
- **როცა „არა“-ს ამბობ, მაშინ რას გრძნობ?**
- **როგორ გგონია, დაგეხმარება განხილული რჩევები? როგორ?**

ჯგუფური გადაწყვეტილება – პირადი გადაწყვეტილება

ზოგჯერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ თავს ამგვარად ვიმართლებთ: „ეს ჩემი გადაწყვეტილება არ არის, ერთად გადავწყვიტეთ, მე უბრალოდ ერთი ვიყავი ათ ადამიანს შორის“ ან „როგორ ვეტყოდი უარს, ის ხომ ჩემზე უფროსი და გამოცდილია, შესაბამისად ეს მისი გადაწყვეტილებაა, ჩემი – არა.“

ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუნდაც ასკაციან ჯგუფში ან ავტორიტეტის ზეგავლენით მიღებული, არის შენი პირადი გადაწყვეტილება. პირადი გადაწყვეტილება კი ყოველთვის გულისხმობს პირად პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილების შედეგებზე.

კრიტიკული აზროვნება

კრიტიკული აზროვნება არის პიროვნების უნარი, ობიექტურად გაანალიზოს არსებული ინფორმაცია და გამოცდილება - მიუკერძოებლად შეაფასოს სიტუაცია, შეიმუშავოს შესაძლო ვარიანტები და მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი მიზნებისა და ღირებულებების საფუძველზე.

კრიტიკული განსჯისათვის აუცილებელია საკმაო რაოდენობით ინფორმაცია და დაფიქრება. კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნება ითვალისწინებს, მაგრამ ბრმად არასოდეს ენდობა მეგობრების, მასწავლებლებისა და მას მედიის აზრს, ის ფიქრობს საკუთარი გადაწყვეტილების როგორც მყისიერ, ისე გრძელვადიან შედეგებზე.

კარგი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა:

- *აქტიურად მოსმენის უნარი - ნამდვილად მოსმენა იმისა, რასაც სხვა პიროვნება ამბობს;*
- *თანაგრძნობა - გაგება იმისა, თუ რას გრძნობს ადამიანი;*
- *მოლაპარაკების გამართვის უნარი;*
- *იმ მხარეთა მიერ ერთმანეთის ინტერესების გაგების უნარი, რომლებსაც შეეხებათ გადაწყვეტილება;*

- *კრიტიკული აზროვნება (ალტერნატივების მოძიება/შეხედულებების შეფასება)*

გადაწყვეტილების მიღების პროცესი შედგება შემდეგი საფეხურებისაგან:

- ***პრობლემის განსაზღვრა.*** *ეს აუცილებლად ნათლად უნდა იყოს გაგებული, რათა შემოთავაზებულმა გამოსავალმა შედეგი მოგვცეს;*
- ***საკუთარი მიზნების გაგება.*** *თქვენ მიერ არჩეულ მიზნებზე გავლენას ახდენს ღირებულებები და ის ფაქტორები, რაც თქვენთვის მნიშვნელოვანია. ღირებულებათა პრიორიტეტების განსაზღვრით უფრო ნათლად დაინახავთ, თუ რა არის სასურველი;*
- ***ჩამოთვალეთ ალტერნატივები,*** *თუ როგორ შეიძლება მოიქცეთ;*
- ***გაითვალისწინეთ შედეგები*** *თითოეული საქციელის/გამოსავლისათვის;*
- ***შეარჩიეთ გამოსავალი****, რომელიც საუკეთესოდ გეჩვენებათ და მოიქეცით შესაბამისად;*
- ***აიღეთ პასუხისმგებლობა.*** *თქვენ უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა და მზად იყოთ იმ შედეგებისათვის, რაც მიღებულ გადაწყვეტილებას მოჰყვება. თქვენ უნდა გსურდეთ იცხოვროთ ამ შედეგით;*
- ***შეაფასეთ*** *თქვენი გადაწყვეტილება, რათა დაინახოთ, თუ რამდენად კარგ გავლენას ახდენს თქვენ მიერ შერჩეული გამოსავალი სიტუაციაზე იმგვარი სახით, როგორც ეს თქვენ გინდოდათ;*
- ***გადასინჯეთ თქვენი არჩევანი*** *თუ პირველმა არჩევანმა არ მოიტანა ის შედეგი,რისი იმედიც გქონდათ; თუ შესაძლებელია, შეარჩიეთ მეორე გამოსავალი. ნუ შეგეშინდებათ მიიღოთ ის გადაწყვეტილება იმიტომ, რომ შეიძლება საჭირო გახდეს მისი გადასინჯვა. ეს პროცესის ნაწილია;*
- ***იყავით ობიექტური და კონკრეტული.*** *ეცადეთ თავი აარიდოთ გადაწყვეტილების მიღებას მაშინ, როცა გაღიზიანებული, დაღლილი ან დაძაბული ხართ. ყურადღება გაამახვილეთ არა თქვენს ემოციაზე, არამედ პრობლემის გადაჭრაზე;*

სიტუაცია:

„წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს იღვიძებთ და იგებთ, რომ იმ ქალაქში, სადაც ცხოვრობთ, ერთი თვის განმავლობაში უფროსი თაობის ადამიანები აღარ იქნებიან. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ყველაფერი, რაც გინდათ. როგორ მოიქცევით?“

მცირე ჯგუფში მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ ის შედეგები, რაც მოჰყვება თქვენს არჩეულ მოქმედებებს.

განიხილეთ არჩეული ქმედებები და შესაბამისი შედეგები. დატოვეთ მხოლოდ ის ვარიანტები, რომლებიც ყველასათვის მისაღები და ამასთანავე, დადებითი შედეგების მომტანი იქნება.

- **რა შეიტყვეთ ახალი თქვენს შესახებ?**
- **რა ისწავლეთ?**

რა არის საჭირო ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის?

- შეისწავლე ყველა სახის ხელმისაწვდომი ინფორმაცია
- შეაჯერე ცოდნა პირად გამოცდილებასა და ღირებულებებთან
- ყოველთვის მზად იყავი, გაითავლისწინო სხვა შესაძლებლობები
- გადახედე ყველა შესაძლო ვარიანტს
- შეაფასე შესაძლო შედეგები
- მზად იყავი, შეცვალო გადაწყვეტილება, თუ ახალ ინფორმაციას მიიღებ
- თუ შენი არჩევანი არ ამართლებს, განიხილე სხვა შესაძლებლობები

კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები

კონფლიქტი და კონფლიქტური სიტუაციები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, მაგრამ თუ ადამიანს შეუძლია მათი მართვა და გაკონტროლება, მაშინ ეს სულაც არ არის უარყოფითი მოვლენა.

საზოგადოებრივი კონფლიქტი *არის უთანხმოება, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების წევრებსა ან ინდივიდებს შორის. ძირითადად განიხილავენ ხუთი ტიპის საზოგადოებრივ კონფლიქტს:* ***ღირებულებითი*** *(დაკავშირებული გარკვეულ დამოკიდებულებებთან ამა თუ იმ მოვლენის მიმართ),* ***ინფორმაციული*** *(დაკავშირებული ინფორმაციის სიმცირე/სიჭარბესთან, ხარისხთან, დეზინფორმაციასთან),* ***ურთიერთდამოკიდებულებითი*** *(რომელსაც ქმნის ურთიერთობის ნაკლებობა ან არარსებობა),* ***ინსტიტუციური*** *(უკავშირდება წესებს, კანონებს, ნორმებს)* ***და ინტერესთა*** *(დაკავშირებული მოთხოვნილებებთან და ქცევებთან). ამ ტიპის კონფლიქტები ხშირია ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზოგ შემთხვევაში ერთდროულად რამდენიმე სახის კონფლიქტი იჩენს თავს.*

? დავალება

განიხილე ქვევით მოცემული კონფლიქტური სიტუაციები. საზოგადოებრივი კონფლიქტის რომელ ტიპს მიაკუთვნებდი თითოეულ მათგანს?

• თანაკლასელებმა ახალგადმოსული მოსწავლე აითვალწუნეს და ყველა ხერხით ცდილობდნენ მის იძულებას მათი კლასი დაეტოვებინა. მათ კარგად არ გაუცვნიათ ახალი კლასელი, არ იც-

ნობდნენ მის ხასიათსა და ჩვევებს. ათვალწუნებული მოსწავლე კი არ შეურიგდა კლასელების დამოკიდებულებას და მათ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

- ბავშვს უნდა ფეხბურთზე სიარული, მშობლებს კი მიაჩნიათ, რომ ეს დროის უქმად კარგვაა და მისგან უფრო მეტ მეცადინეობასა და ფეხბურთისათვის თავის დანებებას აიძულებენ. მათ შორის ურთიერობა იძაბება.
- ერთ-ერთმა მოწაფე გოგონამ აფრიკული ნაწნავები გაიკეთა და ასე დადიოდა სკოლაში. სკოლის დირექტორმა მას კატეგორიულად განუცხადა, რომ თუ ნაწნავებს არ დაიშლიდა, სკოლაში არ დაუშვებდა. მათ შორის წარმოიშვა კონფლიქტი.
- ორმა ძმამ თმები გაიზარდა. ოჯახში ამ ამბავს სერიოზული უსიამოვნება მოჰყვა. მამას მიაჩნია, რომ არ შეიძლება ვაჟებმა გოგონებივით გრძელი თმით იარონ. ბებია და ბაბუაც იზიარებენ მამის პოზიციას. თუმცა ბიჭებს ძალიან არ სურთ თმების შეჭრა. სიტუაცია იძაბება.

კონფლიქტის მოგვარების მრავალი ხერხი არსებობს. ისინი ძირითადად 3 ტიპად

შეიძლება დაიყოს:

მოგება - მოგება *ანუ ისეთ გადაწყვეტილებამდე მისვლა, როდესაც ორივე მხარე მოგებულია;*

მოგება - წაგება *ანუ გადაწყვეტილება, რომელშიც ერთი მხარე იგებს;*

წაგება - წაგება *ანუ გადაწყვეტილება, რომელიც ორივე მხარისთვის წამგებიანია.*

მაგალითად, ავიღოთ ბურთის გამო მოჩხუბარი ორი ბავშვი. უფროსი ჩაერევა და ან ორივეს ერთად ათამაშებს, ან თანაბარ დროით მისცემს თითოეულ მათგანს. ამ შემთხვევაში მოჩხუბართაგან ორივე მოგებულია. თუ უფროსი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს მისცემს ბურთს, ცხადია, მხოლოდ იგი იქნება მოგებული; და

თუ უფროსი ბურთს ორივეს წაართმევს, მაშინ ორივე წაგებული დარჩება.

? დავალება

ჯგუფის წევრებთან ერთად შეეცადე ზემოთ მოცემული ერთ-ერთი კონფლიქტური სიტუაციის გადაჭრას. გადაწყვეტილება დაასაბუთე. ზემოთ განხილული სამი ხერხიდან რომელი გამოიყენე?

კონფლიქტის გადასაჭრელად ძალიან მნიშვნელოვანია ეფექტური სტრატეგიის შერჩევა. საზოგადოებრივი კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიებია: განრიდება, კონკურენცია, კომპრომისი, თანამშრომლობა, შეგუება.

? დავალება

დაიყავით ჯგუფებად, განიხილეთ ქვევით მოცემული კონფლიქტური სიტუაცია. თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ესა თუ ის ხერხი და სტრატეგია და დაასაბუთოს თავისი არჩევანი.

ეზოში ბიჭები ბურთს თამაშობდნენ. შემთხვევით მეზობლის ფანჯარა ჩაამტვრიეს.

გაბრაზებულმა მეზობელმა ფანჯრის ჩატეხვა ეზოს ყველაზე ცელქ ბიჭს დააბრალა, თუმცა ის იმ დროს ფეხბურთს საერთოდ არ თამაშობდა და მეზობელ გოგონას ესაუბრებოდა. ბავშვებმა დაიწყეს გაბრაზებული მეზობლის დამშვიდება და ცდილობდნენ სიმართლის თქმას, თუმცა ქალბატონს არაფრის მოსმენა არ სურდა და უდანაშაულო ბიჭს და მის ოჯახს შეურაცხყოფას აყენებდა. სიტუაცია ძალიან დაიძაბა. ჩხუბში სხვა მეზობლებიც ჩაერთნენ.

მიზნის დასახვა

კლასის შეხვედრა:

წარმოიდგინე, რომ შენი კლასი აწყობს შეკრებას სკოლის დამთავრების 10 წლისთავის აღსანიშნავად. ამ შეკრებაზე შენ კვლავ შეხვდები თანაკლასელებს და მოუყვები, თუ რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში, როგორ იცხოვრე სკოლის დამთავრების შემდეგ.

იმისათვის, რომ მოემზადო ამ შეხვედრისათვის, შეავსე კითხვარი.

სახელი ----------

რა ისწავლე სკოლის დამთავრების შემდეგ?

რაც ახლა შეგიძლია და იცი, რომელიმე სასწავლებელში ან ორგანიზაციაში ისწავლე?

რა ისწავლე დამოუკიდებლად?
ხარ თუ არა დაოჯახებული? თუ კი, რამდენი ხანია?
რამდენი შვილი გყავს? რამდენი გინდა რომ გყავდეს?
სად მუშაობ? რამდენია შენი ყოველთვიური ხელფასი?

აღწერე მნიშვნელოვანი პირადი ურთიერთობები შენს ცხოვრებაში

რა როლს ასრულებენ მშობლები შენს ცხოვრებაში?

მათ რომელ რჩევას თვლი ყველაზე მნიშვნელოვნად ცხოვრებაში?

როგორია შენი ფინანსური მდგომარეობა?

ხარ თუ არა შეყვარებული?
ყველაზე მეტად რა გიტაცებს ცხოვრების ამ ეტაპზე?

სად ცხოვრობ? აღწერე შენი საცხოვრებელი პირობები

როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

დაასრულე წინადადებები:

მომავალში იმედი მაქვს, რომ ----------

სამი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც მოხდა სკოლის დამთავრების შემდეგ ჩემს ცხოვრებაში არის ----------

ყველაზე მეტად „სკოლის დროიდან“ მენატრება ----------

როცა დავბერდები, იმედია ჩემზე იტყვიან ----------

? კითხვერბი

- **არის თუ არა შენს მიერ აღწერილი სიტუაცია რეალისტური? რატომ თვლი ასე?**

- **ახდენს თუ არა გავლენას ერთ პასუხში აღწერილი სიტუაცია მეორე პასუხში აღწერილ სიტუაციაზე? აღნიშნე ეს ურთიერთკავშირი ისრებით.**

მიზანი არის სასურველი შედეგი ან მდგომარეობა, რომლის მიღწევაც გვინდა.

მიზნების დაყოფა შეიძლება მათ მისაღწევად საჭირო დროის მონაკვეთის მიხედვით. არსებობს მიზნების ოთხი კატეგორია:

- ***ყოველდღიური მიზნები:*** *(მაგ: საშინაო დავალების მომზადება, ოთახის დასუფთავება)*
- ***მოკლევადიანი მიზნები:*** *ასეთი მიზნები რამდენიმე კვირაში უნდა იქნას მიღწეული*
- ***საშუალოვადიანი მიზნები:*** *ასეთი მიზნები რამდენიმე თვიდან წლამდე პერიოდის განმავლობაში მიიღწევა (მაგ.:*

სასწავლო წლის წარმატებით დასრულება, სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვება)

- ***გრძელვადიანი მიზნები:*** *ასეთი მიზნების მიღწევას წლები სჭირდება.*

გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად (სკოლის დამთავრება, უმაღლესი განათლების მიღება, ქალაქგარეთ აგარაკის შეძენა) პიროვნებას უწევს რამდენიმე საშუალოვადიანი მიზნის მიღწევა.

ზოგიერთი მოკლევადიანი მიზანიც კი შეიძლება დავყოთ რამდენიმე, უფრო კონკრეტულ ქვემიზნად.

? დავალება

წაიკითხე მიზნის ცნების განმარტება და ჩამოაყალიბე სამი გრძელვადიანი მიზანი

1.
2.
3.

ამოარჩიე ჩამონათვალიდან ერთ-ერთი გრძელვადიანი მიზანი, შეიტანე სქემაში და შეავსე ყველა დანარჩენი უჯრა.
(რა საშუალოვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განხორციელება მოგიწევს ამ გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად?)



შეადგინე შენი დროის ხაზი და დაიტანე მასზე შენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები.

ჩამოწერე და მოკლედ აღწერე ცხრილში შენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები, გადაწყვეტილებები და მოქმედებები, ზოგიერთ მოვლენას შეგიძლია მიუთითო თარიღიც. ჩამოწერე, აგრეთვე, მომავლის მოვლენები და მიზნები.

განსაზღვრე, მოვლენა შენგან დამოუკიდებელია თუ შენზეა დამოკიდებული (თავისუფალი ნების გამოვლინებაა); განათავსე მოვლენის აღმნიშვნელი წრე ცხრილში, შესაბამის სვეტში.

დაუხატე წრეს სახე, რომელიც გამოხატავს, დადებითია თუ უარყოფითი მოვლენა (გაღიმებული სახე ☺ დადებითი მოვლენაა, მოწყენილი ☹ – უარყოფითი.)

თარიღი	**მოვლენის აღწერა**	**მოვლენის ტიპი**	
		შენგან დამოუკიდ-ებელი მოვ-ლენები	**შენზე დამოკიდ-ებული მოვ-ლენები**
წარსული			
1998	დავიბადე	☺	
2004	შევედი სკოლაში	☺	
2006	შევიცვალე საცხოვრებელი ადგილი	☹	
2006	შევიძინე ახალი მეგობრები		☺
2009	გავიცანი ანო		☺
2011	ჩამოვაყალიბე მუსიკალური ჯგუფი		☺
2011	ხმის ჩამწერმა კომპანიამ გამოაცხა-და მუსიკალური კონკურსი	☺	
2012	ჩემმა ჯგუფმა გაიმარჯვა მუსი-კალურ კონკურსში		☺
მომავალი			
	კლიპის ჩაწერა		
	მუსიკალურ სასწავლებელში ჩაბა-რება		

გადაიტანე მოვლენების აღმნიშვნელი წრეები დროის ხაზზე თარიღების მიხედვით.

აღნიშნე კავშირი მოვლენებს შორის ისრებით. გაანალიზე შედეგები:

- რა ურთიერთკავშირია დროის ხაზზე შენ მიერ დატანილ მოვლენებს შორის?
- სხვადასხვა დროს მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის?
- რომელია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა? (შეგიძლია აღნიშნო ძახილის ნიშნით).

იმისათვის, რომ შენი დროის ხაზი გასაგები იყოს თანაკლასელებისათვის (ერთ-ერთ გაკვეთილზე თქვენ მოაწყობთ მის განხილვას), დაურთე შენს დროის ხაზს მოკლე და კონკრეტული თხზულება - „ჩემი ცხოვრების გზა“ .

დროის ხაზის შედგენის მაგალითი

დროის ეს ხაზი შენმა თანატოლმა შეადგინა. მას მუსიკა უყვარს. შესაძლოა, შენ სხვა ინტერესები და მიდრეკილებები გაქვს და ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენათა სიაში სულ სხვა მოვლენებს შეიტანდი. ამ ნიმუშის მიხედვით, სუფთა ფურცელზე შეადგინე შენი დროის ხაზი.

ერთად გაეცანით ქვემოთ მოყვანილ სიტუაციას და მოიფიქრეთ, რა შეიძლება გაკეთდეს:

„მოწყენილი“ ქალაქი
წარმოიდგინე ქალაქი, რომელშიც მოწყენილი ადამიანები ცხოვრობენ და არაფრის კეთება არ სურთ. დრო ამ ქალაქში ერთფეროვნად მიედინება. შენმა კლასმა უნდა მოიფიქროს, რა უნდა გაკეთდეს „მოწყენილი“ ქალაქის გამოსაფხიზლებად - შესთავაზოს ქალაქის მკვიდრთ მათი ცხოვრების გასაუმჯობესებელი, მარტივი და გასაგები პროგრამები (ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების ერთობლიობა).

პროგრამები უნდა შემუშავდეს შემდეგი მიმართულებებით:

1. სოციალური სფერო *– ქალაქის მაცხოვრებლების ჯანმრთელობა, ოჯახური, პირადი პრობლემების მოგვარება, ადამიანებს შორის ურთიერთობების მოწესრიგება;*

2. მმართველობა და პოლიტიკა *– ქალაქის მართვა, კანონების შემუშავება, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება;*

3. ეკონომიკა *– ადამიანთა დასაქმება, მატერიალური რესურსების წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება;*

4. კულტურული სფერო *– ქალაქის მაცხოვრებლების განათლებასა და სულიერ განვითარებაზე ზრუნვა, ხელოვნება, გართობა;*

5. კანონის დაცვის საკითხები *– სიმშვიდე და წესრიგი ქალაქში, დანაშაულისა და კანონდარღვევის შემთხვევების შემცირება.*

მუშაობის ეტაპები:

- **შენ და შენი თანაკლასელები დაიყავით (4-5 კაციან) ჯგუფებად და აირჩიეთ პროგრამა, რომელიც ყველაზე მეტად გაინტერესებთ (ყველა პროგრამა უნდა დამუშავდეს, სხვა შემთხვევაში, ქალაქის მაცხოვრებლები არ გამოფხიზლდებიან).**
- 10-15 **წუთის განმავლობაში მოიფიქრეთ** 4-5 **ღონისძიება, რომელიც უნდა შესრულდეს თქვენი პროგრამის ფარგლებში. (შეგიძლიათ მოიფიქროთ მეტი ღონისძიება და შემდეგ გამოყოთ მათ შორის** 5 **ყველაზე მნიშვნელოვანი). ღონისძიებები უნდა იყოს რეალისტური და განხორციელებადი.**
- **წარმოადგინეთ პროგრამის ფარგლებში გასაკეთებელი საქმეები კლასის წინაშე და გაეცით პასუხი მასწავლებლისა და თანაკლასელების დამაზუსტებელ კითხვებს.**
- **მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ პროგრამას, შეეცადეთ შეაფასოთ თითოეული პროგრამა მოცემული კითხვების მიხედვით:**

ა. რამდენად რეალისტური და განხორციელებადია პროგრამა?

ბ. რამდენად საინტერესოა პროგრამა?

? დავალება

- **რამდენად საინტერესო იყო შენთვის ამ კონკრეტულ პროგრამაზე (სფეროზე) მუშაობა? რატომ?**
- **რომელ სფეროს ან პროგრამას აირჩევდი, უფრო თავისუფალი რომ ყოფილიყავი არჩევანის პროცესში? რატომ?**
- **რომელ სფეროში ისურვებდი მუშაობას მომავალში? რატომ?**

ვინ მინდა ვიყო

დაფიქრდი და გაეცი პასუხი კითხვებს:

- **რომელ პროფესიას აირჩევდი სამომავლოდ?**
- **რატომ თვლი, რომ ეს პროფესია შეგეფერება?**
- **კიდევ რა ახდენს გავლენას შენს გადაწყვეტილებაზე?**

შენი მომავალი პროფესიის დასახელება ----------

შენი არჩევანის დასაბუთება ----------

პროფესიის არჩევა საკმაოდ რთულია. უფრო სწორად, რთულია სწორი არჩევანის გაკეთება. პროფესიის არჩევისას მნიშვნელოვანია ადამიანისა და პროფესიის თავისებურებების თანხვედრა.

სასურველია, რომ პროფესია იყოს შენთვის ***საინტერესო****. თუ შენ მოგწონს ცხოველები და მცენარეები – მაშინ მომავალში, ალბათ, დაგაინტერესებს ბუნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა.*

ნებისმიერი პროფესია მოითხოვს, ე.წ. „პროფესიულად მნიშვნელოვან თვისებებს“, მაგალითად, კორექტორისთვის მნიშვნელოვანია კარგი ყურადღება, მხატვრისთვის – ხატოვანი, შემოქმედებითი აზროვნება. ამიტომ, პროფესიის არჩევისას, უნდა გააანალიზო, გაქვს თუ არა პროფესიის შესაბამისი ***მიდრეკილებები და ნიჭი****.*

არჩეული პროფესია უნდა შეესაბამებოდეს შენს ***პიროვნულ თვისებებს და ხასიათს****. მაგალითად, თუ შენ გიყვარს ურთიერთობები, ხარ ღია, მხიარული, კონტაქტური – უფრო შეგეფერება პროფესიები, რომლებიც სხვა ადამიანებთან ურთიერთობას, კონტაქტების დამყარებას გულისხმობს. უნდა გაითვალისწინო, რომ ჯერ ახალგაზრდა ხარ და შენი ხასიათი მხოლოდ ახლა ყალიბდება, ნუ გადაიწურავ მსახიობად გახდომის იმედს, მხოლოდ*

იმიტომ, რომ შენი აზრით „მორცხვი“ ხარ. შეეცადე დაძლიო შენს თავში ის უარყოფითი თვისებები, რომლებიც ნიჭის განვითარებაში გიშლის ხელს. მიდრეკილება, ინტერესები, ხასიათის თვისებები – საკმაოდ მოქნილი, ცვალებადი მახასიათებლებია, რომლებიც შეიძლება განავითარო საკუთარ თავში.

რა ახდენს გავლენას პროფესიის არჩევაზე?

– შეძენილი ცოდნა
– მეგობრების პოზიცია
– კლასის დამრიგებლისა და სკოლის მასწავლებლების პოზიცია
– საკუთარი პროფესიული გეგმები (შენი შეხედულება პროფესიის დაუფლების ეტაპების დაძლევის შესახებ)
– ნიჭი, უნარი
– საზოგადოებრივი აღიარების მოპოვების სურვილი
– მიდრეკილებები

– ოჯახის უფროსი წევრების პოზიცია

- ***რა უნდა გაითვალისწინო პროფესიის არჩევისას?***

პროფესიის არჩევა უცვლელი გადაწყვეტილება არ არის *– პროფესიული საქმიანობის ყველა სფეროში ხდება ცვლილებები (ადამიანი იცვლის თანამდებობას კვალიფიკაციის დონის ამაღლებასთან ერთად).*

საზოგადოების აზრი პროფესიის პრესტიჟულობაზე შეიძლება მცდარი იყოს *- სამწუხაროდ, ზოგიერთი ძალიან საჭირო პროფესია არაღირსეულად და არასაკადრისად მიიჩნევა;*

პროფესია არ უნდა შეარჩიო მხოლოდ სხვათა აზრის საფუძველზე *-სხვათა „გემოვნებამ“ არ უნდა მოახდინოს გადამწყვეტი გავლენა შენს არჩევანზე;*

რომელიმე პროფესიის ცალკეული წარმომადგენლისადმი ჩვენი

სიმპათია/ანტიპათია არ უნდა გაავრცელო თავად პროფესიაზე *– პროფესიის არჩევისას ყურადღება უნდა გაამახვილო არა ამ პროფესიის მქონე ადამინის თვისებებზე, არამედ თავად პროფესიისათვის დამახასიათებელ საქმიანობასა და მის შინაარსზე;*

პირველი შთაბეჭდილება შეიძლება მცდარი იყოს *– მაგალითად, რაც უნდა იოლად და მსუბუქად ასრულებდეს მსახიობი სცენაზე როლს, უნდა გვახსოვდეს, რომ ამის უკან მძიმე შრომა და ყოველდღიური რეპეტიციები დგას;*

არ გააიგივო სასწავლო საგანი მომავალ პროფესიასთან *– რომელიმე უცხოურ ენას სწავლობ როგორც საგანს, მაგრამ ბევრად მეტი პროფესია არსებობს, რომელიც ამ უცხოური ენის ცოდნას მოითხოვს;*

კარგად შეაფასე საკუთარი თვისებები და შესაძლებლობები *– საკუთარ თვისებებსა და შესაძლებლობებში გარკვევაში შეიძლება დაგვეხმარონ სპეციალისტები, თანატოლები, მშობლები, ნათესავები, მასწავლებლები.*

პროფესიის არჩევისას გაითვალისწინე საკუთარი ფიზიკური თავისებურებები და ჯანმრთელობა *– არსებობს პროფესიები, რომლებმაც შეიძლება შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა გააუარესონ.*

- **შექმენით მონაცემთა ბანკი**

გადაწერე შენი სასურველი პროფესია ფურცელზე, დააწერე შენი სახელი და გვარი; თანაკლასელებთან ერთად შეაგროვე მთელი კლასის მოსწავლეების ფურცლები;

- **მიაკარით ფურცლები დაფაზე (ან გაშალეთ დიდ მაგიდაზე) და შეეცადეთ, დაავჯგუფოთ ისინი მათზე აღნიშნული პროფესიების მიხედვით.**

რამდენი სხვადასხვა პროფესია დაასახელა კლასმა? ვის უნდა განსხვავებული პროფესიის არჩევა? ვისი პროფესია შეიძლება ჰგავდეს შენს პროფესიას? რითი? რატომ?

- **შექმენით ჯგუფები სასურველი პროფესიების მიხედვით.**

რამდენ ადამიანს სურს იგივე პროფესია, რაც შენ აირჩიე? ჩაინიშნე მათი სახელები წიგნში (შემდეგი პრაქტიკუმზე შეგიძლია მათთან ერთად იმუშავო ჯგუფში)

ჩემი ჯგუფი ----------

პროფესიის ტიპები

*შრომის საგნის (ობიექტის) მიხედვით პროფესიები **5** ტიპად იყოფა:*

„ადამიანი – ბუნება“

პროფესიები: *ზოოტექნიკოსი, აგრონომი, კინოლოგი, ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზის ლაბორანტი და ა.შ..*

„ადამიანი – ტექნიკა“

პროფესიები: *ტექნიკოსი-მეტალურგი, ინჟინერი-მექანიკოსი, არქიტექტორი, ელექტრომემონტაჟე, რადიომექანიკოსი, დურგალი, მანქანათმშენებელი, ელექტრიკოსი.*

„ადამიანი – ადამიანი“

პროფესიები: *ექიმი, მასწავლებელი, ფსიქოლოგი, დალაქი, ექსკურსიამძღოლი,*
მენეჯერი, მიმტანი, გამყიდველი, ჟურნალისტი.

„ადამიანი – ნიშანთა სისტემა“

პროფესიები: *თარჯიმანი, ინჟინერი, ტოპოგრაფი, მდივანი, პროგრამისტი.*

„ადამიანი – მხატვრული სახე“

პროფესიები: *მსახიობი, მხატვარი, მუსიკოსი, დიზაინერი, მოქანდაკე, მწერალი, პოეტი.*

? დავალება

შეავსე ტესტი და გაარკვიე, პროფესიის რომელი ტიპი შეგეფერება შენი ინტერესებისა და მიდრეკილებების საფუძველზე.

ტესტი „ინტერესები და მიდრეკილებები“

პასუხების ფურცელი

1ა	1ბ	2ა	2ბ	3ა
3ბ	4ა	4ბ	5ა	5ბ
6ა		6ბ		7ა
	7ბ	8ა		8ბ
	9ა		9ბ	
10ა			10ბ	
11ა	11ბ	12ა	12ბ	13ა
13ბ		14ბ	15ა	15ბ
16ა	14ა	16ბ		17ა
	17ბ	18ა		18ბ
	19ა		19ბ	
20ა			20ბ	
ბ	ტ	ა	ნ	მ

„ბ“ ადამიანი – ბუნება
„ტ“ ადამიანი – ტექნიკა
„ა“ ადამიანი – ადამიანი
„ნ“ ადამიანი – ნიშანთა სისტემა

„მ“ ადამიანი – მხატვრული სახე

ტესტის ინსტრუქცია:

ქვემოთ მოცემულია ტესტის დებულებები.
ყურადღებით წაიკითხე ორივე დებულება, რომელიც წერია ერთი და იმავე ნომრის ქვეშ (1ა და 1ბ); რომელს უფრო ეთანხმები ამ ორი დებულებიდან?
პასუხების ფურცელში ჩაწერე შეფასებები – დებულებას, რომელსაც ეთანხმები, მიაწერე ნიშანი (+), ხოლო რომელსაც არ ეთანხმები – ნიშანი (-).

მას შემდეგ, რაც შეავსე ცხრილი, გამოთვალე საბოლოო შედეგები. სულ 5 სვეტია. თითოეულ სვეტში დაითვალე (-) და (+) ნიშნების რაოდენობა და დააჯამე. პლიუსების და მინუსების ჯამი მიუწერე სვეტის ბოლოში მოცემულ ასოს. მაგალითად, თუ პირველ სვეტში ხუთი მინუსია (-) და სამი პლიუსი (+), მაშინ ასო ბ-ს თან უნდა დაწეროთ - 2 (- 5 + 3 = - 2).

მას შემდეგ, რაც გამოთვლი ხუთივე სვეტის მაჩვენებლებს, **დააკვირდი, რომელ სვეტში გაქვს მეტი ქულა**. ყოველ სვეტს შეესაბამება პროფესიის გარკვეული ტიპი.

დებულებები ტესტისათვის

რას ვამჯობინებდი:

1. ა) ცხოველების მოვლას; ბ) მანქანების მომსახურებას (რეგულირებას, მოვლას);
2. ა) ავადმყოფების დახმარებასა და მკურნალობას; ბ) სქემების, ცხრილების, პროგრამების შედგენას;
3. ა) წიგნების, ილუსტრაციებისა და ღია ბარათების ხარისხის შემოწმებას; ბ), მცენარეების ზრდისა და განვითარების პროცესზე დაკვირვებას;
4. ა) სხვადასხვა მასალაზე მუშაობას (ხე, ქსოვილი, მეტალი . . .); ბ) სავაჭრო საქონლის რეკლამირებასა და გაყიდვას;
5. ა) შემეცნებითი ლიტერატურის - წიგნების, სტატიების განხილვას; ბ) მხატვრული ლიტერატურის, კონცეტრების, თეატრალური წარმოდგენების შეფასებას;
6. ა) ახალშობილი ცხოველების მოვლასა და გაწვრთნას; ბ) პატარა ბავშვების აღზრდასა და მოვლას;
7. ა) ნახატების ასლების დამზადებას, მუსიკალური ინსტრუმენტების აწყობას; ბ) რაიმე სატვირთო მანქანის მართვას;
8. ა) ხალხისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას (ცნობათა ბიურო, ექსკურსია); ბ) გამოფენების მოწყობას, ვიტრინების მორთვას, თეატრალური წარმოდგენებისა და საკონცერტო პროგრამების მომზადებაში მონაწილეობის მიღებას;
9. ა) ნივთების, ნაკეთობების (ტანსაცმლის, ტექნიკის), საცხოვრებელი ფართის რემონტს; ბ) ტექსტებში, ცხრილებსა და ნახ-

ატებში შეცდომების აღმოჩენას;

10. ა) ცხოველების მკურნალობას; ბ) გამოთვლების წარმოებას;
11. ა) მცენარეების ახალი ჯიშების გამოყვანას; ბ) სხვადასხვა პროდუქციის (მაქანები, ტანსაცმელი) დიზაინის შექმნას, სახლების პროექტირებას;
12. ა) ადამიანებს შორის უთანხმოებების, კონფლიქტების მოგვარებასა და ანალიზს; ბ) სქემებსა და ცხრილებში გარკვევას;
13. ა) შემოქმედებითი ჯგუფების საქმიანობაზე დაკვირვებას; ბ) მიკროორგანიზმების შესწავლასა და მათი განვითარების პროცესზე დაკვირვებას;
14. ა)სამედიცინო აპარატურის, ხელსაწყოების გამართვას; ბ) ადამიანებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევას;
15. ა) ობიექტებისა და მოვლენების შესახებ ზუსტი, აღწერითი ანგარიშების შედგენას; ბ) მოვლენების მხატვრულად აღწერას;
16. ა)ლაბორატორიული ანალიზის კეთებას; ბ) პაციენტების მიღებას, გასინჯვას, მკურნალობის დანიშვნას;
17. ა) კედლების, ნაკეთობების მოხატვასა და ღებვას; ბ) მანქანის, ხელსაწყოების აწყობასა და მონტაჟს;
18. ა) თანატოლებისათვის ან უმცროსებისათვის ექსკურსიების მოწყობას; ბ) სცენაზე გამოსვლას, კონცერტებსა და სპექტაკლებში მონაწილეობას;
19. ა) ნახაზების მიხედვით დეტალების დამზადებას, მშენებლობას; ბ) ნახაზების, რუკების შედგენას;
20. ა) მცენარეების მოვლას; ბ) კლავიატურის მქონე მანქანებზე მუშაობას (საბეჭდი მანქანა, კომპიუტერი.

შენ უკვე იცი, ვინ გინდა გამოხვიდე.

- შეეცადე, უფრო მეტი გაიგო ამ პროფესიის შესახებ და შეაფასო შენი შესაბამისობა ამ პროფესიასთან.
- განსაზღვრე, რა ცოდნა და უნარ-ჩვევები დაგჭირდება იმისათვის, რომ არჩეულ პროფესიას კარგად დაეუფლო.

შეავსე სქემა

პროფესია	საჭირო ცოდნა	საჭირო უნარ-ჩვევები

რჩევა:

იმისათვის, რომ სრულფასოვანი, ობიექტური სურათი მიიღო, იმუშავე თანაკლასელებთან ერთად ჯგუფებში პროფესიების მიხედვით ან შეადარე შენი პასუხები თანაკლასელების სქემას. აჩვენე ეს სქემა მშობლებს, მასწავლებლებს, შესაბამისი დარგის პროფესიონალებს. მათი შემოთავაზებების მიხედვით შეიტანე ცვლილებები და შესწორებები სქემაში.

კითხვები პროფესიის შესახებ შენ ხელთ არსებული ინფორმაციის შესაფასებლად:

- რამდენად ამომწურავია ინფორმაცია, რომელიც შენ გაქვს შენი მომავალი პროფესიის შესახებ?
- შენი აზრით, კიდევ რა უნდა იცოდე?
- როგორ მოიპოვებ ამ ინფორმაციას?
- როგორ შეიძლება ამაში დაიხმარო შენი თანაკლასელები?
- როგორ შეიძლება დაგეხმარონ ამ პროფესიის წარმომადგენლები?

კითხვები საკუთარი თავის შესაფასებლად:

- გაქვს თუ არა ყველა საჭირო უნარ-ჩვევა, იმისათვის, რომ გამოხვიდე კარგი --------- ?
- შენი აზრით, რა სახის ცოდნა და რომელი უნარ-ჩვევა გაკლია?
- როგორ შეიძლება ამ დანაკლისის შევსება?
- როგორ შეიძლება ამაში დაიხმარო შენი თანაკლასელები?
- როგორ შეიძლება დაგეხმარონ ამ პროფესიის წარმომადგენლები?

შეავსე სქემა და მოამზადე პრეზენტაცია შენი მომავალი პროფესიის შესახებ, რომელსაც წარუდგენ მასწავლებელსა და თანაკლასელებს. სქემის შევსებისათვის შენ საკმაო დრო გაქვს (შედეგები ერთი კვირის შემდეგ უნდა წარმოადგინო)

ამოცანები, რომლებიც ამავე გაკვეთილზე შეიძლება გადაჭრა:

პირველ რიგში განსაზღვრე, რა ინფორმაციას ფლობ. ხომ არ საჭიროებს შენს ხელთ არსებული ინფორმცია დაზუსტებას, შემოწმებას, შევსებას?

აირჩიე ინფორმაციის მოძიების ის მეთოდები, რომლებიც, შენი აზრით, ყველაზე უკეთ დაგეხმარება საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში. ეს მეთოდებია: დაკვირვება,ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, შესაბამისი დოკუმენტების შესწავლა და ანალიზი.

უმჯობესია, თუ იპოვი თანამოაზრეებს და იმუშავებთ ჯგუფში. გაიხსენე, რომ გაქვთ პროფესიების ბანკი და შეგიძლია აღმო-

აჩინო შენი თანამოაზრეები. გადაინაწილეთ პასუხისმგებლობები ჯგუფში – მაგალითად, ჯგუფის რომელიმე წევრი ჩაატარებს ინ-ტერვიუს, მეორე - გამოკითხვას, ნაწილი კი საჭირო ინფორმა-ციას პრესიდან ან ტელევიზიიდან მოიპოვებს.

შეადგინეთ თქვენი ჯგუფის მუშაობის გეგმა (რას გააკეთებთ ერთი კვირის განმავლობაში? როგორ გაინაწილებთ ფუნქციებს?) და განიხილეთ მოქმედების გეგმა მასწავლებელთან ერთად.

გაითვალისწინე, რომ შენი თანაკლასელები და მასწავლებელი შეა-ფასებენ შენს ნამუშევარს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- რამდენად სრულად არის შევსებული ცხრილი?
- რამდენად დასაბუთებულია დასკვნა?
- რამდენად მრავალფეროვანია ინფორმაციის მოძიების მეთოდები?
- რამდენად სწორად არის შერჩეული ინფორმაციის მოპ-ოვების მეთოდი?

? დავალება

- იმუშავეთ გუნდურად სქემის შევსებისათვის საჭირო ინ-ფორმაციის მოპოვებისა და ანალიზისათვის.
- მოაწყვეთ გუნდური შეხვედრა, სადაც შეაჯერებთ ინ-ფორმაციას და გადაამოწმებთ თავს – რამდენად სწორად მუშაობთ, რა ინფორმაცია გაქვთ ხელთ.
- სქემის უკეთ შევსებაში შეიძლება დაგეხმაროთ მომავალ-ში შესასწავლი საგნების ჩამონათვალის გაცნობა. სკოლის პროგრამაში ბევრი სიახლეა – ახალი საგნები და მათი არჩევის შესაძლებლობა. მოაწყვეთ კლასის შეხვედრა, სადაც განიხილავთ ამ საგნებს, მათი დაჯგუფებისა და არჩევის წესებს.
- გადაიტანეთ თქვენი ნამუშევარი სქემაში, მოიფიქრეთ, ვინ და როგორ წარადგენს მას კლასის წინაშე (იმისთვის, რომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინოთ აუდიტორიაზე, შეგიძლიათ გამოიყენოთ დიდი ქაღალდი, ფერადი ფლო-მასტერები, ფოტოები, სხვა თვალსაჩინო მასალა)
- დაამატე თხზულებას „ჩემი ცხოვრების გზა“ ახალი თავი – „როგორ მესახება ჩემი მომავალი“?
- დაიტანე დროის ხაზზე მომავლის მოვლენები

ინფორმაციის მოძიების მეთოდები:

დაკვირვების მეთოდი *– შენ შეგიძლია დააკვირდე შენს მიერ არჩეული პროფესიის წარმომადგენელს მუშაობის პროცესში. დაკვირვების წარმატებულად განხორციელებისათვის საჭიროა მისი წინასწარი დაგეგმვა და შემდეგი პირობების დაცვა:*

- დაკვირვებისათვის სწორი გარემოს შერჩევა და იქ ყოფნის ნებართვის მოპოვება;

- დაკვირვების დროის და ხანგრძლივობის სწორად შერჩევა;

- მოიფიქრე, როგორ ჩაიწერ დაკვირვების შედეგებს, რა გაინ-ტერესებს ყველაზე მეტად;

- დაკვირვების პროცესში არ უნდა შეუშალო ხელი იმას, ვისაც

აკვირდები.

გამოკითხვა, ანკეტირება *– ორივე კითხვარის მეშვეობით ტარდება. ოლონდ არის ერთი განსხვავება: გამოკითხვის დროს შეგიძლია დაუტოვო კითხვარი რესპონდენტს (ვისი აზრიც გაინტერესებს), ანკეტირების დროს კი თავად უნდა ჩაიწერო რესპონდენტის პასუხები. ეს მეთოდები ერთსა და იმავე საკითხებზე ბევრი ადამინის აზრის გაგებისა და ამ აზრების შეჯამების შესაძლებლობას გაძლევს. შენ უკვე გაქვს გამოკითხვის ჩატარების გამოცდილება.*

ინტერვიუ *– დიალოგი ორ ადამიანს შორის, რომლის მიმდინარეობაც წინასწარ არის განსაზღვრული ძირითადი კითხვების თანმიმდევრობით. ადამიანს, რომელიც სვამს კითხვებს ინტერვიუერი ეწოდება. ადამიანს, რომელიც პასუხობს კითხვებს – რესპონდენტი.*

გამოკითხვისგან განსხვავებით, ინტერვიუს დროს შეიძლება დამატებითი კითხვების დასმა და ინფორმაციის მეტად დაზუსტება.

დოკუმენტების მოძიება *– შეგიძლია მოძებნო შენთვის საინტერესო მასალა წიგნებში, ჟურნალებში, სატელევიზიო გადაცემებსა და გაზეთებში.*

წინააღმდეგობები და გამოსავლის გზების ძიება

***პასუხისმგებლობა**: ის, რისი გაკეთების ვალდებულებაც გააჩნია ადამიანს. პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს იურიდიული, მორალური, სოციალური.*

***მორალური კონფლიქტი**: წინააღმდეგობრიობა, რომელიც თავს იჩენს მაშინ, როცა ადამიანს ვერ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს.*

***სამოქალაქო პასუხისმგებლობა**: ადამიანის ვალდებულებები სხვა ადამიანების წინაშე. თემის წევრობას თან ახლავს უფლებები, ისევე როგორც პასუხისმგებლობები.*

ყველა ადამიანს აქვს პასუხისმგებლობები; პრობლემები თავს იჩენს მაშინ, როცა ადამიანი გარკვეულ პასუხისმგებლობას სხვა პასუხისმგებლობებზე მაღლა აყენებს. არჩევანის გაკეთება ხშირად რთულია.

წაიკითხეთ მოთხრობა

მილანი ირჩევს

მილანი მზად იყო სკოლაში წასასვლელად, როცა მამამისი სამზარეულოში

შემოვიდა.

„მილან, ძალიან მჭირდება შენი დახმარება ყანაში. გთხოვ, არ წახვიდე დღეს სკოლაში. თუ მოსავალს დროზე არ ავიღებთ, გაფუჭდება“.

მილანს ამის გაგონება არ ესიამოვნა.

„მამიკო, აუცილებლად უნდა წავიდე სკოლაში. დღეს იმართება სასკოლო საბჭოს პირველი შეხვედრა და ამ საბჭოში მე მე-8 კლასელთა წარმომადგენლად ვარ არჩეული.“

„მაგრამ შენ არ ხარ მე-8 კლასელთა ერთადერთი წარმომად-

გენელი ამ საბჭოში, არა? სხვა ვინმეც იქნება და ის წარმოადგენს მე-8 კლასელებს.“

„მართალი ხარ, მაგრამ მე ჩემი ამომრჩევლის იმედები არ უნდა გავაცრუო.

ასევე, დღეს გვაქვს ბუნებისმეტყველების გაკვეთილი. არ მინდა ამ გაკვეთილის გაცდენა. თუ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას გადავწყვეტ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში გამოცდის ჩაბარება მომიწევს.“

მილანის მამამ უკმაკოფილოდ ჩაიბურტყუნა: „უნივერსიტეტზე ლაპარაკობ და ოჯახი არ განაღვლებს. შენი დახმარება სახლში გვჭირდება. რას მოგვიტანს შენი უნივერსიტეტში ჩაბარება? უნივერსიტეტს რომ დაასრულებ, მერე კი ნამდვილად აღარ გაგახსენდება ოჯახი.“

„მამა, შენ უნდა გიხაროდეს, რომ, სხვა ბიჭებისაგან განსხვავებით, სწავლის გაგრძელება მსურს. მათ არანაირი ამბიცია არ გააჩნიათ და მთელი ცხოვრება ზუსტად ის უნდა აკეთონ, რითაც მათი მამები არიან დაკავებულნი.“

მილანის მამამ გაბრაზებით დასძინა: „ძველ ღირებულებებში არაფერია ცუდი. მძულს ეს საუბრები განათლებაზე. მეჩვენება, რომ ძველი ღირებულებების პატივისცემა სრულიად დაკარგე.“

მილანმა ამოიოხრა. ასეთი საუბარი მამასთან პირველად არ ჰქონდა.

„მამა, მე თუ კარგ სამსახურს ვიშოვი, დაგეხმარებით. როგორ შეიძლება იფიქრო, რომ მე თქვენ დაგივიწყებთ? ნუთუ მართლა გსურს, სკოლაში სიარულს თავი დავანებო და არ მივაღწიო იმას, რისი მიღწევაც შემიძლია? ყველა მასწავლებელი მეუბნება, რომ შეიძლება, კარგი მეცნიერი გამოვიდე. წარმოიდგინე, რომ შენი შვილი იქნება მეცნიერი, რომლის აღმოჩენები მსოფლიოს დაეხმარება.

მილანის მამამ მუშტი დაარტყა მაგიდას: „შენი პირველადი მოვალეობაა ოჯახისა და თემის დახმარება, მით უმეტეს, ახლა, ამ გაჭირვებულ დროში. თავი ოცნებებით გაქვს გამოტენილი. რა დროს მსოფლიოს დახმარებაა?“

მილანს მამის სიტყვებმა გული დასწყვიტა, მაგრამ არ უნ-

დოდა სევდის გამომჟღავნება. მამა შეტრიალდა, დატოვა ოთახი და კარი გაიჯახუნა.

მილანი ჩამოჯდა და ამოიოხრა. ის ჩაფიქრდა და მალე გადაწყვეტილება მიიღო. მილანმა აიღო ჩანთა და კარისკენ გაემართა. უცებ შეჩერდა, ამოიღო ჩანთიდან კალამი და ქაღალდი, დაჯდა მაგიდასთან და მამისათვის წერილის წერას შეუდგა. ეს იყო მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გადაწყვეტილება.“

დაფიქრდით შემდეგ საკითხებზე. საბოლოო პასუხების წარმოდგენამდე, წყვილებში იმუშავეთ:

1. რა წერია მოთხრობაში მილანის პასუხისმგებლობებზე? რამდენ სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობას ხედავთ ამ მოთხრობაში (პასუხისმგებლობა საკუთარი თავის წინაშე, ოჯახის წინაშე, სკოლის წინაშე, ადგილობრივი თემისა და მსოფლიოს წინაშე)?
2. როგორ ფიქრობთ, რა გზა უნდა აირჩიოს მილანმა? ყველა თანხმდება კლასში, თუ არის განსხვავებული მოსაზრებები?
3. რამდენად რთული დილემის წინაშე დგას მილანი? რა ართულებს სიტუაციას?
4. რა პასუხისმგებლობები აქვს მილანის მამას, მოთხრობის მიხედვით?
5. თქვენი აზრით, მართალია მილანის მამა, როდესაც შვილს სახლში დარჩენას სთხოვს?
6. რამდენად გაუჭირდებოდა მილანს, დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა მამისათვის? რამდენად სერიოზულ შედეგებს გამოიწვევდა ასეთი დაუმორჩილებლობის გამოცხადება? ახსენით თქვენი პასუხი.

? დავალება

დაწერეთ ის, რაც, თქვენი აზრით, მილანმა მამას დაუწერა. შეადარეთ თქვენი ვერსია თქვენი თანაკლასელების ვერსიებს.

ჯგუფებში მუშაობა

ჩამოაყალიბეთ პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმა, რომლებიც ადამიანებს საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ქვეყნის და კაცობრიობის წინაშე ეკისრებათ. შეავსეთ ცხრილი:

პასუხისმგებლობის ფორმები	ვის წინაშე?
	საკუთარი თავი
	ოჯახი
	თემი
	ქვეყანა
	კაცობრიობა

ერთად განიხილეთ ადამიანის პასუხისმგებლობები სხვა ადამიანების წინაშე.

19 რატომ უნდა ემორჩილებოდნენ ადამიანები კანონებს?

***კანონი**: მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაცია.*

***კანონის უზენაესობა**: დემოკრატიული ქვეყნის მთავრობა ემორჩილება ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს. მმართველობის ცვლილება ხდება კონსტიტუციით განსაზღვრული წესების მიხედვით, და არა ძალადობის, ან ომის საშუალებით. მოსახლეობას აკისრია კანონმორჩილების პასუხისმგებლობა.*

***იურიდიული ვალდებულება**: პასუხისმგებლობა, რომელსაც კანონი აკისრებს მოქალაქეებს.*

***მორალური პასუხისმგებლობა**: ადამიანის ვალდებულება, რომელსაც ის პირადი შეხედულებების მიხედვით იღებს საკუთარ თავზე.*

წაიკითხეთ მოთხრობა

შმიტის დილემა

„შმიტის ერთადერთი ქალიშვილი მძიმედ ავადაა; მას გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება. ოპერაციისათვის კი აუცილებელია ფული. შმიტმა არ იცის, როგორ იშოვოს ფული. შმიტსა და მის ცოლს აქვთ მცირედი დანაზოგი, რითაც მაღაზიის გახსნას აპირებდნენ; ისინი სიამოვნებით გაიღებდნენ ამ ფულს გოგონას გადასარჩენად, მაგრამ ეს ფული საკმარისი არ იქნება ოპერაციისათვის.

შმიტი ევედრება ექიმებს, გააკეთონ ოპერაცია შედარებით დაბალ ფასად. ექიმები აცხადებენ, რომ ეს უსამართლობა იქნება მათ მიმართ, ვინც ოპერაციაში სრული საფასური გადაიხადა. შმიტი მეგობრებსა და ნათესავებში შეაგროვებს ცოტაოდენ ფულს, მაგრამ ოპერაციისათვის საკმარისი თანხა მაინც არ გამოსდის.

გოგონა ყოველდღიურად უფრო უარეს მდგომარეობაში ვარდება.

სასოწარკვეთილი შმიტი გადაწყვეტს, მოიპაროს თანხის ის ოდენობა, რაც ოპერაციისათვის აკლია.“

ჯგუფებში განიხილეთ, რამდენად მართებულია შმიტის გადაწყვეტილება. აირჩიეთ ქვემოთ მოტანილი მიდგომებიდან, რომელსაც ეთანხმებით და საკუთარი მოსაზრებები დაწერეთ.

– შმიტმა უნდა მოიპაროს ფული, რადგან...

– შმიტმა არ უნდა მოიპაროს ფული, რადგან...

? დავალება

დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

„კანონის დარღვევა არასწორია, რადგან...“

დაასახელეთ რაც შეიძლება მეტი მიზეზი, თუ რატომ არ უნდა დაირღვეს კანონი.

არსებობს არაერთი მიზეზი, რის გამოც ადამიანები კანონებს უნდა ემორჩილებოდნენ. ამ მიზეზთა ნაწილი უკავშირდება თავად პიროვნების ინტერესებს, ნაწილი – სხვა ადამიანების, ან საზოგადოების ინტერესებს.



მხოლოდ კანონმორჩილება არ არის ნიშანი იმისა, რომ ადამიანი კარგი მოქალაქეა. ბევრი არასწორი საქციელი ჩაუდენიათ ადამიანებს იმის მტკიცებით, რომ ისინი „კანონს ემორჩილებიან“. მეორე მხრივ, როგორც მოთხრობიდანაც იკვეთება, კარგი ადამიანი ხანდახან ფიქრობს კანონის დარღვევაზე მაღალმორალური მიზეზების გამო. მაგალითად, ადამიანი, საგანგებო მდგომარეობის დროს, აჭარბებს ნორმით დაშვებულ სიჩქარეს, ან არ ასრულებს კანონს, რომელიც არასამართლიანია.

განსხვავებას მორალურ და იურიდიულ პასუხისმგებლობებს შორის; პირველს ადამიანი თავად კისრულობს, ხოლო მეორის მორჩილებას მას მთავრობა ავალდებულებს. ამ ორი ტიპის პასუხისმგებლობის ჭიდილს მივყავართ მოქალაქეთა მხრიდან არსებული კანონების კრიტიკამდე. ადამიანები სწორედ ასეთი წინააღმდეგობრიობის გამო გამოდიან ხოლმე კანონის შეცვლის მოთხოვნით. მოქალაქეები, მორალური მიზეზებიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში კანონის დარღვევის გადაწყვეტილებას იღებენ. არაერთი ისტორიული მაგალითი ცხადყოფს, რომ ადამიანები კანონს არღვევდნენ, რათა პროტესტი გამოეხატათ ტირანი მმართველების წინააღმდეგ. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მოუყვენოს ასეთი პროტესტის მაგალითები ქვეყნის ისტორიიდან. მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ კანონის დარღვევის შემთხვევას ზედაპირულად ვერასოდეს მივუდგებით, რადგან კანონის დარღვევა საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, რაც დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია.

20 მავნე ჩვევებისა და მათი სახიფათო შედეგებისგან თავდაცვა

- პატარა ბარათებზე 2 წუთის განმავლობაში ჩამოწერეთ ის ჩვევები / თვისებები, რომელიც ადამიანს ხელს უშლის ჯანსაღ, ნორმალურ ცხოვრებაში, სხვებთან ურთიერთობაში.
- ახლა ბარათები მიამაგრეთ დაფაზე, თან ხმამაღლა წაიკითხეთ საკუთარი ჩანაწერი.

„ჯანმრთელობა ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობაა და არა მხოლოდ დაავადებათა და დაზიანებათა არარსებობა“.

„ჯანმრთელობის 50% დამოკიდებულია ცხოვრების წესზე, 20% – გარემო ფაქტორებზე, 20% გენეტიკაზე და 10% – მედიცინისა და სამედიცინო მომსახურების განვითარების დონეზე“.

- დაუკავშირეთ ეს განმარტებები თქვენს მიერ გამოვლენილ ყველაზე მავნე თვისებებს და დაასახელეთ ამ ჩვევების შედეგები პიროვნებისა და მის გარშემო მყოფი საზოგადოებისთვის.

ალკოჰოლიზმი, თამბაქოს მოხმარება და ნარკომანია მსოფლიო პრობლემას წარმოადგენს და სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კველევები და მათი შედეგები
ძალზე საგანგაშოა.

ლექსიკონი

ალკოჰოლიზმი *– მაგარი სასმელების ხშირად სმა; ლოთობა.*
ალკოჰოლიკი (ლოთი) *– პირი, რომელსაც სმისთვის თავის დანებება არ ძალუძს და რომლის ცხოვრების წესზეც სმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.*

ფაქტები:

- *ამერიკელი ფსიქოლოგის, დოქტორ ლორენს მთზგერის მიერ 2008 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ამერიკელების მესამედს მიაჩნია, რომ ალკოჰოლი მათი ოჯახის მთავარი პრობლემაა - აშშ–ში ალკოჰოლის ყოველი მეათე მომხმარებელი ქრონიკული ალკოჰოლიკია.*
- *ბრიტანელი ექიმების მიერ 2008 წელს ჩატარებული კვლევების თანახმად, ქალებში ალკოჰოლის ჭარბად გამოყენება სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების რისკის 50%–ით მატებას იწვევს. ალკოჰოლი ყოველწლიურად მხოლოდ დიდ ბრიტანეთში სარძევე ჯირკვლის კიბოს 2000-ზე მეტი შემთხვევის მიზეზია.*

სახელმწიფოც ცდილობს ხელი შეუშალოს არასრულწლოვნებში ალკოჰოლიზმის გავრცელებას. ამისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არაერთი მუხლი შეიტანეს ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად:

მშობლების ან სხვა პირთა მიერ არასრულწლოვანის დათრობა – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 170 - არასრულწლოვნის დათრობა

სპირტიანი სასმელების სმა ქუჩაში, სტადიონზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა, სადაც სპირტიანი სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა ნებადართულია მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ, ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა

და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფ მდგომარეობაში – გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე.
საზოგადოებრივ ადგილებში თექვსმეტ წლამდე მოზარდების მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, მათ მიერ სპირტიანი სასმელების სმა, –გამოიწვევს მშობლების ან მათი შემცვლელი პირების დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 171- საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმა ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა.

წყვილში განიხილე მოცემული შემთხვევები. თქვენ თუ გსმენიათ ან გინახავთ მსგავსი შემთხვევა?
რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობა?

ზურაბმა თავის დაბადების დღეზე დაპატიჟა თავისი მეგობრები და ტრადიციული წესით აღნიშნა, რომლის დროსაც მან თავის 10 წლის ვაჟიშვილს, გიორგის, შესთავაზა დაელია მამის სადღეგრძელო. გიორგიმ დალია განსხვავებულით, რითაც მუჯირის ძმაკაცები აღტაცებულები დარჩნენ, ამით შეგულიანებულმა გიორგიმ კიდევ რამდენიმე ჭიქა დალია, რის შედეგადაც მას დაეწყო ალკოჰოლური ინტოქსიკაცია და გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

მე-7 კლასის მოსწავლეები, რომლებმაც გადაწყვიტეს სკოლის მერე ერთად წასულიყვნენ სადმე, წავიდნენ მუშტაიდის პარკში, სადაც კლასის ვაჟებმა დაინახეს, თუ როგორ სვამდა უნივესიტეტის რამდენიმე სტუდენტი

ლუდს. მათაც იყიდეს ლუდი და იმისათვის, რომ კლასის გოგონებისათვის თავი მოეწონებინათ, დაიწყეს სმა და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ უფრო მეტს დალევდა. როცა დათვრნენ, მათ ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც სამი ბიჭი და ერთი გოგონა, რომლიც გაშველებას აპირებდა, დაზიანდნენ, ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სხვები კი –– პოლიციის შენობაში.

- **წყვილები გაერთიანდით 6-კაციან ჯგუფებში და განიხილეთ ეს სიტუაციები შესაბამისი ინფორმაციის გამოყენებით. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინოთ სიტუაციის მონაწილეთა მოქმედებების მორალური და სამართლებრივი შეფასება და ჩამოთვალონ ამ სიტუაციების თავიდან აცილების გზები.**

ნარკომანია *– დაავადება, რომელიც ვითარდება ნარკოტიკულ საშუალებათა სისტემატური მოხმარების შედეგად და ვლინდება ნარკოტიკის მიღების დაუძლეველი ან ძნელად დასაძლევი მოთხოვნილების სახით;*

ნარკომანი *– ნარკომანიით დაავადებული ადამიანი, რომელსაც აქვს ნარკოტიკის დაუძლეველი მოთხოვნილება, აღენიშნება პერიოდული ან ქრონიკურლი ინტოქსიკაცია (მოწამვლა) და იძულებულია გაზარდოს ნივთიერების დოზა ორგანიზმის დოზისადმი შეჩვევის გამო;*

ნარკოტიკის მომხმარებელი *– ადამიანი, რომელიც არასამედიცინო დანიშნულებით ხმარობს ნარკოტიკულ საშუალებას, ვინაიდან აქვს მისდამი ჩამოყალიბებული დამოკიდებულება;*

ნარკოტიკული დანაშაული *– პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება; ასევე ნარკოტიკული საშუალების წარმოება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება; ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება; ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის*

დათმობა; ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიება;

ფაქტები:

საქართველოს ანტინარკოტიკული კოალიციის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული კვლევების თანახმად:

- *ნარკოტიკების მოხმარებელთა შორის ხშირია გულსისხლ-ძარღვთა, რეპროდუქციულ და იმუნურ სისტემათა, ღვიძლისა და სახსრების დაზიანება;*
- *ნარკოტიკების ინექციური მოხმარება არის უკურნებელი ინფექციური დაავადებების შიდსისა და ჰეპატიტების – გავრცელების მთავარი მიზეზი.*
- *საქართველოში აივ/შიდსით დაავადებულთა თითქმის ორი მესამედი ნარკოტიკების მომხმარებელია;*
- *ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის ყოველი მეორე დაავბადებულია C ჰეპატიტით.*

სახელმწიფომ მიიღო არაერთი კანონი ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის არის კანონი ,,ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ," რომელიც არეგულირებს მთელ რიგ შეზღუდვებს ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ: მომხმარებელთა, ხელშემწყობთა და გამსაღებელთა.

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს 3 წლით ჩამოერთმევა:

ა) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

ბ) საექიმო საქმიანობის უფლება;

გ) საადვოკატო საქმიანობის უფლება;

დ) პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება;

ე) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება;

ვ) პასიური საარჩევნო უფლება;
ზ) იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.
ნარკოტიკული დანაშაულის ხელშეწყობისათვის აღნიშნული უფლებები იზღუდება 5 წლით, ხოლო გამსაღებელს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ეზღუდება 5 წლით, ხოლო ყველა დანარჩენი – 15 წლით.
აღნიშნული კანონის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლისათვის, ნარკოტიკული საქმიანობის ხელშეწყობისათვის ან ნარკოტიკული საშუალების გამსაღებლისათვის უფლებების ჩამორთმევის შესახებ სასამართლო დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას.
უფლებები პირს აღუდგება მას შემდეგ, რაც გავა ზემოთ მითითებული ვადა და, ასევე, მნიშვნელოვანია ისც, რომ უფლების აღსადგენად მომხმარებელმა უნდა წარადგინოს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა იმის შესახებ, რომ იგი აღარაა ნარკოტიკზე დამოკიდებული და მხოლოდ ამის შემდეგ აღუდგება მას უფლება.
თუ პირი არ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებებს, მაშინ მას დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

საქართველოს კანონი "ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", მუხლი 3. უფლებების ჩამორთმევა

ნახეთ ნაწყვეტი ფლმიდან „ეს ერთჯერადი ნივთები“. განიხილეთ ჯგუფში მოცემული შემთხვევა.

- რომელ პერსონაჟებს მიესადაგება ნარკოტიკული დანაშაულის განმარტება?
- ჯგუფში შეათანხმეთ და ჩამოაყალიბეთ ჰიპოთეზა, როგორ შეიძლება თავიდან აეცილებინათ ფილმის პერსონაჟებს დანაშაულში მონაწილეობა? გაამაგრეთ თქვენი ჰიპოთეზა არგუმენტებით.
- შემდეგი გაკვეთილისათვის შინ დაწერეთ თხზულება „10 ნაბიჯი ნარკომანიის თავიდან ასარიდებლად“.

თამბაქო და ნიკოტინიზმი

ლექსიკონი

ნიკოტინიზმი *– ნიკოტინით ქრონიკული ან მწვავე მოწამვლა;*
ნიკოტინი *– შხამი, რომელსაც შეიცავს თამბაქო;*

ფაქტები:

- *2009 წლის გაეროს უწყებანის მონაცემებით, თამბაქო სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია და 5 მილიონამდე ადამიანს კლავს ყოველწლიურად.*
- *2007 წელს აშშ-ში ჩატარებული კვლევების თანახმად, ყოველ წელს მოწევისაგან გამოწვეული მიზეზებით 530 000 ადამიანი კვდება. ეს უფრო მეტია, ვიდრე ავტოკატასტროფებით, ნარკოტიკების გადაჭარბებული მიღებით, ალკოჰოლური ციროზით, მკვლელობებით და თვითმკვლელობებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები.*
- *დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის 2007 წლის მონაცემებით, მოწევა წელიწადში იწვევს 121 000 სიკვდილის შემთხვევას. მწეველები 13–14 წლით ადრე კვდებიან, ვიდრე არამწეველები.*
- *ამავე კვლევების თანახმად, ფილტვის კიბოთი დაავადების რისკი მწეველთა შორის 18-ჯერ მაღალია, ვიდრე არამწეველებში.*
- *მწეველები იწვევენ ხანძრის 33%-ს (ნაგავში გადაგდებული*

სიგარეტების და ა.შ. გამო).

- *მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (ჯანმო) და აშშ-ის დაავადების კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მიერ თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებით 1999-2005 წწ. წარმოებულ იქნა გლობალური კვლევა, რომელიც მოიცავდა 13-დან 15-წლამდე ბავშვებს 132 ქვეყნიდან. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 43,9% მეორადად შეისუნთქავს თამბაქოს კვამლს სახლში, ხოლო 55,8% - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.*

საქართველოს კანონი „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ" კრძალავს თამბაქოს მოხმარებას:

- *სააღმზრდელო, საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებსა და დახურულ სპორტულ ნაგებობებში;*
- *სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა შენობებში;*
- *ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების მთელ ტერიტორიაზე;*
- *ყველა შენობა-დაწესებულებაში, სადაც ინახება ცეცხლსაშიში ნივთიერებები;*
- *საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მათ შორის, ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსიში, საჰაერო ხომალდში, მეტროპოლიტენში, ტრამვაისა და ტროლეიბუსში.*

აღნიშნული კანონის თანახმად, თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია აკრძალულია:

- *სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სკოლებში, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის დაშორებით;*
- *ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებაში;*
- *იმ სავაჭრო ობიექტებში, რომლებშიც ხდება ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია;*

- *სიგარეტის ერთეული ღერებით, ერთეული შეფუთვით (კოლოფით) თუ მასში 20 ღერ სიგარეტზე ნაკლებია;*
- *18 წლამდე ასაკის პირებზე.*

ამ კანონის დარღვევისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ:

1. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც წარმოებს ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია (ჯარიმა 100 ლარი).
2. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სკოლაში, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათ კუთვნილ ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით, აგრეთვე ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში (ჯარიმა 50 ლარი).
3. თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირზე (ჯარიმა 100 ლარი).
4. სიგარეტის ღერების, ერთეული შეფუთვის (კოლოფის) რეალიზაცია, თუ მასში სიგარეტის 20 ღერზე ნაკლებია (ჯარიმა 10 ლარი).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 1553 – თამბაქოს პროდუქცის რეალიზაციისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა.

განიხილე მოცემული შემთხვევა კანონის აქ მოყვანილი დებულებების კუთხით. მოიფიქრე, რა საქმიანობას ურჩევდი ქალბატონ ინგას საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისთვის. დაასაბუთე შენი მოსაზრება.

ქალბატონი ინგა უმუშევარი იყო და გადაწყვიტა, ოჯახი გარე ვაჭრობით ერჩინა.

ამისათვის მან დაიწყო მზესუმზირისა და სიგარეტის გაყიდვა. მან კარგად იცოდა, რომ საუკეთესო ადგილი ამისათვის მისი სახლის გვერდზე არსებული სკოლის ეზო იყო. მან დაიწყო სიგარეტის ღერებით ვაჭრობა. მისი

ძირითადი მყიდველები მე-8– მე-11 კლასელი ბავშვები იყვნენ.

აზარტული თამაშობები - *ანუ თამაშობები, რომელთა შედეგი მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, ტარდება ბანქოს დასტის, კამათლის, სათამაშო ბორბლის (რულეტის) ან სათამაშო აპარატის მეშვეობით და მასში მონაწილეობა ფულადი მოგების შესაძლებლობას იძლევა;*

მოთამაშე *– პირი, რომელიც თამაშობაში მონაწილეობს მოგების მიღების მიზნით;*

სამორინე *– სპეციალური სათამაშო დაწესებულება, სადაც სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, სათამაშო მაგიდების, კამათლების, სათამაშო აპარატებისა და სხვა ინვენტარის საშუალებით ხორციელდება ფულადი მოგების გათამაშება;*

სათამაშო აპარატი *– მექანიკური ან ელექტრონული მექანიზმები ,რომლებიც მოქმედებაში მოჰყავთ მონეტებით, ჟეტონებით ან სხვა საშუალებით და მოგება განისაზღვრება ციფრების, სიმბოლოების ან მათი კომბინაციის მთლიანი ან ნაწილობრივი დამთხვევით;*

ლატარია *– ნებაყოფლობითი ჯგუფური ან მასობრივი თამაშობა, რომლის დროსაც ლატარიის ორგანიზატორი საჯაროდ გამოქვეყნებული, დადგენილი წესისა და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა ლატარიის რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ლატარიის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნება-სურვილსა და მოქმედებაზე, წარმოადგენს შემთხვევითობას და არ შეიძლება იყოს სპეციალურად მოწყობილი.*

ტოტალიზატორი *– თამაშობა, რომელიც იმართება მოთამაშეების მიერ შეჯიბრების მიმდინარეობის ან/და თამაშობის შედეგის პროგნოზზე ფსონების დადებით, ხოლო მოგება დამოკიდებულია ფსონის მოცულობაზე. ტოტალიზატორი იმართება მხოლოდ სპეციალურად მოწყობილ შენობაში;*

21 წლამდე ასაკის პირისათვის სამორინეში თამაში, ხოლო 18 წლამდე ასაკის პირისათვის სათამაშო აპარატებთან თამაში ან/და სხვა მომგებიან თამაშობებში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილეობა აკრძალულია.

აზარტული თამაშობების ორგანიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით მოთამაშეთა ასაკის შემოწმება; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, აზარტული თამაშობების კანონდამრღვევი ორგანიზატორი დაჯარიმდება 1000 ლარით.

- *გაიხსენე, ჩამოთვლილი თამაშობებიდან რომელია ყველაზე პოპულარული შენს თანატოლებს შორის.*
- *მეწყვილესთან ერთად ჩამოაყალიბე ის მიზეზები, რის გამოც არის ესა თუ ის თამაშობა პოპულარული.*
- *მოიფიქრე ის ალტერნატივები, რაც, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებდა მოზარდების სურვილს, რომ ითამაშონ და, მეორე მხრივ, თავიდან აარიდებდა მათ კანონის დარღვევას.*

ცივი იარაღი

არასრულწლოვნების მიერ ცივი იარაღის ტარება საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს უქმნის მათ. უმეტეს შემთხვევაში არასრულწლოვანი გაუაზრებლად იყენებს მას, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვება.

ეს მავნე ჩვევა სერიოზულ პრობლემად იქცა. საჭირო გახდა რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან. სისხლის სამართლის კოდექსით ცივი იარაღის ტარება დასჯადად გამოცხადდა.

1. 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, – ისჯება ჯარიმით.
2. იგივე ქმედება ,ჩადენილი:
ა) არაერთგზის;
ბ) იმის მიერ, ვინც ნასამართლევი იყო განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 2381

იმას, თუ რა არის ცივი იარაღი, ადგენს ექსპერტი, მაგრამ არის გარკვეული საგნები, რომლებიც ყველა შემთხვევაში ითვლება ცივ იარაღად. ესენია: დანა, ნაჯახი.

როგორც ვხედავთ, ცივი იარაღის ტარებაზე ისჯება არა მხოლოდ არასრულწლოვანი, არამედ სრულწლოვანიც 21 წლამდე. ეს კი მიანიშნებს იმ საშიშროებაზე, რასაც ცივი იარაღის ტარება წარმოადგენს საზოგადოებისთვის. რაც შეეხება ნასამართლევ პირსა და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებულ პირებს, მნიშვნელობა არა აქვს მათ ასაკს. ისინი შეიძლება 40 წლისებიც იყვნენ, მაგრამ ცივი იარაღის ტარების უფლება არ აქვთ, სანამ ნასამართლეობა არ გაუვათ ან ადმინისტრაციული სახდელი არ გაუქარწყლდებათ.

სტატისტიკურად გაცილებით მეტი დანაშაული, მათ შორის მკვლელობა, ხდება სწორედ ცივი იარაღით. ვითომდა ისეთმა უწყინარმა ქმედებამ, როგორიცაა დანის ტარება, ძალიან ბევრი არასრულწლოვნის სიცოცხლეს დაასვა დაღი, რომ არაფერი ვთქვათ სიცოცხლის მოსპობაზე.

- ჯგუფში მსჯელობის შედეგად განსაზღვრეთ, სამართლიანია თუ არა ცივი ირაღის ტარების კანონით დადგენილი შეზღუდვები.
- ჩამოთვალეთ ყველა ის საფრთხე, რომლებიც დაკავშირებულია ცივი იარაღის ტარებასთან. მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება თქვენს სკოლაში ცივი იარაღის ტარების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.

21 რა არის სახელმწიფო?

წარმოიდგინე საზოგადოება, რომელშიც წესები არ არსებობს და ადამიანებს შეუძლიათ აკეთონ

ის, რაც სურთ. ამ სიტუაციას „ბუნებით მდგომარეობას“ უწოდებენ.

? დავალება

როგორი იქნებოდა ბუნებითი მდგომარეობა შენს კლასში? აღწერე სიტუაცია, რომელიც შეიქმნება იმ შემთხვევაში, მასწავლებელს რომ კლასის მართვის უფლება არ ჰქონდეს?

იმუშავე თანაკლასელებთან ერთად ჯგუფებში და შეეცადე, პასუხი გასცე კითხვებს:

რა იქნებოდა ამ “ბუნებითი მდგომარეობის” დადებითი და უარყოფითი მხარეები?

რა მოუვიდოდა შენი თანაკლასელების უფლებებს?

როგორი იქნებოდა შენი და შენი თანაკლასელების ცხოვრება?

ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი ბუნებით მდგომარეობას იკვლევდა. შეადარე შენი პასუხები ჯონ ლოკის მოსაზრებებს:

- უფრო ძლიერნი და ჭკვიანნი შეეცდებიან სხვა ადამიანთა თავისუფლების, სიცოცხლისა და ქონების ხელყოფას;
- უფრო სუსტნი გაერთიანდებიან და შეეცდებიან უფრო ძლიერთათვის უფლებათა წართმევას;
- ადამიანები იქნებიან დაუცველნი.

ჯონ ლოკი და სხვა ფილოსოფოსები თვლიდნენ, რომ „ბუნებითი მდგომარეობის“ თანმხლები პრობლემების თავიდან ასარიდებლად ადამიანები დათმობაზე უნდა წავიდნენ: მოილაპარაკონ, რომ ამიერიდან მათი თავისუფლება გარკვეულად შეიზღუდოს, შექმნან მთავრობა და დაემორჩილონ ამ მთავრობის მიერ შემოღებულ წესებსა და კანონებს. ამ შეთანხმებას საზოგადოებრივი ხელშეკრულება, ანუ სოციალური კონტრაქტი ეწოდება. სოციალური კონტრაქტის თანახმად ადამიანები საკუთარი ნებით ქმნიან მთავრობას, მთავრობა კი იცავს ამ ადამიანთა უფლებებს და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას.

საზოგადოებაში ლასთან შედარებით გაცილებით მეტი და რთული პრობლემები არსებობს, რომელთა გადაწყვეტა საზოგადოების საერთო ძალისხმევას მოითხოვს. ერთ-ერთი განმარტების თანახმად, სახელმწიფო საზოგადოების უმრავლესობის შეთანხმებით შექმნილი ორგანიზაციაა, რომელმაც უნდა შეასრულოს საზოგადოე-

ბრივი დაკვეთა: მოაგვაროს საერთო თუ კერძო პირთა პრობლემები, რომელთა მოგვარება ცალკეული ადამიანისათვის ძალზე რთულია, არაეფექტური ან სულაც - შეუძლებელი.

ხელისუფლება იმ ადამიანთა ერთობლიობაა, რომლებიც სახელმწიფოს "ამუშავებენ". უმეტეს ქვეყნებში ხელისუფლების წევრთა ნაწილს შედარებით მაღალი თანამდებობის პირებს მოსახლეობა ირჩევს, ნაწილს კი - თავად ხელისუფლების დანარჩენი წევრები ირჩევენ ან ნიშნავენ.

1. სახელმწიფოსა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები

	უფლებები	მოვალეობები
მოქალაქეები	• უსაფრთხო ცხოვრება • ჯანსაღ გარემოში ცხოვრება • მეწარმოება • მონაწილეობდეს ქვეყნის მართვაში • მოითხოვოს სახელმწიფოსაგან მოქმედება მხოლოდ კანონის ფარგლებში • მოითხოვოს სახელმწიფო ფინანსების გონივრული ხარჯვა	• გადასახადის გადახდა • კონსტიტუციისა და სხვა კანონების დაცვა • სამხედრო ვალდებულება • კულტურის ძეგლებისა და გარემოს გაფრთხილება • საზ. წესრიგის დაცვა • სახ.-ოს დახმარება დანაშაულთან და სხვა • უკანონობასთან ბრძოლაში
სახელმწიფო	• კანონის დამრღვევთა დასჯა • გადასახადების აკრეფა • მოქალაქეების სამხედრო სამსახურში გაწვევა • კანონის მიღება • სამართლებრივი დავების განხილვა	• უსაფრთხოების დაცვა ქვეყანაში • გარემოს სისუფთავის დაცვა • მეწარმეობისათვის პირობების შექმნა • ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისათვის • პირობების შექმნა • კანონის დაცვა ყოველი პიროვნებისათვის ქვეყნის მართვაში • მონაწილეობის მიღებისათვის პირობების შექმნა • სახელმწიფო ფინანსების მოქალაქეთა სასარგებლოდ გამოყენება • სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს უზრუნველყოფა

არსებობს თუ არა ისეთი მოვალეობები, რომლებიც ორივე მხარეს გააჩნია?

რომელი უფლებები და მოვალეობები უნდა ჰქონდეს, შენი აზრით, მხოლოდ მოქალაქეს? მხოლოდ სახელმწიფოს? რატომ? (დაასაბუთეთ პასუხი) წარმოიდგინე საზოგადოება, რომელშიც წესები არ არსებობს და ადამიანებს შეუძლიათ აკეთონ ის, რაც სურთ. ამ სიტუაციას „ბუნებით მდგომარეობას" უწოდებენ.

შეგიძლიათ ცხრილს დაამატოთ პუნქტები

2. სახელმწიფოს ფუნქციები



სახელმწიფოს რომელი ფუნქცია მიგაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად? რატომ?
შენი აზრით, კონკრეტულად რა იგულისხმება თითოეულ ფუნქციაში?

22 რა არის დემოკრატია?

წარმოიდგინე, რომ კლასელებს გსურთ შაბათ-კვირას დროის ერთად გატარება და გაქვთ რამდენიმე

იდეა:

– გახვიდეთ ბუნებაში;

– წახვიდეთ დისკოთეკაზე ან რესტორანში საქეიფოდ;

– წახვიდეთ კინოში ან თეატრში;

– მოინახულოთ მუზეუმი ან რომელიმე ისტორიული ძეგლი.

შენი აზრით, როგორ უნდა გააკეთოს არჩევანი კლასმა? როგორ მოიქცევით?

შემოხაზე შენთვის მისაღები პასუხი:

ა) როგორც იდეის ავტორები შეთანხმდებიან;

ბ) როგორც მასწავლებელი გადაწყვეტს;

გ) წილისყრით: ვარიანტებს დავწერთ პატარა ქაღალდებზე და რომელიც ხელს ამოყვება;

დ) ყველანი განვიხილავთ თითოეულ ვარიანტს და უმრავლესობის აზრი იქნება გადამწყვეტი.

დაალაგე ჩამონათვალი სამართლიანობის მიხედვით. რომელია ყველაზე სამართლიანი?

დავუშვათ, რომ უმრავლესობამ გადაწყვიტა ბუნებაში გასვლა, შენი აზრით, რომელი იქნება ყველაზე სამართლიანი და მეგობრული გადაწყვეტილება? ყველაზე დემოკრატიული?

შემოხაზე პასუხი

ა) უმრავლესობა მოიქცეს, როგორც სურს და ის, ვისაც ბუნებაში არ უნდოდა წასვლა, საერთოდ არ წაიყვანოს;

ბ) უმრავლესობამ იძულებით გააკეთებინოს უმცირესობას ის, რაც თავად სურს;

გ) წახვიდეთ მეგობრის აგარაკზე, სადაც ბუნებაც იქნება, სუფრაც და გზად ისტორიულ ძეგლებსაც მოინახულებთ.

დემოკრატია არის საზოგადოების ცხოვრების და მართვის ისეთი წესი, როდესაც გადაწყვეტილებებს იღებს უმრავლესობა, მაგრამ ითვალისწინებს უმცირესობის და ცალკეული ადამიანების ინტერესებს. დემოკრატია უმრავლესობის შეზღუდული ძალაუფლებაა.

შენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ტერმინი შეზღუდული ძალაუფლება?

წარმოიდგინე, რომ შენს კლასში 29 მოსწავლეა. 15 — ერთი იდეის მომხრეა, 14 კი — მეორის.

როგორ მიიღებთ გადაწყვეტილებას? რატომ?

არის თუ არა დემოკრატია მართვისა და, საერთოდ, გადაწყვეტილების მიღების იდეალური, უნაკლო მოდელი? დაასაბუთე პასუხი. თანაკლასელებთან ერთად ჩამოწერე დაფაზე დადებითი და უარყოფითი პასუხის არგუმენტები და გადაწერე რვეულში.

დემოკრატია მართვის უნაკლო მოდელია:

დიახ	არა
არგუმენტები	არგუმენტები

„დემოკრატია არის მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმა, ხოლო მმართველობის ყველა სხვა ფორმა მასზე უარესია“.

უინსტონ ჩერჩილი

როგორ გესმის ამ გამონათქვამის მნიშვნელობა?

დემოკრატია ბერძული სიტყვაა და ნიშნავს „ხალხის ძალაუფლებას“. Demos — ხალხი, Cratos — ძალაუფლება.

დემოკრატიის სამშობლოდ ძველი საბერძნეთი ითვლება — ათენში ყველა მნიშვნელოვან საკითხს აგორა - სახალხო კრება წყვეტდა. თუმცა მანამდე, საერთო-სახალხო კრებაზე მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების ფაქტები ძველ შუამდინარეთში — შუმერთა ქალაქებშიც დასტურდება. საქართველოს ისტორიიდან ამ მხრივ ცნობილი ფაქტია საერთო-სახალხო თუ კერძო საკითხების გადაწყვეტა თემის კრებაზე (განსაკუთრებით – აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და სვანეთში), ასევე გვარის კრებაზე.

23 სახელმწიფოთა ტიპები

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მრავალნაირი ტიპის სახელმწიფო არსებულა და დღესაც არსებობს. მათი დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნით შეიძლება. ერთ-ერთი ნიშანია - პოლიტიკური რეჟიმი.

პოლიტიკური რეჟიმი არის ქვეყნის მართვის ხერხების, მეთოდების, ფორმების ერთობლიობა (Regim – ფრანგ. – მტკიცედ დადგენილი წესი). არსებობს დემოკრატიული და არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები. შესაბამისად, ამ ნიშნის მიხედვით არსებობს დემოკრატიული და არადემოკრატიული სახელმწიფოები. მსოფლიოში არსებული 200-ზე მეტი სახელმწიფოდან დაახლოებით 80 მიჩნეულია დემოკრატიულად, 60 – ნაწილობრივ დემოკრატიულად, ხოლო დანარჩენი არადემოკრატიულად.

	ხელისუფლების წყარო	ხალხის მონაწილეობა	მმართველობის საფუძველი	მართვის წესი	ადამიანის უფლებები
დემოკრატიული	საზოგადოების ნება	ხალხი რეალურად მონაწილეობს ქვეყნის მართვაში	საზოგადოების ინტერესები, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვა	დემოკრატიული; იძულების მეთოდები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში	აღიარებულია, დაცულია, უზრუნველყოფილია მათი განხორციელება
არადემოკრატიული	რომელიმე ცალკეული ჯგუფის, ფენის ძალადობა დანარჩენ საზოგადოებაზე; თავსმოხვეული, საზოგადოების ნების საწინააღმდეგო მმართველობა	ან საერთოდ არა, ან მხოლოდ ფორმალურად. სიმადვილეში ყველაფერი ხალხის ნების უგულვებელყოფით ხდება	ხელისუფლებაში მყოფთა პირადი, ჯგუფური თუ ნათესაური ინტერესები	ძალადობა, დაშინება, საზოგადოებაში გულგრილობის, "სულ ერთია" პრინციპის დანერგვა. ეს ხდება აშკარად ან შენიღბულად.	არ არის დაცული, არ არის შექმნილი მათი განხორციელების პირობები

აღნიშნე, ცხრილში მოცემული რომელი გრაფები შეესაბამება საქართველოს? დაასაბუთე შენი აზრი მაგალითებით (ჩამოაყალიბე არგუმენტები)



დემოკრატიას შეიძლება ჰქონდეს ორი ძირითადი ნაკლი:
1. შესაძლოა უმრავლესობას და უმცირესობას შორის ძალზე მცირე განსხვავება იყოს რაოდენობრივად. ამ შემთხვევაში საზოგადოების თითქმის ნახევრის ნება აღმოჩნდება უგულებელყოფილი.
2. უმრავლესობის მხარდაჭერა არ არის იდეალური, საუკეთესო ან უნაკლო გადაწყვეტილების გარანტია.

კანონი	სასამართლო ბიზნესი,	ეკონომიკა	მასმედია, განათლება ეცნიერება, ხელოვნება
კანონები მიიღება საზოგადოების ინტერესების მიხედვით და დაცულია მათი უზენაესობა თავად სახელმწიფოსთვისაც	დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია, მოქმედებს მხოლოდ კანონით	თავისუფალია, სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება მხოლოდ კანონიერ ფარგლებში, ყველას ეძლევა მეწარმეობის თანაბარი შესაძლებლობა	თავისუფალია და ემსახურება საზოგადოების ინტერესებს
მიიღება მხოლოდ ცალკეული ფენებისა და ჯგუფების ინტერესების მიხედვით და თუ საჭიროა, არც მათი დარღვევა წარმოადგენს პრობლემას სახელმწიფოსათვის	მიკერძოებულია, არ არის დამოუკიდებელი, ემსახურება მმართველი ფენის ინტერესებს. იმ შემთხვევაში თუ მოქმედებს კანონის საფუძველზე, თავად კანონია უსამართლო	მონოპოლიზებულია, იმართება მმართველი ფენის ან მასთან დაახლოებული წრის მიერ, კონკურენცია შეზღუდულია	შებოჭილია და ემსახურება მმართველთა ინტერესებს, მათთვის საინტერესო ინფორმაციისა და იდეების გავრცელებასა და დანერგვას

შესაძლებელია თუ არა, რომ რომელიმე სახელმწიფოში სრულად არსებობდეს დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტი? რატომ?

სახელმწიფოებს აგრეთვე განასხვავებენ ხელისუფლების მოწყობის მიხედვით:

აბსოლუტური მონარქია – ქვეყანას მართავს ერთი პირი – მეფე, შაჰი, იმპერატორი, ბელადი და ა.შ;

რესპუბლიკა – ქვეყანას მართავს ხალხი პირდაპირ ან არჩეული **წარმომადგენლების** – დეპუტატების, პრეზიდენტის და სხვათა მეშვეობით;

კონსტიტუციური მონარქია – ქვეყანას მართავს მონარქი და პარლამენტი.

2. სახელმწიფოთა ტიპები ხელისუფლების მოწყობის მიხედვით

	ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები	ხელისუფლების წარმოშობა
აბსოლუტური მონარქია	მონარქი (შესაძლოა მრჩეველებით და ვაზირებით)	მონარქისათვის მემკვიდრეობა, ხოლო სხვებისათვის მონარქის კეთილგანწყობა, გარკვეულ როლს აქაც მემკვიდრეობა და ქონებრივი მდგომარეობა ასრულებს. იშვიათად, მაგრამ მონარქი შეიძლება იყოს არჩეული
კონსტიტუციური, ანუ შეზღუდული მონარქია	მონარქი და მასთან ერთად პარლამენტი ან წარჩინებულებით და დიდებულებით დაკომპლექტებული ორგანო	მონარქისათვის მემკვიდრეობა, პარლამენტი თუ სხვა მსგავსი ორგანო ირჩევა ხალხის მიერ ან მისი წევრობა მემკვიდერეობით გადადის, შესაძლოა ეს ორივე მექანიზმი ერთდროულად მოქმედებდეს
რესპუბლიკა	ხალხის მიერ არჩეული პირები და ორგანოები	საზოგადოების, მოსახლეობის არჩევანი. ასევე ხელისუფლების მაღალ ორგანოთა მიერ დაბალი დონის თანამდებობის პირთა დანიშვნა

გაიხსენე სხვა სახელმწიფოები, სადაც ხელისუფლების მოწყობის ფორმებია აბსოლუტური მონარქია, კონსტიტუციური მონარქია ან რესპუბლიკა როგორი ტიპის სახელმწიფოს წარმოადგენს საქართველო?

სხვა სახელმწიფო ორგანოები	ძალაუფლების განაწილება	ცქვეყნები
როგორც წესი, ყალიბდება მონარქის შეხედულებების საფუძველზე	აბსოლუტურად ეკუთვნის მონარქს, შესაძლოა უმნიშვნელო გამონაკლისები	ბრუნეი, საუდის არაბეთი, ომანი, კატარი
მეტ-ნაკლები თანაფარდობა ხალხის მიერ არჩევასა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშვნას შორის	დიდი სხვადასხვაობა: შესაძლოა ძალაუფლების უდიდესი ნაწილი მაინც მონარქს ჰქონდეს და პირიქით: შეიძლება მონარქს მხოლოდ სიმბოლური უფლებები დაუტოვონ	იორდანია, ბრიტანეთი, ესპანეთი, ჰოლანდია, დანია, ნორვეგია
მეტ-ნაკლები თანაფარდობა ხალხის მიერ არჩევასა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშვნას შორის	ძალაუფლება განაწილებულია ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს შორის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მიხედვით. უმაღლესი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, საზოგადოებას	საფრანგეთი, გერმანია, ა.შ.შ., რუსეთი

სახელმწიფოს მოწყობის რომელი ფორმაა შენთვის ყველაზე მისაღები? რატომ?

24 სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები

იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფოს არსებობისათვის სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები ეწოდება. სახელმწიფოს უმთავრესი ნიშანია სუვერენიტეტი, ანუ უზენაესობა ქვეყნის შიგნით (კანონის ფარგლებში) და დამოუკიდებლობა ქვეყნის გარეთ (სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში).

სახელმწიფოს აუცილებლად ჰყავს ხელისუფლება, მოქალაქეები, აქვს ტერიტორია და სახელმწიფო სიმბოლიკა: დროშა, ღერბი, ჰიმნი, სახელმწიფო ენა. სახელმწიფოს გააჩნია დედაქალაქი. აგრეთვე, სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია საგადასახადო სისტემა.

? დავალება

სახელმწიფოს რომელ ნიშნებს განსაზღვრავენ კონსტიტუციის შემდეგი მუხლები

(იხილეთ კონსტიტუციის ტექსტი დანართში გვ.152):

მუხლი 8 _____

მუხლი 2 _____

მუხლი 13 _____

მუხლი 94 _____

მუხლი 10 _____

მუხლი 11 _____

როგორ ფიქრობ, რატომ ითვლება დედაქალაქი სახელმწიფოს ძირითად ნიშნად?

რატომ არის საგადასახადო სისტემა სახელმწიფოს ძირითადი ნიშანი?

შენ მთელი შემოდგომის განმავლობაში აგროვებდი ჯიბის ფულს ძალიან საჭირო პირადი ნივთის შესაძენად, მაგრამ ზამთრის პირველ დღეს შენ ოჯახში მოულოდნელად გაფუჭდა გამათბობელი და აუცილებელი გახდა ახლის შეძენა. დაუმატებ თუ არა შენს პირად თანხას საერთო ყულაბას? იმის მიუხედავად, მიიღებ თუ არა მონაწილეობას ფულის შეგროვებაში, იქნები თუ არა ერთერთი, ვინც ისარგებლებს გამათბობლით? როგორი იქნება, შენი აზრით, გამათბობლის შეძენისათვის ფულის შეგროვების ყველაზე სამართლიანი გზა? რატომ? რა მოხდება, ფული რომ არავინ დადოს? ვისი საკუთრება იქნება ახალშეძენილი გამათბობელი?

სად მიდის გადასახადები?

ოჯახის წევრთა მიერ გამათბობლის შეძენისათვის შეგროვილი თანხის მსგავსად, გადასახადებით შეგროვილი თანხაც სახელმწიფოს წევრთა, ანუ მოქალაქეთა საერთო საკუთრებაა, გამიზნული **საერთო — საზოგადოებრივი სიკეთის** შექმნისათვის. საზოგადოებრივ სიკეთეს არ ჰყავს კონკრეტული მფლობელი, მისით სარგებლობა ყველას შეუძლია. საზოგადოებრივი სიკეთის მარტივი მაგალითებია გზები, ჯანსაღი გარემო, უსაფრთხოება. საზოგადოებრივი სიკეთის დიდი ნაწილი გადასახადებით შეგროვილი თანხით იქმნება.

გადასახადების გადამხდელი ყოველთვის არ სარგებლობს ყველა საზოგადოებრივი სიკეთით. მაგალითად ახალგაზრდები არ იღებენ პენსიას, ჯანმრთელები არ მკურნალობენ საავადმყოფოში, მშვიდობის დროს ჯარი არ მოქმედებს. ამ მოტივით გადასახადებზე უარის თქმა დაუშვებელი და არალოგიკურია, რადგან ამ არგუმენტს ყველა ან უმრავლესობა გამოიყენებს, უმცირესობის შენატანი ხარჯს ვერ გაწვდება, და ვერავინ, მათ შორის შენც, როცა დაგჭირდება, ვერ ისარგებლებს საზოგადოებრივი სიკეთით.

თუმცა, ზოგჯერ სახელმწიფო მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებს გადასახადებს არ ახდევინებს ან მათ შეღავათს უდგენს. ეს ეხება სოციალურად დაუცველ და გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს და ასევე მათ, ვისაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე (ისევე, როგორც გამათბობლის შესაძენად შეიძლება ფული არ დადონ მათ, ვისაც შემოსავალი არ აქვთ – მაგალითად ბაბუამ ან ბავშვებმა).

? დავალება

ჩამოთვალე, რა წარმოადგენს საერთო საზოგადოებრივ სიკეთეს თქვენს კლასში ან უბანში;

ჩაწერე რამოდენიმე მათგანი ცხრილში და შეავსე ცარიელი გრაფები

საერთო-საზოგადოებრივი სიკეთე კლასში	ვინ გადაიხადა ფული?

როგორ ფიქრობ:

არის თუ არა გადასახადების გადახდა სხვებისადმი პატივისცემისა და ზრუნვის გამოხატვა? რატომ?

25 რა არის ბიუჯეტი?

ის, თუ საიდან აქვს სახელმწიფოს ფული და როგორ იხარჯება ეს თანხა, დაწვრილებით წერია დოკუმენტში, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი ეწოდება. ბიუჯეტი (ფრანგ. Budget) არის შემოსავალ-გასავლის ნუსხა დროის გარკვეული მონაკვეთისათვის — ხარჯთაღრიცხვა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი დგება ყოველწლიურად. მას ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე თვით ადრე ამტკიცებენ. სახელმწიფო ბიუჯეტს ამზადებს ----------, ხოლო ამტკიცებს ---------- .

(იპოვეთ პასუხი საქართველოს კონსტიტუციაში და ჩაწერეთ).

1. საქართველოს ბიუჯეტი (გამარტივებული ნიმუში)

ხარჯები	თანხა
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება მაგ: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები; საფინანსო და საგადასახადო-საბიუჯეტო საქმიანობა; საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა; მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები; თ ა ვ დ ა ც ვ ა საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ო ბ ი ს დ ა ც ვ ა სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა მაგ: დახმარებები ავადმყოფობის დროს, დახმარებები ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით, დახმარებები დროებით შრომისუუნარობის დროს, საპენსიო პროგრამები საბინაო-კომუნალური მეურნეობა საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი სოფლის მეურნეობა გადამამუშავებელი მრეწველობა მშენებლობა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა	

შემოსავალი	თანხა
საგადასახადო შემოსავლები **არასაგადასახადო შემოსავლები** სახელმწიფო ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლები ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული შემოსავლები სახელმწიფო საწარმოების მოგება გაცემული კრედიტების დაბრუნება ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობაზე მომსახურების მიზნობრივი მოსაკრებელი **შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან** მაგალითად: სახელმწიფო საწარმოების, შენობების, წიაღისეულის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი **გრანტები** მაგ: სხვა ქვეყნის მთავრობებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სხვა არასახელმწიფოებრივი წყაროებიდან საჩუქრის სახით მიღებული შემოსავალი	

ბიუჯეტი საჯარო დოკუმენტია და მისი ნახვა ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. თქვენ შეგიძლიათ მოიძიოთ თქვენი რაიონის ბიუჯეტი და განიხლოთ კლასში. ამისათვის უნდა დაწეროთ განცხადება (განცხადების შედგენაში დაგეხმარებათ ნიმუში, რომელიც სახელმძღვანელოს დანართშია მოცემული) და წარადგინოთ იგი საკრებულოში, გამგეობაში ან მერიაში.

გაეცანი ბიუჯეტის ნიმუშს და გადაიტანე რამდენიმე პუნქტი სახელმწიფოს ფუნქციონირების სქემის ცარიელ გრაფებში:

2. სახელმწიფოს ფუნქციონირების სქემა



გაეცანი ბიუჯეტის ნიმუშს და გადაიტანე რამდენიმე პუნქტი სახელმწიფოს ფუნქციონირების სქემის ცარიელ გრაფებში:

2. სახელმწიფოს ფუნქციონირების სქემა

ღონისძიება	ფასი	რესურსების მოძიების გზა
საზეიმო საღამო სასწავლო წლის ბოლოს	200 ლარი	გავყიდით დასწრების ბილეთებს შევაგროვებთ ფულს კლასში
დასუფთავების დღე	მოსწავლეთა და მასწავლეთა დრო (4 საათი)	დავარწმუნებთ მოსწავლეებსა და მასწავლებელს ღონისძიების აუცილებლობაში
საჩუქარი მიუსაფარ ბავშვთა სახლისათვის წიგნების სახით	X ლარი ერთი წიგნისთვის	ვთხოვთ მაღაზიას, დაფაროს 30% (ფასდაკლების სახით); დანარჩენს შევაგროვებთ კლასში

2. მიიღეთ „ბიუჯეტის კანონი“, როგორც ამას პარლამენტი აკეთებს - შეადგინეთ შეჯერებული ვარიანტი დაფაზე და კენჭი უყარეთ თითოეულ პუნქტს.

ღონისძიება	ფასი	რესურსების მოძიების გზა

26 მე ვარ მოქალაქე: რას ნიშნავს ეს

მოქალაქეობა ნიშნავს პირის პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთ-სანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობით.

კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.

როგორ ფიქრობ, რა უფლებებით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები? რომელია ის უფლებები, რომლებითაც საქართველოში საქართველოს მოქალაქე სარგებლობს, უცხოელი კი – არა?

	ხმის მიცემის უფლება არჩევნებში	რეფერენ-დუმში მონაწ-ილეობა	უფლება, იყოს არჩეული ან დანიშნული სახ. თანამდებობაზე	სამხედრო სამსახური	ქორწინება	სა-კუთრების ქონა
საქ. მოქ						
უცხოელი						

	ბიზნესი, სხ-ვაგვარი შრომა	კულ-ტურული ცხოვრება, განათლება	პარტიის წევრობა ან სხვა პოლიტ. საქმიანობა	ქვეყანაში შემოსვლა, ქ-დან გასვლა	სიცოცხლე, ჯანმრთ-ელობა, უს-აფრთხოება, სოციალური დაცვა	საკუთარი უფლებების დაცვა სამართალ-დამცავი ორგანოების მეშვეობით
საქ. მოქ						
უცხოელი						

უცხოელი არის პირი, რომელიც:
არ არის საქართველოს მოქალაქე და არის სხვა ქვეყნის მოქა-ლაქე; არ არის არც ერთი ქვეყნის მოქალაქე, მუდმივად ცხოვ-რობს სხვა ქვეყანაში ანუ მოქალაქეობის არმქონეა.
საქართველოს კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეო-ბის შესახებ.

საქართველოს მოქალაქენი მოვალენი არიან, დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, გაუფრთხილდნენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ხელი შეუწყონ მის ძლიერებას, იყვნენ საქართველოს ინტერესების ერთგულნი.

კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, მუხლი 5.

საქართველოში მყოფი უცხოელები ვალდებულნი არიან, დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, პატივი სცენ ქართულ ენას, ქართველი ერის კულტურას, ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს, ასევე საქართველოში მცხოვრებ ერუვნულ უმცირესობათა უფლებებს.

კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, მუხლი 4.

როგორ შეიძლება გახდე საქართველოს მოქალაქე?

თუ ბავშვის ორივე მშობელი საქართველოს მოქალაქეა ბავშვის დაბადებისას, ბავშვი საქართველოს მოქალაქეა;

თუ ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა და ბავშვი საქართველოში დაიბადა, იგი საქართველოს მოქალაქე იქნება;

როგორ შეუძლია უცხოელს, გახდეს საქართველოს მოქალაქე?

სხვა ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს შეუძლია განცხადებით მიმართოს საქართველოს სახელმწიფოს (იუსტიციის სამინისტროს ან პრეზიდენტს) და ამ გზით მიიღოს მოქალაქეობა, თუმცა იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს. უცხოელი, რომელიც მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას, დებს ფიცს საქართველოს ერთგულების შესახებ ქართულ ენაზე.

არასრულწლოვანის (18 წლამდე) შესახებ განცხადება შეაქვს მის მშობელს.

ასევე შეიძლება, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიანიჭოს უცხოელს საქართველოს მოქალაქეობა რაიმე განსაკუთრებული მოტივით, რის შედეგადაც ეს ადამიანი ორი ქვეყნის მოქალაქე ხდება. ასეთ მდგომარეობას „ორმაგი მოქალაქეობა" ჰქვია.

შეიძლება თუ არა მოქალაქეობის შეცვლა?

რა თქმა უნდა. ამისათვის ისეთივე სახის განცხადებაა საჭირო, როგორიც უცხოელს სჭირდება საქართველოს მოქალაქეობის მოსაპოვებლად. ასევე, თუ მშობლები იცვლიან მოქალაქეობას, 14 წლამდე მათი შვილიც ავტომატურად იცვლის მას. 14-დან 18-წლამდე საჭიროა ბავშვის თანხმობა, ხოლო სრულწლოვანი ამ საკითხს თავად წყვეტს.

როგორ დგინდება მოქალაქეობა?

მოქალაქეობა დგინდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საშუალებით:

პირადობის მოწმობით ან/და პასპორტით. მოწმობა გაიცემა იუსტიციის სამინისტროს მიერ 16 წლის ასაკში, ხოლო პასპორტი — სრულწლოვანებისას, 18 წლის ასაკში.

შეიძლება თუ არა მოქალაქეობის დაკარგვა?

საქართველოს მოქალაქის ცხოვრება საზღვარგარეთ არ იწვევს მოქალაქეობის დაკარგვას, მაგრამ არსებობს კანონით დადგენილი გარემოებანი, როცა პირი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას. კანონიერი საფუძვლის გარეშე მოქალაქეობის ჩამორთმევა კონსტიტუციით აკრძალულია.

? დავალება

წაიკითხე ტექსტი სახელმძღვანელოში და შეავსე
თეო (13 წლის)
დაიბადა საქართველოში
მშობლებმა მიიღეს საფრანგეთის მოქალაქეობა
თეო არის ---------- მოქალაქე

ლევანი (9 წლის)
დაიბადა ესპანეთში
მშობლები არიან საქართველოს მოქალაქეები
ლევანი არის ---------- მოქალაქე

ნინო (18 წლის)
ცხოვრობს რუსეთში
დაიბადა საქართველოში
მამა რუსეთის მოქალაქეა
დედა საქართველოს მოქალაქეა
ნინო არის ---------- მოქალაქე

საქართველოს მოქალაქეს ბევრი უფლება აქვს. ზოგიერთი უფლება პირს დაბადებიდან აქვს, ზოგიერთი - გარკვეული ასაკის მიღწევისას, ზოგსაც კი სხვადასხვა გარემოებების არსებობა სჭირდება.

დავალების პასუხები (გვ. 110)

საქ. მოქ: + + + + + + + + + + + +
უცხოელი: - - - - + + + + - + + +

1. მოქალაქის უფლებები (დროის სვეტი)

7-18 წელი – შეგიძლია დამოუკიდებლად განკარგო ის სახსრები (მაგალითად, ფული), რომელიც მშობლებმა ან მათი თანხმობით – სხვებმა მოგცეს „სახარჯოდ“, თუ ამით შენ სარგებელს იღებ. ყველა ადამიანი ითვლება ბავშვად 18 წლამდე *ბავშვთა უფლებების კონვენცია*

14-18 წელი საჭიროა შენი თანხმობა მოქალაქეობის შეცვლისას

დაბადება
მემკვიდრეობის უფლება და ადამიანის ზოგადი უფლებები: სიცოცხლის, ჯანმრთელობის უფლება და სხვა.

14 წელი
პასუხს აგებ ჩადენილ დანაშაულზე სისხლის სამართლით

16 წელი
გაქვს ქორწინების უფლება (მშობლების წინასწარი წერილობითი თანხმობით ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში – სასამართლოს ნებართვით), იღებ პირადობის მოწმობას შეგიძლია მუშაობა (მათ შორის, საწარმოს ხელმძღვანელობა), თუ ამის ნებას მოგცემენ მშობლები ან საგანგებო სამსახური – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

18 წელი
ხდები სრულწლოვანი, შეგიძლია აიღო პასპორტი, ხმა მისცე არჩევნებში, იმუშავო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში – საკრებულოში, მერიაში, გამგეობაში (გარდა საკრ.წევრისა და არჩევითი მერისა), თვითონ წყვეტ შენი მოქალაქეობის საკითხს, გაქვს ქორწინების სრული უფლება. თვითონ განკარგავ საკუთარ ქონებას.

21 წელი
შეგიძლია გახდე საკრებულოს წევრი, იმუშაო ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში



25 წელი
შეგიძლია გახდე დეპუტატი

28 წელი
შეგიძლია გახდე მოსამართლე

35 წელი
შეგიძლია გახდე პრეზიდენტი

60-65 წელი
შეგიძლია გახვიდე პენსიაზე

27 რა არის პოლიტიკა?

ლექსიკონი

პოლიტიკა (ბერძნ. Polis - სახელმწიფო) - სახელმწიფოებრივი საერთო-საზოგადოებრივი საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებული საქმიანობის სფერო. ასევე ნიშნავს სახელმწიფოს, პარტიის, პირთა ჯგუფის თუ ერთი პირის საქმიანობის ან მოსაზრებების ძირითად გეზს, მიმართულებას, იდეურ ხედვას რომელიმე სფეროში. მაგალითად, პოლიტიკა განათლების სფეროში.

წარმოიდგინე, რომ შენს სკოლაში წლის ბოლოს უფროსკლასელთათვის დიდი ზეიმი იგეგმება – დისკოთეკით, გასართობი ღონისძიებებით, ბანკეტითა და კონცერტით. ამ საღამოს მომზადებაში

შენი კლასის 10 მოსწავლეც უნდა ჩაერთოს.

ეს საორგანიზაციო ჯგუფი ყოველდღიურად შეხვდება სხვა კლასების ჯგუფებს და შენი კლასის სახელით:

წარადგენს იდეებს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს საღამო;

შეიმუშავებს გასართობი ღონისძიებების განრიგს, შეარჩევს მუსიკას და მენიუს;

განსაზღვრავს, თუ რომელი მუსიკალური ან გასართობი ნომრებით წარდგება შენი კლასი სხვა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინაშე;

უზრუნველყოფს ამ მუსიკალური ნომრების დროულად მომზადებას კლასში და კლასის მოსწავლეთა დასწრებას საერთო სასკოლო რეპეტიციებზე, შეიმუშავებს ღონისძიების საერთო ბიუჯეტს, უზრუნველყოფს კლასში ფულის შეგროვებას, რომელიც საღამოს მოწყობას მოხმარდება.

თანაკლასელებთან ერთად იმსჯელე:

ეთანხმები თუ არა ჯგუფის შექმნის იდეას? ხომ არ იქნებოდა უკეთესი, საღამოს მომზადებაში მთელი კლასის ჩართვა? რატომ? როგორ შეარჩევ ჯგუფის წევრებს? რატომ?

საჭირო იქნება თუ არა, რომ საბჭოს წევრებმა სამუშაო სფეროები დაინაწილონ? რატომ? საჭირო იქნება თუ არა, რომ კლასი პერიოდულად დაინტერესდეს, კარგად მიდის თუ არა ჯგუფის და ზოგადად საღამოს ორგანიზების საქმე? რატომ? გინდა თუ არა, რომ ჯგუფის წევრების შეცვლა შესაძლებელი იყოს? რატომ?

დაახლოებით ასეთივე პრინციპით არის აგებული სახელმწიფო მმართველობაც. მოქალაქეთა დიდი რაოდენობის გამო ყველას მონაწილეობა ქვეყნის მართვაში შეუძლებელია, ამიტომ ადამიანები ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს, აკისრებენ მათ სხვადასხვა მოვალეობებს და ანიჭებენ გარკვეულ უფლებებს. რა თქმა უნდა, არჩეულ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ საერთო-საზოგადოებრივ საკითხებზე მუშაობის სურვილი, შესაძლებლობა და შესაბამისი უნარები და თვისებები. ისინი არჩეულნი უნდა იყვნენ თავისუფლად — ძალადობის გარეშე, სამართლიანი არჩევნებით. ქვეყნის ამგვარი წესით მართვას არაპირდაპირი, ანუ წარმომადგენლობითი დემოკრატია ეწოდება.

საქართველოს ხელისუფლება დაყოფილია სამ შტოდ იმავე მიზნებით, რა მიზნებითაც ეს კლასში იქნებოდა სასურველი: 1) ერთი და იგივე პირების ხელში არ აღმოჩნდეს ძალზე დიდი ძალაუფლება. 2) სამუშაოს დანაწილდეს და უფრო ეფექტურად განხორციელდეს. საქართველოს ხელისუფლების შტოებია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ზოგადად, ხელისუფლების შტოთა ფუნქციები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: საკანონმდებლო შტო იღებს კანონებს, აღმასრულებელი შტო აღასრულებს, ცხოვრებაში ატარებს მათ, ხოლო სასამართლო ხელისუფლება უზრუნველყოფს კანონების დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მოქალაქეთა წარმომადგენლები მართავენ, საჭიროების შემთხვევაში ხალხს შეუძლია პირდაპირ, უშუალოდ ჩაერთოს საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტის

პროცესში პირდაპირი არჩევნების ან რეფერენდუმის მეშვეობით. ქვეყნის მართვის ამ ფორმას უშუალო, ანუ პირდაპირი დემოკრატია ეწოდება. თუ საღამოს ორგანიზების საქმე მთლად კარგად არ მიდის, შენც შეგიძლია გავლენა მოახდინო მოვლენებზე — შეცვალო წარმომადგენლები, შეცვალო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მაგრამ ამისათვის მხოლოდ შენი აზრი საკმარისი არ არის, აქაც თანამოაზრეების მოძიება დაგჭირდება.

> საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
>
> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29

წაიკითხე ორივე სვეტში მოცემული ჩამონათვალი.

მონაწილეობის რომელ ფორმას/ხერხს აირჩევდი ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებისათვის?

დააკავშირე ისრებით.

დაამატე პუნქტები მონაწილეობის ფორმებისა და პრობლემების ჩამონათვალს.

მონაწილეობის ფორმები:
არჩევნებში მონაწილეობა
რეფერენდუმი და პლებისციტი;
პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანება;
თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან;
მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციებში;
გადასახადების გადახდა;
საპროტესტო აქციის მოწყობა;
სამკერდე ნიშნის ტარება;
შეხვედრის ორგანიზება;
საგაზეთო სტატიის მომზადება;
ხელმოწერების შეგროვება;
ტელე-რადიო გამოკითხვაში მონაწილეობა;
ინტერნეტ ფორუმში (დისკუსიაში) მონაწილეობა

პრობლემები:
რომელიმე კანონი უსამართლოდ მიგაჩნია;
გსურს, შენს რაიონში აღარ არსებობდეს კრიმინალური ბანდა;
გსურს შენი აზრის გამოხატვა რომელიმე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემასთან დაკავშირებით;
გსურს, დაეხმარო ადამიანებს ადგილობრივი (სოფლის, ქალაქის, რაიონის) საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებაში;
არ მოგწონს ადგილობრივი ბიუჯეტის განაწილების
წესი.

რეფერენდუმი — საერთო-სახალხო გამოკი თხვა კენჭისყრით განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ტარდება. რეფერენდუმის შედეგებს აქვს კანონის ძალა.

პლებისციტი — გამოკითხვა ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე.
პლებისციტის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

პოლიტიკაში მონაწილეობის ფორმები ისევე, როგორც საკლასო პროცესების მართვაში მონაწილეობისათვის არაა აუცილებელი საბჭოს წევრობა, ქვეყნის მართვაში მონაწილეობაც არ გულისხმობს მაინცდამაინც სახ. დაწესებულებებში თანამდებობებზე მუშაობას.

28 საქართველოს ხელისუფლების შტოები

როგორც უკვე იცი, საქართველოს ხელისუფლება სამი შტოსაგან შედგება. საქართველოში კიდევ მრავალი სახელმწიფო სტრუქტურაა, ზოგიერთი მათგანი ამ სქემაზეა მოცემული.

? დავალება

გაეცანი სქემას და გაეცი პასუხი კითხვებს:
რომელი ერთეულები შედიან ხელისუფლების თითოეულ შტოში:

აღმასრულებელი ----------

საკანონმდებლო ----------

სასამართლო ----------

რომელია დამოუკიდებელი ერთეულები? ----------

ვის ირჩევს მოქალაქე? ----------

ვის ნიშნავს პრეზიდენტი? ----------

ვის კანდიდატურებს წარუდგენს პრეზიდენტი პარლამენტს? --------

ვის ირჩევს პარლამენტი? ----------

როგორ ყალიბდება მინისტრთა კაბინეტი? ----------

რამდენი წევრია საკონსტიტუციო სასამართლოში? ----------

საჭიროა თუ არა მოსამართლის დასანიშნად ვინმეს წარდგინება ანუ რეკომენდაცია?-------


საქართველოს მოქალაქენი
სამომავლოდ - ნაფიცი მსაჯულები
აღმასრულებელი ხელისუფლება
საკანონმდებლო ხელისუფლება
სასამართლო ხელისუფლება
ნიშნავს საკ.სასამ.3 წევრს
ნიშნავს საკ.სასამ.3 წევრს
იმოქმედებს პარლამენტს
პრეზიდენტი
პარლამენტი
საკონსტიტუციო სასამართლო
ირჩევს 3 წევრს
პაფაპაენეგს პრეზიდენტს
მთავრობა (მინისტრები)
უნდობლობას უცხადებს მთავრობას
უზენაესი
პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობის კანდიდატურებს
პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს უზ.სასამართლოს წევრთა კანდიდატურებს
პრეზიდენტის სათათბირო ორგანო
იუსტიციის უმაღლესი საბჭო
იუსტიციის საბჭოს წარდგინებით ნიშნავს მოსამართლეებს
სააპელაციო
რაიონული (საქალაქო)
ირჩევს
ირჩევს თავჯდომარეს
პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს გენ. პროკურორს
სახალხო დამცველი
პროკურატურა
ადამიანის უფლებათა დაცვა
კონტროლის პალატა
სახ-ფო ფინანსების კონტროლი
განსაკუთრებული სამართალდამცავი ორგანო
დამოუკიდებელი ორგა-ნოები, რომლებიც არცერთ შტოს არ ეკუთვნიან

28 ვინ და როგორ მართავს ჩვენს სახელმწიფოს?

შეეცადე, დამოუკიდებლად გასცე პასუხი კითხვებს; შემდეგ გადაამოწმე შენი პასუხი საქართველოს კონსტიტუციაში.

პრეზიდენტი

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. იგი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშიანო და საგარეო პოლიტიკას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად. პრეზიდენტი არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, ასევე საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

საქართველოს კონსტიტუცია 69-ე და 73-ე მუხლები

რამდენი წელი უნდა ცხოვრობდეს ადამიანი საქართველოში, რომ უფლება ჰქონდეს, გახდეს მისი პრეზიდენტი? (მუხლი 70)

ზედიზედ რამდენჯერ შეიძლება ერთი და იგივე ადამიანის პრეზიდენტად არჩევა?

(მუხლი 70)

შეიძლება თუ არა, საპრეზიდენტო არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდეს?

(მუხლი 70)

რომელი მინისტრების თანამდებობიდან გათავისუფლების (ანუ მოხსნის) უფლება აქვს პრეზიდენტს? (მუხლი 73.1.გ)

როგორ უნდა მოიქცეს იგი, თუ რომელიმე სხვა მინისტრის გათავისუფლება უნდა?

(მუხლი 73.1.გ)

შეიძლება თუ არა პრეზიდენტის დაპატიმრება? რა მოხდება თუ იგი დანაშაულს ჩაიდენს? (მუხლი 75)

ჰყავს თუ არა პრეზიდენტს მოადგილე? აქვს თუ არა ვინმეს უფლება, შეასრულოს პრეზიდენტის მოვალეობა, თუ კი, ვის და რა შემთხვევაში? (მუხლი 76)

პარლამენტი

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 48

აქვს თუ არა პარლამენტს უფლება გადააყენოს პრეზიდენტი? **(მუხლი 63)**

შეიძლება თუ არა პარლამენტის წევრს ეკავოს რაიმე თანმდებობა სახელმწიფო სამსახურში? **(მუხლები: 53 და 54.2.დ)**

ვინ ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარეს და როგორ? **(მუხლი 55)**

შეიძლება თუ არა, რომ პარლამენტის წევრი იმავდროულად იყოს ბიზნესმენი ან მეწარმე? **(მუხლები: 53 და 54.2.დ)**

როცა საზოგადოებას რომელიმე დეპუტატი არ მოსწონს, შესაძლებელია თუ არა მისი გაწვევა პარლამენტიდან ანუ მისი გადარჩევა დეპუტატის თანამდებობიდან? **(მუხლი 52.1)**

რა მოხდება, თუ დეპუტატმა დანაშაული ჩაიდინა და ეს დაადასტურა სასამართლომ? (რჩება იგი დეპუტატად?) **(მუხლი 54.2.ბ)**

ვის აქვს პარლამენტში კანონპროექტის შეტანის უფლება? **(მუხლი 67)**

როგორ ფიქრობ . . .

შეიძლება თუ არა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შეცვლა (ე.ი. გადაწევა ან გადმოწევა)? **(მუხლი 2.2)**

ვისგან შედგება საქართველოს მთავრობა და ვინ თავმჯდომარეობს მას? **(მუხლები: 78.2.4 და 79.1)**

ვინ წყვეტს საქართველოს სამხედრო ძალის — ჯარის გამოყენების საკითხს? ვინ ამტკიცებს ამ გადაწყვეტილებას? **(მუხლი 100.1)**

შეიძლება თუ არა საქართველოში სხვა ქვეყნის ჯარის შემოყვანა? თუ კი, როგორ ხდება ეს? **(მუხლი 100.2)**

31 რა არის არჩევნები

არჩევნები უშუალო დემოკრატიის ერთ–ერთი ფორმაა. არჩევნების საშუალებით მოქალაქეები ქმნიან სახელმწიფო ხელისუფლებას. არჩევითობა და ხალხის ხმის მიცემის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დემოკრატიის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

დასავლურ დემოკრატიას საფუძვლად დაედო საყოველთაო საარჩევნო უფლების არსებობა კონკურენტულ გარემოში, საარჩევნო კამპანიის ჩატარების თავისუფლება და თავისუფალი დებატები, საყოველთაო საარჩევნო უფლება და ამომრჩეველთა თანასწორობა, ხმების პატიოსანი დათვლა, თავისუფალი არჩევნები და პარლამენტარიზმი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 21:
,,ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა–გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.
ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.
ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველია: ეს ნება გამოხატული უნდა იყოს პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაო და თანასწორ ხმის უფლებას და უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის ეკვივალენტური თავისუფალი პროცედურების გამოყენებით.”

? დავალება

შენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს არჩევნებს ქვეყნის განვითარებისათვის?

საქართველოში არჩევნების ჩატარების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, სხვა საკანონმდებლო აქტები და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები.

აღნიშნული კოდექსის თანახმად არჩევნები არის საარჩევნო პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა საყოველთაო არჩევნებით.

საქართველოში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

არჩევნების საყოველთაოობა *გულისხმობს, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს* ***18*** *წლის ასაკიდან აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. საარჩევნო უფლება გულისხმობს აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას.*

აქტიური საარჩევნო უფლება (არჩევნებში ხმის მიცემის უფლება) *– მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში.*

აღსანიშნავია, რომ არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში იმყოფება. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის თანახმად, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს ***3*** *წლით ჩამოერთმევა პასიური საარჩევნო უფლება, ხოლო ნარკოტიკული საქმიანობის ხელმშემწყობს პასიური საარჩევნო უფლება ჩამოერთმევა* ***5*** *წლის ვადით.*

ლექსიკონი

პასიური საარჩევნო უფლება (არჩევნებში მონაწილეობის უფლება) *– მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.*

? დავალება

რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნების საყოველთაობა? პასუხი დაასაბუთე.

ლექსიკონი

თანასწორი *საარჩევნო უფლება გულისხმობს, რომ არჩევნებში ამომრჩევლები თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ და ყოველ ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს.*

? დავალება

რა მნიშვნელობა აქვს საყოველთაო არჩევნების დროს თანასწორობის პრინციპის დაცვას. პასუხი დაასაბუთე.

პირდაპირი *საარჩევნო უფლება გულისხმობს, რომ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრებს ამომრჩევლები ირჩევენ უშუალოდ.*
საქართველოში არჩევნები ტარდება ***ფარული*** *კენჭისყრით და აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას.*
მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო პროცესი, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა, არჩევნების მონაწილეთა დაფინანსების წყაროები და ოდენობა, არჩევნებისთვის გაწეული ხარჯი ღია და საჯაროა.

? დავალება

რატომ არის მნიშვნელოვანი საარჩევნო პროცესის საჯაროობა? რა შეიძლება გამოიწვიოს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების შეზღუდვამ. პასუხი დაასაბუთე.

საქართველოში არჩევნები ტარდება პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით:
პროპორციული *საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები – საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები პარტიული სიების საფუძველზე;*
მაჟორიტარული *საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები – საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები ერთმანდატიანი ან მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით;*

არჩევნები სკოლაში

წყვილებში იმსჯელეთ განათლების უფლების შესაფასებლად - **ვინ ღებულობს გადაწყვეტილებებს თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს ხალხმა?**
ყურადღებით დააკვირდით ფრაზებს:

- **განათლების უფლება**
- **აზროვნების თავისუფლებისა და აზრის გამოხატვის უფლება**
- **საკუთარი ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება.**

ახლა წყვილები გაერთიანდით ოთხეულებად და ჩამოაყალიბეთ შეთანხმებული დასკვნები შემდეგ საკითხებზე:

- როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება ჩვენს სკოლაში?
- ვინ იღებს გადაწყვეტილებას რა, როგორ უნდა ისწავლებოდეს და რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს?

- როგორ ხდება სკოლის მართვა?
- როგორ მიიღება საბიუჯეტო და ფინანსური გადაწყვეტილებები?
- როგორ ხდება სასკოლო სასწავლო გეგმისა თუ შინაგანაწესის შემუშავება?
- რამდენად არის გათვალისწინებული მოსწავლეების აზრი?

ოთხეულები დაჯგუფდით **8-8** მოსწავლედ, იმსჯელეთ და განსაზღვრეთ სკოლაში დემოკრატიულად არჩეული თვითმმართველობის ორგანოს/ორგანოების მნიშვნელობა.

სკოლის სტრუქტურა

სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. სკოლაში შეიძლება შეიქმნას სააპელაციო კომიტეტი.

საჯარო სკოლის სტრუქტურა



ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების *(საქართველოს მთავრობის განკარგულება* ***N 84, 2004*** *წლის* ***18*** *ოქტომბერი ქ. თბილისი) მისაღწევად საქართველოს* ***"განათლების სისტემა მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას*** *და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელწმიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში."* ***სასკოლო განათლებამ უნდა მისცეს მოსწავლეს "სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა".***

ამავე ფუძემდებელ დოკუმენტში გაცხადებულია, რომ "საზოგადოებრივი აქტიურობისა და არსებული რესურსების ეფექტიანი ამოქმედების გარეშე ცალკეული საშუალებები ვერ უზრუნველყოფს მოზარდში ზემოთჩამოთვლილ უნარ-ჩვევათა სრულყოფილ განვითარებას. ამიტომ, ამ ჩვევების ***გამომუშავება უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს სრული ჩართვით: მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრატორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით ისეთ განსხვავებულ პირობებში, როგორიცაა გამოცდები თუ არჩევნები,*** *საკლასო ოთახი თუ სახლი, კლუბი, სპორტული დარბაზი, სკოლის ეზო თუ სახელოსნო. მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას."*

დემოკრატიული მოქალაქეობის აღზრდისათვის აუცილებელი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის ძირითადი საშუალება მისი მრავალფეროვანი თვითმმართველობაა. მოსწავლეების, როგორც თავისუფალი და პასუხისმგებელი მოქალაქეების განვითარების ძირითადი ასპარეზი კი მოსწავლეთა თვითმმართველობა გახლავთ.

*საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (****2005*** *წლის* ***8*** *აპრილი,* ***N 1330 – I****ს)*

*ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობა, რომლის სუბიექტები საჯარო სკოლაში არიან: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ასევე სააპელაციო კომიტეტი – ასეთის არსებობის შემთხვევაში; ამავე კანონის მე-****10*** *თავი აღწერს მოსწავლეთა თვითმმართველობას.*

მუხლი 47. მოსწავლეთა თვითმმართველობა

1. *მოსწავლეთა თვითმმართველობა არის ამ კანონისა და სკოლის წესდების თანახმად არჩეულიი ორგანო. იგი წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს.*
2. *საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს.*
3. *მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს თვითმმარველობაში ირჩევენ თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით.*
4. *მოსწავლეთა თვითმმართველობას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის მიერ არჩეული თავმჯდომარე.*

*მუხლი **48**. მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები*

მოსაწავლეთა თვითმმართველობა:

ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;

ბ) უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის მოპოვებული გრანტის განკარგვასთან და კავშირებით;

გ) ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში;

დ) წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს.

დავალება: შენი აზრით ჩამოთვლილი ფუნქციების გარდა, კიდევ რა ფუნქცია შეუძლია შეასრულოს მოსწავლეთა თვითმმართველობამ?

მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზება სკოლებში სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი. გთავაზობთ ორ განსხვავებულ წესს:

მოდელი I

არჩევნების ორგანიზების პირველი მოდელი გულისხმობს საკლასო საარჩევნო კომისიების შექმნას და არჩევნების გამართვას ცალ-ცალკე თითოეულ კლასში. ამ შემთხვევაში ყოველ კლასში ეწყობა ცალკე საარჩევნო უბანი, საკუთარი საარჩევნო ყუთით და სხვა ატრიბუტიკით.

მოდელი II

მეორე მოდელის მიხედვით იქმნება ერთი სასკოლო საარჩევნო კომისია, რომელშიც შევა ყველა კლასის თითო წარმომადგენელი, მთელ სკოლაში იქმნება ერთი უბანი, იდგმება ერთი

საარჩევნო ყუთი და ყოველი კლასისთვის განსხვავებული ფერის ბიულეტენები იბეჭდება, რათა ხმების დათვლის დროს არ მოხდეს მათი აღრევა.

შერეული მოდელები

*სკოლებს საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით შეუძლიათ აირჩიონ ამ მოდელთაგან ერთი ან შექმნან შერეული მოდელი, მაგალითად: მე-**8** რამდენიმე განაყოფი (პარალელური) კლასისთვის შეიქმნას ცალკე უბანი თავისი საარჩევნო კომისიით, მე-**9** კლასებისთვის - ცალკე უბანი და საარჩევნო კომისია და ა.შ. კლასების დაჯგუფება შესაძლებელია საბაზო და საშუალო საფეხურების მიხედვითაც. ასეთ შემთხვევებში თითო პარალელური კლასიდან საარჩევნო კომისიაში შევა თითო წარმომადგენელი (თუ პარალელური კლასი მხოლოდ ორია, კლასიდან საარჩევნო კომისიაში ორი წევრი შევა, რადგან კომისიაში სამ წევრზე ნაკლები არ უნდა იყოს).*

საარჩევნო ღონისძიებების კალენდარი (ვადები)

სწავლის დაწყებიდან:

1 კვირა – კლასის/სკოლის საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება

მე-2 კვირა – სიების შედგენა

მე-3 კვირა – კანდიდატების რეგისტრაცია, საარჩევნო კამპანიის წარმოება

მე-4 კვირა – საარჩევნო კამპანიის წარმოება, არჩევნები

საარჩევნო კომისიები

კომისიების შექმნა

არჩევნების ორგანიზებულად და გამჭვირვალედ ჩატარება საარჩევნო კომისიების საქმეა. კომისიების ორგანიზებულობაზე ბევრად არის დამოკიდებული, რამდენად სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარდება არჩევნები. სკოლებში არჩევნებისთვის მზადება, უმჯობესია, დაიწყოს კლასის და/ან სკოლის საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებით. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ თუ სურთ იმუშაონ საარჩევნო კომისიაში, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ როგორც კანდიდატები, ვინაიდან სკოლის თვითმმართველობის წევრობის კანდიდატობისა და კომისიის წევრობის შეთავსება დაუშვებელია.

თუ სკოლაში არჩევნები ტარდება პირველი მოდელის მიხედვით, თითოეული კლასი ირჩევს კომისიის სამ წევრს, რომელთაგან მომავალში თავად კომისია ერთს თავმჯდომარედ აირჩევს, ერთს კი - კომისიის მდივანად.

კომისიის სამი წევრის არჩევა შესაძლებელია სამოქალაქო განათლების ან ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებლის დახმარებით, შემდეგი პროცედურების დაცვით:

- მოსწავლეები ასახელებენ კანდიდატებს (შესაძლებელია საკუთარი კანდიდატურის დასახელებაც).
- მხოლოდ სამი კანდიდატის დასახელების შემთხვევაში, შემდგომი პროცედურები აღარ ტარდება და კომისიის წევრთა მოვალეობას დასახელებული სამი კანდიდატი შეასრულებას.

სამზე მეტი კანდიდატის დასახელების შემთხვევაში, ტარდება ფარული რეიტინგული გამოკითხვა შემდეგი წესის დაცვით:

ა) კომისიის წევრობის ყველა კანდიდატის სახელი დაიწერება ერთნაირი ფერისა და ზომის ფურცლებზე, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეიტინგულ გამოკითხვაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობას. აღნიშნული ფურცლები დაურიგდებათ მოსწავლეებს და თითოეული მათგანი შემოხაზავს მხოლოდ სამი კანდიდატის სახელს. კომისიის წევრობის თითოეული კანდიდატისთვის მიცემული ხმები დაჯამდება. კომისიის წევრი გახდება ის სამი კანდიდატი, რომელიც რეიტინგული გამოკითხვის შედეგად მიიღებს ყველაზე მეტ ხმას.

ბ) თუ სარეიტინგო გამოკითხვის შედეგად კომისიის წევრთა კანდიდატებიდან კომისიის მესამე წევრი ვერ გამოვლინდა ხმათა თანაბრობის გამო, მოეწყობა სარეიტინგო გამოითხვის მეორე ტური მხოლოდ იმ კანდიდატების მონაწილეობით, რომლებმაც სარეიტინგო გამოკითხვის I ტურში თანაბარი ქულები დააგროვეს. საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევისას სასურველია დავიცვათ გამოკითხვის ფარულობა.

სკოლაში არჩევნების მეორე მოდელის მიხედვით ჩატარების შემთხვევაში ყალიბდება სკოლის საარჩევნო კომისია და თითოეული კლასი შეარჩევს მხოლოდ ერთ წევრს. კლასიდან სკოლის საარჩევნო კომისიის წევრის გამოსავლენად ასევე ტარდება რეიტინგული გამოკითხვა.

სკოლაში არჩევნების შერეული მოდელის მიხედვით ჩატარების შემთხვევაში ყალიბდება ნაკადის საარჩევნო კომისია (მაგ. მე-7, მე-8, მე-9 კლასების კომისია ცალკე და მე-10,მე-11, მე-12 კლასების კომისია ცალკე) და თითოეული კლასი ასევე შეარჩევს მხოლოდ ერთ წევრს. კლასიდან სკოლის საარჩევნო კომისიის

წევრის გამოსავლენად ასევე ტარდება რეიტინგული გამოკითხვა.

კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა, წევრებს შორის ფუნქციების განაწილება

საარჩევნო კომისიების შექმნის შემდეგ, პირველსავე სხდომაზე აუცილებელია წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება. კომისია ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს. კანდიდატურის დასახელება შეუძლია კომისიის ნებისმიერ წევრს. შესაძლებელია, როგორც საკუთარი კანდიდატურის დასახელება, ისე საკუთარი კანდიდატურისთვის ხმის მიცემა. თუ კომისიის თავმჯდომარის და/ან მდივნის არჩევა ხმათა უმრავლესობით ვერ მოხერხდა, მაშინ ფუნქციების განაწილება მოხდება წილისყრით: კომისიის ერთ-ერთი წევრი ქაღალდის ერთნაირ ფურცლებზე დაიწერს: „კომისიის თავმჯდომარე“, „კომისიის მდივანი“ და „კომისიის წევრი“. ფურცლები გადაიკეცება ისე, რომ შეუძლებელი იყოს წარწერის წაკითხვა და ჩაიყრება ყუთში ან დაიყრება მაგიდაზე. თითოეული წევრი რიგ-რიგობით ამოიღებს თითო ფურცელს და შეასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც წილისყრით შეხვდა.

კომისიის წევრთა ფუნქციების გამოვლენის შემდეგ კომისია გახსნის „საარჩევნო ჟურნალს“, რომელსაც აწარმოებს კომისიის მდივანი. ჟურნალში ჩაიწერება კომისიის წევრთა სახელები და შესაბამისი ფუნქციები. საარჩევნო ჟურნალში შევა ყველა განცხადება/საჩივარი როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე კენჭისყრის დღეს.

უშუალოდ არჩევნების მსვლელობისას კომისიის მდივანი შეითავსებს რეგისტრატორის მოვალეობას და გასცემს ბიულეტენებს, თავმჯდომარე შეითავსებს საარჩევნო ყუთზე ზედამხედველის ფუნქციას, ხოლო მესამე წევრი იქნება ნაკადის მომწესრიგებელი.

ანალოგიურად მოხდება სკოლის ერთიან საარჩევნო კომისიაში (II მოდელი) თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. რეგისტრატორის, ნაკადის მომწესრიგებლისა და საარჩევნო ყუთზე ზედამხედველის ფუნქციები შეიძლება განაწილდეს ფარული წილისყრით ან კენჭისყრით, სურვილის მიხედვით.

საარჩევნო სიების შედგენა

მას შემდეგ, რაც კომისია დაკომპლექტდება და თავმჯდომარე და მდივანი აირჩევიან, იწყება საარჩევნო სიებზე მუშაობა. იმისდა მიუხედავად, რომელ მოდელს იყენებს სკოლა არჩევნების

ორგანიზებისთვის, ყოველი კლასის სია შედგება ცალ-ცალკე. კლასის საარჩევნო სიას საფუძვლად უდევს საკლასო ჟურნალი. სიის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისთვის კომისიამ უნდა შეამოწმოს, ხომ არ გადავიდა კლასიდან ან ხომ არ გადმოვიდა კლასში რომელიმე მოსწავლე ისე, რომ ეს არ ასახულა საკლასო ჟურნალში. დაზუსტებულ სიას ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი და შედგენიდან არა უგვიანეს მეორე დღისა გამოაკრავენ სკოლის თვალსაჩინო ადგილას. სასურველია, რომ სკოლის ადმინისტრაციამ გამოყოს საარჩევნო განცხადებების დაფა, სადაც შესაძლებელი იქნება გამოიკრას ყველა კლასის საარჩევნო სია. შემდგომში ამავე დაფაზე განთავსდება არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

კანდიდატების რეგისტრაცია

კლასის ყველა მოსწავლეს, საარჩევნო კომისიის წევრის გარდა, უფლება აქვს დარეგისტრირდეს კანდიდატად და კენჭი იყაროს. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციისათვის მსურველმა მოსწავლემ საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოს განცხადებით. კანდიდატად დარეგისტრირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ განცხადების საფუძველზე, თუმცა საუკეთესო კანდიდატების გამოსავლენად კლასმა, წინასწარი შეთანხმებით, შეიძლება დააწესოს შეზღუდვები მინიმალურ აკადემიურ მოსწრებაზე, დისციპლინურ სახდელებზე, მხარდამჭერთა მინიმალურ რაოდენობაზე და ა.შ.

კანდიდატობის მსურველის განცხადებას ჩაიბარებს კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი. კანდიდატი დარეგისტრირებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც საარჩევნო კომისია საარჩევნო ჟურნალში შესაბამის ჩანაწერს გააკეთებს და კანდიდატს გადასცემს ფურცელს, სადაც ეწერება, რომ რეგისტრირებულია კანდიდატად. აღნიშნულ ფურცელს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

დამკვირვებლები

დამკვირვებლები არიან საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც აკვირდებიან, რამდენად სამართლიანად და გამჭვირვალედ ტარდება არჩევნები. სკოლებში დამკვირვებლებად შეიძლება მოვიწვიოთ არასამთავრობო ორგანიზაციები. დამკვირვებლობის

მსურველმა ორგანიზაციებმა წინასწარ უნდა მიმართონ საარჩევნო კომისიას. კომისია მათ გაატარებს რეგისტრაციაში (ორგანიზაციის დასახელებას და დამკვირვებელთა მონაცემებს შეიტანს საარჩევნო ჟურნალში) და გადასცემს სამკერდე ნიშნებს წარწერით „დამკვირვებელი". ერთ კომისიაში დამკვირვებლად რეგისტრაცია ავტომატურად აძლევს დამკვირვებელს უფლებას იმავე სკოლის სხვა კლასებში განახორციელოს დაკვირვება. დამკვირვებლებს უფლება აქვთ საარჩევნო კომისიის წევრებს მიუთითონ დარღვევებზე, დაწერონ საჩივრები საარჩევნო პროცედურების დარღვევის შესახებ და დაარეგისტრირონ იგი საარჩევნო ჟურნალში, მაგრამ უფლება არ აქვთ ჩაერიონ არჩევნების პროცესში და ხელი შეუშალონ საარჩევნო კომისიის წევრების საქმიანობას.

საარჩევნო კამპანიის წარმოება

კანდიდატები საარჩევნო კამპანიას იწყებენ საარჩევნო კომისიაში კანდიდატად რეგისტრაციის გავლისთანავე. მათ შეუძლიათ დაბეჭდონ და გაავრცელონ საკუთარი პროგრამები. კამპანიის წარმოებისთვის დასაშვებია კომუნიკაციის ნებისმიერი სამართლიანი მეთოდი. არ შეიძლება მოსყიდვის, შანტაჟის, იძულების, მუქარის და სხვა ძალადობრივი ხერხების გამოყენება. თუ ასეთი შემთხვევები გამოვლინდა და დადასტურდა, იმ კანდიდატს, რომელმაც საარჩევნო კამპანიისას ძალადობრივ მეთოდებს მიმართა, კომისია რეგისტრაციას გაუუქმებს.

კენჭიყრის ოთახის მოწყობა

კენჭისყრის ოთახში იდგმება სულ ცოტა ერთი რეგისტრატორის მაგიდა, ფარული კენჭისყრის კაბინა და საარჩევნო ყუთი. კომისიის მდივანი/რეგისტრატორი მაგიდასთან ზის და გასცემს საარჩევნო ბიულეტენებს. ფარული კენჭისყრის კაბინის მოსაწყობად საკლასო ოთახის ერთ-ერთ კუთხეში შეიძლება დაიდგას მერხი, მასზე კი დაიდოს კარდონის საკმარისად დიდი ყუთი, რათა შეუძლებელი იყოს გვერდებიდან იმის დანახვა, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

საარჩევნო ყუთებით კომისიების მომარაგებას უზრუნველყოფენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო ოლქები. ყუთი დაიდგმება სკამზე. მის გვერდით მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო ყუთის ზედამხედველი (კომისიის თავმჯდომარე) და კონტროლი გაუწიოს იმას, რომ ერთმა ამომრჩეველმა ყუთში ერთ ბიულეტენზე მეტი არ ჩააგდოს.

ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვა

არჩევნების მომზადების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვა. ბიულეტენები უნდა დაიბეჭდოს დროულად, მაგალითად, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, ამომრჩეველთა რაოდენობაზე 5-6 ეგზემპლარით მეტი, რათა გაფუჭებული ბიულეტენის ნაცვლად კომისიამ ახალი ბიულეტენი გასცეს. თუ ამომრჩეველს ბიულეტენი შემთხვევით გაუფუჭდება (მაგალითად: შემოხაზა ორი კანდიდატი ან გაეხა ბიულეტენი), გაფუჭებულ ბიულეტენს დაუბრუნებს კომისიას, რომელიც გასცემს ახალს, გაფუჭებულს კი გაანადგურებს. ამის შესახებ კომისიის მდივანი საარჩევნო ჟურნალში შეიტანს ჩანაწერს ამომრჩევლის სახელისა და გვარის აღნიშვნით.

ბიულეტენების გარდა კომისია წინასწარ ბეჭდავს არჩევნების შემაჯამებელ ოქმს. ოქმში აღინიშნება ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, რამდენმა მოსწავლემ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა კანდიდატმა, გაბათილებული ბიულეტენების რაოდენობა და გამარჯვებული კანდიდატის სახელი.

კენჭისყრის ჩატარება

კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო კომისია უნდა დარწმუნდეს, რომ საარჩევნო ყუთი ცარიელია და დალუქოს ყუთი. ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი თითო-თითოდ ან ორ-ორად შემოუშვებს ამომრჩევლებს კენჭისყრის ოთახში. კომისიის მდივანი/რეგისტრატორი იღებს ერთ ბიულეტენს, ხელს აწერს უკანა მხრიდან და გადასცემს ამომრჩეველს. ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს ბიულეტენის მიღებას და შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში. კაბინაში ამომრჩეველი შემოხაზავს მისთვის სასურველი კანდიდატის სახელს (დასაშვებია ყველა არასასურველი კანდიდატის სახელის გადახაზვა და მხოლო ერთის დატოვება), გადაკეცავს ბიულეტენს და ჩაუშვებს საარჩევნო ყუთში. ყუთთან დგას საარჩევნო ყუთის ზედამხედველი/კომისიის თავმჯდომარე და აკონტროლებს, რომ ამომრჩეველმა ყუთში ერთ ბიულეტენზე მეტი არ ჩაუშვას. ხმის მიცემის შემდეგ ამომრჩეველი ტოვებს კენჭისყრის ოთახს.

საჩივრების მიღება, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

კომისია არჩევნების მიმდინარეობისას იღებს საჩივრებს, რომლებიც ეხება არჩევნების ჩატარების პროცედურების დარ-

ღვევებს. კომისიისთვის საჩივრით მიმართვა შეუძლია იმ კლასის მოსწავლეს, რომელშიც კომისია ატარებს არჩევნებს ან დამკვირვებელს. კომისია კოლეგიალურად განიხილავს თითოეულ საჩივარს და გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

საარჩევნო ყუთების გახსნა, ხმების დათვლა, შედეგების შეჯამება, ოქმის შევსება და შედეგების გამოქვეყნება

კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისია დამკვირვებლების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობას. თუ ლუქის მთლიანობა დარღვეულია, კომისია ადგენს ამის მიზეზს. თუ ლუქის მთლიანობა შემთხვევით დაირღვა, კომისია გახსნის ყუთს და შეუდგება ხმების დათვლას. მაგრამ, თუ საარჩევნო ყუთის ლუქის დარღვევა არჩევნების შედეგებს ეჭვქვეშ აყენებს, კომისია დანიშნავს ხელახალ არჩევნებს.

თუ ლუქის მთლიანობა არ არის დარღვეული, კომისია ხსნის საარჩევნო ყუთს და იწყებს ხმების დათვლას. თითოეული სუბიექტის ხმები ითვლება ცალ-ცალკე. კომისიის წევრები აჯამებენ თითოეული კანდიდატისთვის მიცემული ხმების რაოდენობას და მონაცემები შეაქვთ შემაჯამებელ ოქმში. ასევე, შემაჯამებელ ოქმში შეაქვთ ბათილი ბიულეტენების რაოდენობა.

ბიულეტენი ბათილია თუ:

- ამომრჩეველი არ შემოხაზავს არც ერთ სუბიექტს;
- ამომრჩეველი გადახაზავს ყველა სუბიექტს;
- ამომრჩეველი შემოხაზავს ერთზე მეტ სუბიექტს;
- საარჩვნო ყუთში აღმოჩნდება სხვა კლასისათვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენი

შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მას დაუყოვნებლივ გამოაკრავენ სკოლის განცხადებების დაფაზე. შემაჯამებელი ოქმის გამოკვრისთანავე გამარჯვებული კანდიდატი ითვლება კლასის წარმომადგენლად სკოლის თვითმმართველობაში.

იმ შემთხვევაში, თუ ერთზე მეტმა კანდიდატმა დააგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა, კომისია ამ კანდიდატების მონაწილეობით დანიშნავს ხელახალ არჩევნებს. ხელახალი არჩევნები შეიძლება დაინიშნოს არჩევნებიდან 1 ან 2 დღის შემდეგ, მაგრამ სწავლის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

დანართები

1. საარჩევნო ბიულეტენის ნიმუში
2. კენჭისყრის ოთახის მოწყობის სქემა
3. შემაჯამებელი ოქმის ნიმუში





სკოლა —————————————— კლასი —————————— **სკოლის მოსწავლეთა** **თვითმმართველობის არჩევნები** შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატის ნომერი 1. ნესტან დარეჯანი 2. ივანე მხარგრძელი 3. მაია წყნეთელი 4. გიორგი სააკაძე	სკოლა —————————————— კლასი —————————— **სკოლის მოსწავლეთა** **თვითმმართველობის არჩევნები** შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატის ნომერი 1. ნესტან დარეჯანი 2. ივანე მხარგრძელი 3. მაია წყნეთელი 4. გიორგი სააკაძე
სკოლა —————————————— კლასი —————————— **სკოლის მოსწავლეთა** **თვითმმართველობის არჩევნები** შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატის ნომერი 1. ნესტან დარეჯანი 2. ივანე მხარგრძელი 3. მაია წყნეთელი 4. გიორგი სააკაძე	სკოლა —————————————— კლასი —————————— **სკოლის მოსწავლეთა** **თვითმმართველობის არჩევნები** შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატის ნომერი 1. ნესტან დარეჯანი 2. ივანე მხარგრძელი 3. მაია წყნეთელი 4. გიორგი სააკაძე

დანართი N 2

კენჭისყრის ოთახის მოწყობის სქემა

დანართი N 3

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები
კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი

სკოლა---------- კლასი----------

სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა---------- ☐☐

არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა ----------☐☐

ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ----------☐☐

მიცემულ ხმათა რაოდენობა

○ _____ ☐☐

○ _____ ☐☐

○ _____ ☐☐

○ _____ ☐☐

არჩეული კანდიდატის სახელი და გვარი:

თავმჯდომარე:
თარიღი:
მდივანი:
კომისიის წევრ(ებ)ი:

ჩვენ და კანონი

სამართლიანად მიგაჩნიათ თუ არა კანონი, რომ 6 წლის ასაკის ბავშვებმა სკოლაში უნდა იარონ და ზრდასრულებმა კი - არა?

მოსწავლეები, რომლებსაც ეს დებულება სამართლიანად მიგაჩნიათ - გადაჯგუფდით საკლასო ოთახის მარცხენა ნაწილში, ხოლო საპირისპირო მოსაზრების მქონე მოსწავლეები - მარჯვენაში. ვინც არც ერთ ჯგუფში არ გადავა, დადგეს ოთახის ცენტრალურ ნაწილში.

მომხრეებისა და მოწინააღმდეგების ჯგუფებმა შეჯერებულად ჩამოაყალიბეთ ორ-ორი არგუმენტი საკუთარი პოზიციის დასაბუთებისთვის და გამოყავით თითო მოპასუხე მოსწავლე.

ნეიტრალური პოზიციის მოსწავლეებიდან მასწავლებელი მოიხმობს ორ მოხალისეს, რათა მათ ჩაწერონ წარმოდგენილი არგუმენტები დაფაზე ცხრილში:

სამართლიანია	უსამართლოა

გამოყოფილი მოპასუხეები არაუმეტეს 3-3 წუთის განმავლობაში გადმოსცემთ თქვენი ჯგუფების არგუმენტებს.

ამ სავარჯიშოში რეგლამენტის დაცვას მნიშვნელობა აქვს.

არგუმენტების მოსმენისა და ჩაწერის შემდეგ ნეიტრალური ჯგუფის წევრებმა, დაფიქრების შემდეგ განსაზღვრონ - რომელი ჯგუფის დასაბუთება მიაჩნიათ უფრო დამაჯერებლად და ამ დასკვნის შესაბამისად გადაინაცვლონ შესაბამისი ჯგუფისკენ.

მასწავლებელი ,,მიმხრობილი ნეიტრალების" რაოდენობებს აღნიშნავს დაფაზე ცხრილის შესაბამის მხარეს.

ადამიანებს, მოქალაქეებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში როგორც გარკვეული უფლებები, ისე მოვალეობები აქვთ და ისინი ცვალებადია ხოლმე ასაკთან ერთად.

წყვილებში განხილვით შეავსეთ კითხვარი:

რომელი ასაკიდან მოქმედებს ***საქართველოში*** შემდეგი ქმედებების მომწესრიგებელი კანონები:

1. **მანქანის მართვის უფლების აღება?**
2. **დაქორწინება?**

3. **არჩევნებში მონაწილეობა?**
4. **სამხედრო სამსახურში წასვლა?**
5. **გადასახადების გადახდა?**
6. **პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმა?**
7. **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?**
8. **იარაღის ტარება?**
9. **აზარტულ თამაშებში მონაწილეობა?**

ხანმოკლე საკლასო დისკუსია კითხვით:
მოგწონთ თუ არა ეს ასაკობრივი ზღვრები?
თითოეულმა მოსწავლემ პასუხის მოცემული სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს და მიუთითოს არგუმენტი:

ა) ძალიან მაღალი;
ბ) ძალიან დაბალი;
ც) ნორმალური.
d)

მოქალაქეს ასაკის მატებასთან ერთად ემატება არა მარტო უფლებები, არამედ მოვალეობები და პასუხისმგებლობები.
ვინ არის არასრულწოვანი?

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს თუ ჩავხედავთ, წავიკითხავთ, რომ არასრულწლოვანია ის, ვინც სრულწლოვანი არაა, სრულწლოვანება კი არის ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ ადამიანი სრულფასოვანი მოქალაქე ხდება.

*საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-**12** მუხლის თანახმად, სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია **18** წლის ასაკს. სრულწლოვანებასთან ერთად მოქალაქე ხდება ქმედუნარიანი, რაც გულისხმობს, რომ თავისი ნებითა და მოქმედებით იგი სრულად ახორციელებს საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ საქართველოს მოქალაქეს შეუძლია არჩევნებში მონაწილეობის მიღება, მართვის მოწმობის აღება, დაქორწინება, იარაღის შენახვისა და ტარების უფლების მიღება, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმა და სხვა.*

აღსანიშნავია, რომ ყველა სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც კრძალავს სკოლის ტერიტორიაზე იარაღის ტარებას და, მიუხედავად ასაკისა და ნებართვისა, სკოლის ტერიტორიაზე იარაღით შესვლა არ შეიძლება. ასეთივე აკრძალვები მოქმედებს მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებებშიც, მაგალითად სასამართლოში.

*ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქორწინო ასაკად დაწესებულია **18** წელი, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში **16** წლის*

ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობით. თუმცა, ის, რომ პირი არასრულწლოვანია, არ ნიშნავს, რომ კანონი არ იცავს მის ინტერესებსა და უფლებებს და, ასევე, სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არ აკისრებს პასუხისმგებლობას.

არასრულწლოვანი და სამოქალაქო სამართლის კოდექსი

*მავნე ზეგავლენის გარდა არასრულწლოვანი დაცულია მშობელთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან. ეს უფლება მას გარანტირებული აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდასთან, განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, **14** წლის ასაკიდან კი – სასამართლოს.*

ნებისმიერი მოქალაქე, რომლისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე, ვალდებულნი არიან გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

არასრულწლოვნის უფლებები დაცულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითაც. მაგალითად, დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის ავტომობილის გადაცემა, რადგან ამან შესაძლოა სერიოზული საფრთხე შეუქმნას არა მხოლოდ არასრულწლოვანს, არამედ სხვა მოქალაქეებსაც. კოდექსის თანახმად, კანონდამრღვევს დაეკისრება ადმინისტრაციული სახდელი.

განიხილე მოცემული შემთხვევები და იმსჯელე, ვინ არის მომხდარში დამნაშავე.

15 წლის არასრულწლოვანმა გოგონამ მამის მეგობარს ახალი ჯიპის გასაღები გამოართვა, მანქანაში მუსიკას მოვუსმენო. ცოტა ხნის შემდეგ გოგონა ისე მოიხიბლა ახალი ავტომობილით, რომ გასეირნება გადაწყვიტა. ეზოში არავინ იყო. გოგონამ მანქანა დაძრა. მანქანა უკუსვლით დაიძრა, დაგორდა, ქუჩაში გავიდა და მოულოდნელად ტროტუარზე მიმავალ მოხუც ქალბატონს დაეჯახა. ქალბატონი წაიქცა და თავი დაარტყა. სხეულის მძიმე დაზიანებებით მოხუცი ქალბატონი საავამდყოფოში გადაიყვანეს.

16 წლის გ.ს. სახლში მარტო იყო. ზაფხული იყო, ძალიან ცხელოდა. ბიჭმა ეზოში მდგარი მამის „კაბრიოლეტის“ გასაღები დაუკითხვად აიღო, მეგობარ გოგონებს გაუარა და ქალაქგარეთ გასეირნება შესთავაზა. გოგონებს გაუხარდათ და სიამოვნებით დასთანხმდნენ. სულ ექვსნი იყნენ: გ.ს. და 5 არასრუწლოვანი გოგონა. გ.ს. მანქანას სწრაფად მართავდა. მაგისტრალზე საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და დიდ ხეს შეეჯახა. ექვსივემ სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. გ.ს.–ს ხერხემალი დაუზიანდა და არავინ იცის, როდის შეძლებს დამოუკიდებლად სიარულს.

ბიბლიოგრაფია:

1. თ. მეიფარიანი, ლ. მიქიაშვილი, ზ. მიმინოშვილი - სამოქალაქო განათლება; მე-10კლ. საქართველოს მაცნე. 2006წ.

2. თ. ბრეგვაძე, ი. პეტრიაშვილი - სამოქალაქო აღზრდა; მე-10 კლ. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2006წ.

3. თ. მეიფარიანი, ლ. მიქიაშვილი, მ. გონაშვილი და სხვები - სამოქალაქო განათლება; მე-9კლ. საქართველოს მაცნე. 2008წ.

4. თ. ქალდანი, გ. გაბრიელაშვილი, ლ.გიგაური, ნ. ტალახაძე, მ. ნაცვალაძე - სამოქალაქო განათლება; მე-9კლ. ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი. 2008წ.

5. ფლაუერსი, ნენსი. კომპასიტო: სახელმძღვ. ადამიანის უფლებათა განათლ. სფეროში ბავშვებისათვის/ რედ. და თანაავტ. ნენსი ფლაუერსი; სახელმძღვ. მომზადებაში მონაწილეობდნენ: მარია ემილია ბრედეროდე-სანტოსი [და სხვ.]; საბოლოო რედ. ჟუჟანა სელენი; ილ. დაიანა ნეგი; [მთარმგნ.: თამარ მიქაძე, ანა გეგეჭკორი; რედ. დავით გელაშვილი] - [თბ., 2009]

6. ნინო ერემაშვილი, მაკა ფერაძე, ელგუჯა მაკალათია, გიორგი გახელაძე - სამართლებრივი კულტურა - სახელმძღვანელო მე-9 კლასელებისათვის; პროექტი ჰარმონია.2009წ.

7. როლფ გოლობი, ტედ ჰუდლესტონი, პიტერ კრაფი, დონ როუვი,უიმ ტაელმანი - ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში - წიგნი III; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2009წ.

8. გიორგი გახელაძე, ზურაბ ხრიკაძე, გიორგი შარაბიძე - ინსტრუქცია სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებისათვის; გაერო, ცესკო, ესგშც, სსგრსც, 2010წ.

1991 წლიდან იგი განათლების სისტემაში მუშაობს, როგორც საჯარო, ისე აკადემიურ და არასამთავრობო სექტორში. 1992 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ფიზიკის ფაკულტეტი. მისი საგანმანათლებლო გამოცდილება მრავალფეროვანია: მასწავლებელი სკოლაში, მოზარდთა სახლში, საერთაშორისო პროექტების ეროვნული ექსპერტი, სახელმძღვანელოების ავტორი, განათლების მკვლევარი და პროფესორი, ზრდასრულთა მწვრთნელი როგორც განათლების, ისე გარემოსდაცვით და ჯანდაცვის სფეროში, აკრედიტაციის ექსპერტი და ა. შ. თავად აქვს გავლილი პროფესიული განვითარების მრავალი პროგრამა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

იგი არის ეროვნული სასწავლო გეგმის სამოქალაქო განათლების საგნობრივი პროგრამის ავტორი. ამჟამად იგი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში სამოქალაქო განათლების კონსულტანტია. იმავდროულად, გიორგი არის ილიას სახელმწიფო უნივერისტეტში განათლების მკვლევარი ასისტენტ-პროფესორია. იგი ასწავლის მომავალ მასწავლებლებსა და განათლების ადმინისტრატორებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ელ-ფოსტა: ggakheladze@tpdc.ge an giorgi.gakheladze@iliauni.edu.ge
ტელეფონი: 577 646512